დანართი N1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

| | |
|---|---|
| **2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივა „მართვის მოწმობების თაობაზე“** | **საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი /პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი /აქტები , არსებობის შემთხვევაში :**<br><br>№1. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი<br><br>№2. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი<br><br>№3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის №01-6/ნ-№134 ერთობლივი ბრძანება „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნებისა და მისი შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“<br><br>№4. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანება „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“<br><br>შესაბამისობა :<br>- **სშ** – სრულად შესაბამისი<br>- **ნშ** – ნაწილობრივ შესაბამისი<br>- **შ** – შეუსაბამო<br>- **ას** – არასავალდებულო |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|

| მუხლი ან ნაწილი | ნორმის ტექსტი | N | მუხლი ან პუნქტი (ნაწილი) | ნორმის ტექსტი | შესაბამისობა | შენიშვნები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ ეროვნული მართვის მოწმობის ნიმუში I დანართით დადგენილი გაერთიანების ნიმუშის საფუძველზე წინამდებარე დირექტივის დებულებების შესაბამისად. მართვის მოწმობების გაერთიანების ნიმუშის პირველ გვერდზე განთავსებული ემბლემა უნდა შეიცავდეს მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს განმასხვავებელ ნიშანს.<br><br>2. მონაცემთა დაცვის შესახებ წესების დარღვევის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ მონაცემთა შენახვის საშუალება (მიკროჩიპი), როგორც მართვის მოწმობის ნაწილი, I დანართში მოცემული მიკროჩიპთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც შექმნილია წინამდებარე დირექტივის არა არსებითი მნიშვნელობის ელემენტების შესასწორებლად, მასში დამატებების შეტანის გზით, დადგენილია გაერთიანების მიერ მე-9(2) მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად. აღნიშნულმა მოთხოვნებმა უნდა გაითვალისწინოს ევროპის გაერთიანების (EC) შესაბამისობის სერთიფიკატი, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება გაცემული, როდესაც ფიქსირდება გაყალბების ან არსებული მონაცემების სხვა მონაცემებით ჩანაცვლების მცდელობების წინააღმდეგობების გაწევის შესაძლებლობა.<br><br>3. მიკროჩიპში განთავსებულ უნდა იქნას I დანართით განსაზღვრული ჰარმონიზებული მართვის მოწმობების მონაცემები.<br>კომისიასთან შესაბამისი კონსულტაციების გავლის შემდეგ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინახონ დამატებითი მონაცემები, იმ | | | | ას | „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ XXIV დანართის მიხედვით, საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა „მართვის მოწმობების თაობაზე“ 2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივის შემდეგი დებულებები: |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შემთხვევაში, თუ აღნიშნული არანაირად არ უშლის ხელს წინამდებარე დირექტივის იმპლემენტაციას.<br>მე-9(2) მუხლში მითითებული პროცედურის თანახმად, კომისიამ შეიძლება ცვლილებები შეიტანოს I დანართში, შემდგომი ფუნქციონალური თავსობადობის უზრუნველყოფის მიზნით.<br>4. კომისიის თანხმობით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება I დანართში მოცემულ ნიმუშში შეიტანონ ისეთი შესწორებები, რომლებიც აუცილებელია მართვის მოწმობების კომპიუტერული დამუშავებისათვის. | | | | | მართვის მოწმობების კატეგორიების შემოღება (მე-4 მუხლი); მართვის მოწმობის გაცემის პირობები (მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები); სატრანსპორტო საშუალების მართვის ტესტების მოთხოვნები (II და III დანართები). |
| 2 | 1. წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული მართვის მოწმობების აღიარება უნდა მოხდეს ორმხრივად.<br>2. თუ მოქმედი ეროვნული მართვის მოწმობის მფლობელს, რომლის მოწმობასაც არ აქვს მე-7(2) მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული მოქმედების პერიოდი, აქვს იმ წევრი სახელმწიფოში მუდმივი ბინადრობა, რომელსაც არ გაუცია მართვის მოწმობა, მასპინძელ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს მოწმობაზე ხსენებული მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული მოქმედების ვადა მართვის მოწმობის განახლების გზით, მართვის მოწმობის მფლობელის მიერ მის ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის ნებართვის აღების დღიდან 2 წლის შემდეგ. | | | | ას | |
| 3 | 1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა საჭირო ზომა მართვის მოწმობების, მათ შორის, წინამდებარე დირექტივის ძალაში შესვლამდე გაცემული მართვის მოწმობების ნიმუშების გაყალბების რისკების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულის თაობაზე მათ უნდა შეატყობინონ კომისიას.<br>2. მართვის მოწმობისათვის გამოყენებული მასალა, I დანართის შესაბამისად, უნდა იყოს უსაფრთხო გაყალბებისაგან იმ სპეციფიკაციების გამოყენებსას, რომლებიც შექმნილია წინამდებარე დირექტივაში არა არსებითი ელემენტების შესწორებისათვის, მასში | | | | ას | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დამატებების შეტანის გზით, რაც დადგენილ უნდა იქნას კომისიის მიერ მე-9(2) მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად. წევრი სახელმწიფოები თავისუფალნი არიან შემოიღონ უსაფრთხოების დამატებითი ელემენტები.<br>3. წევრმა სახელმწიფოებმა, უნდა უზრუნველყონ, რომ 2033 წლის 19 იანვრისათვის ყველა გაცემული ან მიმოქცევაში არსებული მართვის მოწმობა აკმაყოფილებდეს ამ დირექტივის ყველა მოთხოვნას. | | | | | |
| 4 | 1. პირველ მუხლში მოცემული მართვის მოწმობა უფლებამოსილებას ანიჭებს მძღოლებს მართონ ქვემოთ განსაზღვრული კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები. მართვის მოწმობა შეიძლება გაცემულ იქნას თითოეული კატეგორიისათვის მითითებული მინიმალური ასაკიდან. „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას“ წარმოადგენს ნებისმიერი თვით მოსიარულე სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მოძრაობს გზაზე საკუთარი ენერგიით, გარდა სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებისა.<br><br>2. მოპედები: | 1<br><br>1 | 5.35<br><br>5.42 | 35. მექანიკური სატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი (თვითმავალი) სატრანსპორტო საშუალება, გარდა კიდულძრავიანი ველოსიპედისა, ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავისა, სალიანდაგო სატრანსპორტო საშუალებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არ აღემატება 25 კმ/სთ-ს.<br><br>42. მოპედი – ორ - ან სამთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო | სშ | მე-5 მუხლის 35-ე პუნქტით, დირექტივის შესაბამისად, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიაში ექცევა და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვებას ექვემდებარება მხოლოდ ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა კონსტრუქციული სიჩქარე არ არის 25 კმ/სთ-ზე ნაკლები. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კატეგორია AM:<br>— ორთვლიანი ან სამთვლიანი სატრანსპორტო საშუალებები მაქსიმალური დასაშვები სიჩქარით არა უმეტეს 45 კმ/სთ, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 18 მარტის 2002/24/EC დირექტივის 1(2)(ა) მუხლის შესაბამისად, რომელიც ეხება ორი ან სამთვლიანი სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისობის სერთიფიკატს(გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომელთა მაქსიმალური სისწრაფე შეადგენს 25 კმ/სთ-ს ან მასზე ნაკლებია), და მსუბუქი კვადროციკლები 2002/24/EC დირექტივის 1(3)(ა) მუხლის შესაბამისად,<br>—AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის დადგენილი მინიმალური ასაკობრივი ზღვარია 16 წელი;<br>3. მოტოციკლები გვერდითა ეტლით და გვერდითა ეტლის გარეშე და სამბორბლიანი მოტოციკლები:<br>— 'მოტოციკლი' ნიშნავს ორთვლიან სატრანსპორტო საშუალებას ეტლით ან ეტლის გარეშე, 2002/24/EC დირექტივის 1(2)(ბ) მუხლის შესაბამისად,<br>— 'სამთვლიანი მოტოციკლი' ნიშნავს სატრანსპორტო საშუალებას სამი სიმეტრიალურად განლაგებული თვლით, 2002/24/EC დირექტივის 1(2)(გ) მუხლის შესაბამისად; | 1 | 5.47 | საშუალება, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არ უნდა იყოს 25 კმ/სთ-ზე ნაკლები და 45 კმ/სთ-ზე მეტი. ამასთან ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ³-ს, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე – 4 კვტ-ს. სამთვლიანი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ³-ს, ნაპერწლური ანთების ძრავის შემთხვევაში, სხვა შიგაწვის ძრავის შემთხვევაში მაქსიმალური გამომავალი სიმძლავრე - 4 კვტ-ს, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე – 4 კვტ-ს.<br><br>47. მსუბუქი კვადროციკლი – ოთხთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არ უნდა იყოს 25 კმ/სთ-ზე ნაკლები და 45 კმ/სთ-ზე მეტი და შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა არ აღემატება 50 სმ³-ს, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე – 4 კვტ-ს და რომლის დაუტვირთავი მასა (ელექტროსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – აკუმულატორის მასის ჩაუთვლელად) არ აღემატება 350 კგ-ს. | | |
| | (ა) კატეგორია A1:<br>— მოტოციკლი, რომლის ცილინდრის მოცულობა არ აღემატება 125 სმ³-ს, ხოლო მაქსიმალური სიმძლავრე -11 კვტ-ს და სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი არ აღემატება 0,1 კვტ/კგ,<br>— სამთვლიანი მოტოციკლები, რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 15 კვტ-ს,<br>— A1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს წარმოადგენს 16 წელი;<br>(ბ) კატეგორია A2:<br>— მოტოციკლი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 35 კვტ-ს და სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი არ აღემატება 0,2 კვტ/კგ-ს და არ გამომდინარეობს სატრანსპორტო საშუალებიდან, რომლის სიმძლავრეც მასზე ორჯერ მეტია,<br>— A2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს წარმოადგენს 18 წელი;<br>(გ) კატეგორია A:<br>(i) მოტოციკლები<br>— A კატეგორიისათვის დადგენილია მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 20 წელი. თუმცა, იმისათვის, რომ აღნიშნული კატეგორიის მოტოციკლის მართვის უფლება მოიპოვოს კანდიდატმა, საჭიროა A2 კატეგორიის მართვის მოწმობის ფარგლებში მიღებული მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება. აღნიშნული მოთხოვნა გამოცდილების | 1 | 5.43 | 43. მოტორიზებული ტრიციკლი – სიმეტრიულად განლაგებული სამი ბორბლის მქონე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის შიგაწვის ძრავას (თუ მას აქვს შიგაწვის ძრავა) ცილინდრის მუშა მოცულობა აღემატება 50 სმ³-ს ან/და კონსტრუქციული სიჩქარე – 45 კმ/სთ-ს. | | |
| | | 1 | 5.44 | 44. მოტოციკლი – ორთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება ეტლით ან მის გარეშე, რომლის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³ -ზე მეტია ან/და კონსტრუქციული სიჩქარე აღემატება 45 კმ/სთ-ს. | | |
| | | 1 | 5.27 | 27. კვადროციკლი – მსუბუქი კვადროციკლისაგან განსხვავებული ოთხთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის მაქსიმალური კონსტრუქციული სიჩქარე აღემატება 25 კმ/სთ-ს), | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არსებობის შესახებ შეიძლება მოიხსნას იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი სულ მცირე 24 წლისაა.<br>(ii) სამთვლიანი მოტოციკლები, რომელთა სიმძავრე აღემატება 15 კვტ-ს<br>—სამთვლიანი მოტოციკლებისათვის, რომელთა სიმძლავრე აღემატება 15 კვტ-ს, დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს წარმოადგენს 21 წელი.<br>4. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები:<br>— „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება“ ნიშნავს ისეთი ტიპის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც ძირითადად გამოიყენება მგზავრების გადასაყვანად ან ტვირთების გადასაზიდად ან გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირებისთვის, რომლებიც გამოიყენება მგზავრების გადასაყვანად ან ტვირთების გადასაზიდად. აღნიშნული ტერმინში შედის ტროლეიბუსი, ე.ი. ისეთი ტიპის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მიერთებულნი არიან ელექტრო გამტარით და არა რკინიგზის რელსებით. აღნიშნული არ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო ტრაქტორებს,<br>— 'სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო ტრაქტორი' ნიშნავს ნებისმიერი ტიპის მექანიკურ სატრანსპორტო საშალებას, რომელიც მოძრაობს თვლებით ან მუხლუხებით, რომელსაც სულ მცირე ორი ხიდი აქვს, მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს მის გამწევ ძალაზე, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი, რომ აწიოს, მიაწვეს, ზიდოს ან ამუშაოს ზოგიერთი ინსტრუმენტი, მანქანა ან მისაბმელი, რომელთა გამოყენებაც ხდება სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო მოქმედებების შესასრულებლად, და რომლის გამოყენება მგზავრების გადასაყვანად ან ტვირთების გადასაზიდად ან გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირებისთვის, რომლებიც გამოიყენება მგზავრების გადასაყვანად ან ტვირთების გადასაზიდად მხოლოდ მისი მეორადი ფუნქციაა;<br>(ა) კატეგორია B1:<br>— კვადროციკლი, 2002/24/EC დირექტივის 1(3)(ბ) მუხლის თანახმად,<br>— B1 კატეგორიისათვის დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს წარმოადგენს 16 წელი;<br>— კატეგორია B1 არის არასავალდებულო კატეგორია; იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოები არ იყენებენ მართვის მოწმობების | 1 | 54.2 | რომლის ძრავას სიმძლავრე არ აღემატება 15 კვტ-ს, ხოლო დაუტვირთავი მასა 400 კგ-ს (ან 550 კგ-ს, თუ იგი განკუთვნილია ტვირთის გადასაზიდად).<br>ელექტროსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში აკუმულატორის მასა კვადროციკლის დაუტვირთავ მასაში არ ითვლება.<br><br>2. სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:<br>ა) „AM”- მოპედი ან მსუბუქი კვადროციკლი;<br>ბ) „A“ – მოტოციკლი, ასევე მოტორიზებული ტრიციკლი, რომლის სიმძლავრე აღემატება 15 კვტ-ს;<br>გ) „B“ – ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც მიეკუთვნება „AM” ან „A“ კატეგორიას ან „A1“, „A2”, ქვეკატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, მძღოლის ადგილის გამოკლებით, 8-ს არ აღემატება, აგრეთვე „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აღნიშნულ კატეგორიას, მართვის მოწმობის B კატეგორიით მოხდება ამგვარი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების დაშვება;<br>(ბ) კატეგორია B:<br>ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს, რომლებიც განკუთვნილია და შექმნილია მძღოლის გარდა არაუმეტეს რვა მგზავრის ტრანსპორტირებისთვის; აგრეთვე ამ კატეგორიის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებს შეიძლება მიება მისაბმელები, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს.<br>შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, ამ კატეგორიის ავტომობილს შეიძლება მიუერთდეს მისაბმელი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, იმ შემთხვევაში, თუ ორივე მასის ერთად შეჯამებული მასა არ აღემატება 4 250 კგ-ს. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი კომბინაციის მასა აღემატება 3 500 კგ-ს, წევრმა სახელმწიფოებმა, V დანართით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად, უნდა მოითხოვონ, რომ ამ კომბინაციის სატრანსპორტო საშალების მართვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ:<br>— სპეციალური სწავლების გავლის შემდეგ, ან<br>— უნარებისა და ქცევის გამოცდის ჩაბარების შემდეგ.<br>წევრმა სახელმწიფოებმა ასევე შეიძლება მოითხოვონ ორივე, ამგვარი ტრენინგისა და უნარებისა და ქცევის გამოცდის ჩაბარება.<br>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ შესაბამისი კომბინაციის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების არსებობა შესაბამისი საზოგადოებრივი კოდის მინიჭებით.<br>B კატეგორიისათვის დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს წარმოადგენს 18 წელი;<br>(გ) კატეგორია BE:<br>- შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებების კომბინაცია, რომელიც მოიცავს B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებას და მისაბმელს და ნახევარმისაბმელს, თუ მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3500 კგ-ს, | | | აღემატება 750 კგ-ს, ან „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს. ასევე „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 4 250 კგ-ს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში „B“ კატეგორიის მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ბარდება სპეციალური წესით, ხოლო მართვის მოწმობაში კეთდება სათანადო აღნიშვნა სპეციალური კოდის მეშვეობით;<br>დ) „C“ – ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც მიეკუთვნება „D1“ ქვეკატეგორიას ან „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, მძღოლის ადგილის გამოკლებით, 8-ს არ აღემატება, აგრეთვე „C“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | — BE კატეგორიისათვის დადგენილ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს წარმოადგენს 18 წელი;<br>(დ) კატეგორია C1:<br>ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გარდა D1 ან D კატეგორიების ავტომობილებისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება 7 500 კგ-ს, რომლებიც განკუთვნილია და შექმნილია მძღოლის გარდა არაუმეტეს რვა მგზავრის ტრანსპორტირებისთვის; აღნიშნული კატეგორიის ავტომობილს შეიძლება დაუმაგრდეს მისაბმელი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;<br>(ე) კატეგორია C1E:<br>— შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებების კომბინაცია, რომელიც მოიცავს C1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებას და მის მისაბმელს ან ნახევარმისაბმელს, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, თუ ასეთი კომბინაციის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს,<br>— შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებების კომბინაცია, რომელიც მოიცავს B კატეგორიის ტრაქტორს და მის მისაბმელს ან ნახევარმისაბმელს, რომლიც ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, თუ ასეთი კომბინაციის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს,<br>- C1 და C1E კატეგორიებისათვის მინიმალურ ასაკად დადგენილია 18 წელი;<br>(ვ) კატეგორია C:<br>ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გარდა D1 ან D კატეგორიების ავტომობილებისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, რომლებიც განკუთვნილია და შექმნილია მძღოლის გარდა არაუმეტეს რვა მგზავრის ტრანსპორტირებისთვის; აღნიშნული კატეგორიის ავტომობილი შეიძლება კომბინირებულ იქნას მისაბმელითან, რომლის ნებადართული მაქსიმალური საერთო მასა არ აღემატება 750 კგ-ს; | | | ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;<br>ე) „D“ – ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, მძღოლის ადგილის გამოკლებით, 8-ს აღემატება, აგრეთვე „D“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;<br>ვ) „BE“ – „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, თუ ასეთი მისაბმელის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს;<br>ზ) „CE“ – „C“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;<br>თ) „DE“ – „D“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;<br>ი) „T“ – სასოფლო-სამეურნეო მანქანა, აგრეთვე „T“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან;<br>კ) „S“ – სპეციალიზებული თვითმავალი მანქანა, აგრეთვე „S“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან;<br>ლ) ტრამვაი. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (ზ) კატეგორია CE:<br>— შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებების კომბინაცია, რომელიც მოიცავს C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებას და მის მისაბმელს ან ნახევარმისაბმელს, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს,<br>— C და CE კატეგორიებისათვის მინიმალურ ასაკად დადგენილია 21 წელი;<br>(თ) კატეგორია D1:<br>ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია და შექმნილია მძღოლის გარდა არაუმეტეს 16 მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს; აღნიშნული კატეგორიის ავტომობილს შეიძლება დაუმაგრდეს მისაბმელი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;<br>(ი) კატეგორია D1E:<br>- შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებების კომბინაცია, რომელიც მოიცავს D1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებას და მის მისაბმელს ან ნახევარმისაბმელს, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს,<br>— D1 და D1E კატეგორიებისათვის მინიმალურ ასაკად დადგენილია 21 წელი;<br><br>(კ) კატეგორია D:<br>ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია და შექმნილია მძღოლის გარდა არაუმეტეს რვა მგზავრის ტრანსპორტირებისთვის; ავტომობილს, რომლის მართვაც შეიძლება D კატეგორის მართვის მოწმობით, შეიძლება მიემაგროს მისაბმელი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;<br>(ლ) კატეგორია DE:<br>— შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის სერთიფიკატით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, | 1 | 54.3 | 3. „A“, „B“, „C“, „CE“, „D“ და „DE“ კატეგორიების ფარგლებში დაწესებული სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ ქვეკატეგორიებად:<br>ა) „A1“ – მოტოციკლი, რომლის ძრავას მუშა მოცულობა არ აღემატება 125 სმ³-ს, მაქსიმალური სიმძლავრე – 11 კვტ-ს და სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი 0,1 კვტ/კგ-ს (მსუბუქი მოტოციკლი), ასევე მოტორიზებული ტრიციკლი, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 15 კვტ-ს.;<br>ბ) „A2” - მოტოციკლი, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 35 კვტ-ს და სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი არ აღემატება 0,2 კვტ/კგ-ს;<br>გ) „B1“ – კვადროციკლი;<br>დ) „C1“ – ავტომობილი (გარდა იმ ავტომობილებისა, რომლებიც მიეკუთვნება „D1“ ქვეკატეგორიას ან „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება 7 500 კგ-ს და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, მძღოლის ადგილის გამოკლებით, 8-ს არ აღემატება, აგრეთვე „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს; | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სატრანსპორტო საშუალებების კომბინაცია, სადაც ტრაქტორი შედის D კატეგორიაში და მისი მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს,<br>— D და DE კატეგორიებისთვის მინიმალურ ასაკად დადგენილია 24 წელი;<br><br>5. კომისიის თანხმობით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გამორიცხონ აღნიშნული მუხლის გამოყენება ისეთი ზოგიერთი სპეციფიკური ტიპის მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, როგორებიცაა სპეციალული სატრანსპორტო საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.<br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამორიცხონ წინამდებარე დირექტივის გამოყენება იმ სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით, რომლებიც გამოყენებულია ან არის შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო თავდაცვის მიერ ან მათი კონტროლის ქვეშ.<br>6. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაზარდონ ან შეამცირონ მართვის მოწმობის გაცემის ზღვრული ასაკი:<br>(ა) AM კატეგორიისათვის შეამცირონ 14 წლამდე ან გაზარდონ 18 წლამდე;<br>(ბ) B1 კატეგორიისათვის გაზარდონ 18 წლამდე;<br>(გ) A1 კატეგორიისათვის გაზარდონ 17 ან 18 წლამდე,<br>— თუ A1 და A2 კატეგორიებისათვის დადგენილ მინიმალურ ასაკებს შორის სხვაობა არის 2 წელი, და<br>— არსებობს მოთხოვნა მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილების ფლობის შესახებ, კატეგორია A2-ის მოტოციკლებისათვის, სანამ კანდიდატი მიიღებს უფლებას მართოს A კატეგორიის მოტოციკლი, მე-4(3)(c)(i) მუხლში მითითებული პირობების შესაბამისად;<br>(დ) B და BE კატეგორიისათვის შეამციროს 17 წლამდე.<br><br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მინიმალური ზღვრული ასაკი გათვალისწინებული C კატეგორიისათვის შეამცირონ 18 წლამდე, ხოლო D კატეგორიისათვის შეამცირონ 21 წლამდე ქვემოთ მოცემულთან მიმართებით: | | | ე) „D1“ – ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად, რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, მძღოლის ადგილის გამოკლებით, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;<br>ვ) „C1E“ – „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს, ასევე „B” კატეგორიის ავტომობილი გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ ასეთი შემადგენლობის საერთო მასა არ აღემაღება 12 000 კგ-ს;<br>ზ) „D1E“ – „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომელიც არ არის განკუთვნილი მგზავრთა გადასაყვანად და რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (ა) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სახანძრო მომსახურებისათვის და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად;<br>(ბ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ გზის გამოცდას შეკეთების ან რემონტის მიზნით.<br>მართვის მოწმობა, რომელიც გაცემულია პირზე მე-2-4 პუნქტებით დადგენილი ასაკის მიღწევამდე ამ პუნქტის შესაბამსად, ძალაში იქნება მხოლოდ მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სანამ მოწმობის მფლობელი არ მიაღწევს მე-2-4 პუნქტებით დადგენილ მინიმალური ზღვრულ ასაკს.<br>წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება აღიარონ საკუთარ ტერიტორიაზე იმ მართვის მოწმობების ნამდვილობა, რომლებიც გაცემულია პირებზე მე-2-4 პუნქტებით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.<br>7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის “ზ”, “ი” და “ლ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მინიმალური ასაკიდან გამომდინარე, მინიმალური ასაკი C და CE; D1 და D1E; D და DE კატეგორიებისათვის მართვის მოწმობის გასაცემად უნდა იყოს ასეთი სატრანსპორტო საშუალებების სამართავად დადგენილი მინიმალური ასაკი CPC-ის მფლობელთათვის, რომელიც განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2003/59/EC დირექტივის 5(2) მუხლში, 5(3)(ა)(i) მუხლის პირველ პუნქტში, 5(3)(ა)(ii) მუხლის პირველ პუნქტში ან 5(3) მუხლის (ბ) ქვეპუნქტში.<br><br>თუ 2003/59/EC დირექტივის 5(3)(ა)(i) მუხლის მეორე პუნქტის ან 5(3)(ა)(ii) მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, წევრი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე მართვის ნებართვას იძლევა უფრო დაბალი ასაკიდან, მართვის მოწმობის მოქმედების არეალი უნდა შემოიფარგლოს გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიით, სანამ მოწმობის მფლობელი მიაღწევს ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებულ შესაბამის მინიმალურ ასაკს და გახდება CPC-ის მფლობელი. | 1 | 55.4 | 4. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისათვის დადგენილია შემდეგი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი:<br><br>ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის - 16 წელი;<br>ა$^{1}$) „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის – 18 წელი;<br>ა$^{2}$) „A2” ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის - 20 წელი;<br>ბ) „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის:<br>ბ.ა) 22 წელი - მოტოციკლის შემთხვევაში, თუ ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღების მოთხოვნამდე არანაკლებ 2 წლით ადრე პირს მინიჭებული აქვს A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;<br>ბ.ბ) 24 წელი, თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოება;<br>ბ.გ) 21 წელი - მოტორიზებული ტრიციკლის შემთხვევაში;<br>დ) „B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის – 18 წელი. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1. მართვის მოწმობებში მითითებული უნდა იქნას ის პირობები, რომელთა საფუძველზეც მძღოლს ეძლევა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.<br><br>2. თუ, შეზღუდული შესაძლებლობების გამო პირს უფლება აქვს მართოს მხოლოდ ზოგიერთი ტიპის ან ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება, მე-7 მუხლით გათვალისწინებული უნარებისა და ქცევის გამოცდა უნდა ჩააბაროს ამგვარი სატრანსპორტო საშუალებით. | 2<br><br>4 | 55.13<br><br>33.1 | 13. პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიების/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვაზე დაუწესდა შეზღუდვა, დაკავშირებული რაიმე მოწყობილობის ტარებასთან ან/და სატრანსპორტო საშუალების ადაპტაციასთან, ან/და შეეზღუდა რაიმე ქმედების განხორციელება ან/და დაუწესდა სხვა შეზღუდვა, მძღოლისათვის მინიჭებულ მართვის უფლებას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ ამ შეზღუდვებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. ამ პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვები კოდირებული სახით აისახება მართვის მოწმობაში. გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვებისა, მართვის მოწმობაში შეიძლება დადგენილი წესით მიეთითოს დამატებითი ინფორმაციის შემცველი მონაცემები.<br><br>1. იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში ასახული ექიმ-სპეციალისტის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება დაიშვას მხოლოდ | ნშ | კანონპროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2019 წლის 1 ივლისამდე უნდა უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობა. შესაბამისად, კანონის ამოქმედებისთანავე ცვლილებები შევა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების (მაგალითად, სიჩქარის ავტომატური გადაცემის კოლოფის მქონე ან დამატებითი სატერფულებით აღჭურვილი ავტომობილი ან სხვა) სამართავად, აღნიშნული პირის მიერ მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება უნდა განხორციელდეს ასეთი სახით ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საგამოცდო სამსახურს არ გააჩნია შესაბამისად ადაპტირებული საგამოცდო ავტომობილი, მისი წარმოდგენა ხორციელდება მძღოლობის კანდიდატის მიერ. | | შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“. |
| | | 4 | 33.2 | 2. თუ ექიმ-სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე პირი სატრანსპორტო საშუალების სამართავად შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ რაიმე მოწყობილობის გამოყენების (პროთეზი, სათვალე, ყურის სასმენი აპარატი და ა.შ.) შემთხვევაში, იგი მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ასეთი მოწყობილობით. | | |
| | | 2 | 55.14 | 14. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიების ან/და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნები, ამ მოთხოვნებთან პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის დამდგენი უფლებამოსილი პირი, ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული, მართვასთან დაკავშირებული კოდირებული შეზღუდვები და მათი დაწესების პირობები, აგრეთვე დამატებითი ინფორმაციის შემცველი მონაცემების მითითების წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. | | |
| | | 2 | 58.7 | 7. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1. მართვის მოწმობების გაცემა ხდება შემდეგი პირობების საფუძველზე:<br>(ა) C1, C, D1 და D კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ მძღოლებზე, რომლებსაც უკვე აქვთ B კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება. | 2 | 55.5 | 5. „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. | სშ | |
| | | 2 | 55.6 | 6. „C“ და „D“ კატეგორიების, აგრეთვე „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებიდან 1 წლის შემდეგ (ამ ვადაში არ ითვლება მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის დრო). | | |
| | (ბ) BE, C1E, CE, D1E და DE კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ მძღოლებზე, რომლებსაც უკვე აქვთ B, C1, C, D1 და D კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება. | 2 | 55.7 | 7. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. | | |
| | | 2 | 55.8 | 8. „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „D1“ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. | | |
| | | 2 | 55.9 | 9. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. | | |
| | | 2 | 55.10 | 10. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. | | |
| | | 2 | 55.11 | 11. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. | | |
| | 2. მართვის მოწმობების მოქმედების ფარგლები განსაზღვრულ უნდა იქნას შემდეგნაირად:<br>(ა) C1E, CE, D1E ან DE კატეგორიებისათვის გაცემული მართვის მოწმობები მოქმედია BE კატეგორიის კომბინირებული სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით; | 2 | 56.3 | 3. „CE“ ან „DE“ კატეგორიის, აგრეთვე „C1E“ ან „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაც. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (ზ) CE კატეგორიისათვის გაცემული მართვის მოწმობები მოქმედია DE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით, რამდენადაც მათი მფლობელები უფლებამოსილნი არიან მართონ D კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები; | 2 | 56.4 | 4. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს, რომელსაც აქვს „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაც, აგრეთვე უფლება აქვს, მართოს „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაც. | | |
| | (გ) CE და DE კატეგორიებისთვის გაცემული მართვის მოწმობები შესაბამისად მოქმედია C1E და D1E კატეგორიის კომბინირებული სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით; | 2 | 56.2 | 2. „CE“ ან „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს მინიჭებული კატეგორიის ფარგლებში დაწესებული „C1E“ ან „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაც. | | |
| | (დ) ნებისმიერი კატეგორიის მართვის მოწმობა მოქმედია AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით. თუმცა, საკუთარ ტერიტორიაზე გაცემული მართვის მოწმობებისათვის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ გარკვეული ტიპის შეზღუდვები AM კატეგორიასა და A1, A2, A კატეგორიებს შორის ექვივალენტურობაზე, იმ შემთხვევაში, თუ წევრ სახელმწიფოს დაწესებული აქვს პრაქტიკული გამოცდების ჩატარება, როგორც AM კატეგორიის მოწმობის მიღების პირობა; | 1 | $56.6^{1}$ | $6^{1}$. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მფლობელი პირი ასევე უფლებამოსილია მართოს „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება; | | |
| | (ე) A2 კატეგორიის მართვის მოწმობა ამავდროულად მოქმედია A1 კატეგორიაზე; | 1 | $56.6^{2}$ | $6^{2}$. „A2” ქვეკატეგორიის მფლობელი პირი ასევე უფლებამოსილია მართოს „A1” ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (ვ) A, B, C ან D კატეგორიების მოწმობები მოქმედია შესაბამისად, A1, A2, B1, C1, ან D1 კატეგორიებთან მიმართებით. | 1 | 56.1 | 1. „A“, „B“, „C“ ან „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს მინიჭებული კატეგორიის ფარგლებში დაწესებული „A1“, „A2“, „B1“, „C1“ ან „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაც. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3. საკუთარ ტერიტორიაზე მართვისათვის, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შემდეგი ექვივალენტურობის მინიჭება:<br>(ა) სამთვლიანი მოტოციკლები, რომელთა მართვისათვის საჭიროა B კატეგორიის მართვის მოწმობა, სამთვლიანი მოტოციკლებისთვის, რომელთა სიმძლავრე აღემატება 15 კვტ-ს, იმ შემთხვევაში, თუ B კატეგორიის მართვის მოწმობის მფლობელი არის სულ მცირე 21 წლის;<br>(ბ) A1 კატეგორის მოტოციკლები, რომელთა მართვისთვის საჭიროა B კატეგორიის მართვის მოწმობა.<br>ვინაიდან, აღნიშნული მუხლი მოქმედებს მხოლოდ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მათ არ უნდა მიუთითონ მართვის მოწმობაზე, რომ მფლობელს აქვს უფლება მართოს მსგავსი ტიპის სატრანსპორტო საშუალებები.<br><br>4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ, საკუთარ ტერიტორიაზე დაუშვან შემდეგი სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება:<br>(ა) D1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვა (მაქსიმალური დასაშვები წონით 3 500 კგ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მგზავრების გადასაყვანად განკუთვნილი ნებისმიერი სპეციალიზირებული მოწყობილობის გარეშე) 21 წელს გადაცილებული B კატეგორიის მართვის მოწმობის მფლობელის მიერ, რომელიც მინიჭებულ იქნა 2 წლით ადრე, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება არა-კომერციული ორგანოების მიერ საზოგადოებრივი მიზნებისათვის და მძღოლი მომსახურებას წევს ნებაყოფლობით;<br><br>(ბ) იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვა, რომელთა მაქსიმალური ნებადართული წონა აღემატება 3 500 კგ-ს , 21 წელს გადაცილებული B კატეგორიის მართვის მოწმობის მფლობელის მიერ, რომელიც მინიჭებულ იქნა 2 წლით ადრე, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების ძრითადი მიზანია მათი გამოყენება, როდესაც უძრავ მდგომარეობაშია, როგორც სასწავლო ან რეკრეაციული ზონა და თუ მათ იყენებენ არა-კომერციული ორგანიზაციები საზოგადოებრივი | | | | | დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები არ არის სავალდებულო ხასიათის, არამედ იგი უშვებს შესაძლებლობას, შესაბამისად საქართველო არ ახდენს მათ იმპლემენტაციას |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიზნებისათვის, ასევე თუ აღნიშნული ტიპის სატრანსპორტო საშუალებები მოდიფიცირებულ იქნენ, ისე რომ მათი გამოყენება შეუძლებელია ცხრაზე მეტი მგზავრის გადასაყვანად ან ნებისმიერ ტიპის ტვირთის გადასაზიდად, გარდა მათისა, რომელიც აუცილებელია მათი მიზნებისათვის.<br><br>გ) ალტერნატიულ საწვავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მითითებულია საბჭოს 96/53/EC დირექტივის მე-2 მუხლში, 3 500 კგ-ზე მეტი მაქსიმალური ნებადართული წონით მაგრამ არა უმეტეს 4 250 კგ-ისა, B კატეგორიის მართვის მოწმობის მფლობელთა მიერ საქონლის ტრანსპორტირებისათვის ტრაილერის გარეშე, რომელიც გაიცა მინიმუმ ორი წლით ადრე იმ პირობით, რომ მასა, რომელიც აღემატება 3 500 კგ-ს, ექსკლუზიურად გაპირობებულია საექსპლუატაციო სისტემის ჭარბი მასით, რომელიც დაკავშირებულია იმავე ზომის სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო სისტემასთან, რომელიც აღჭურვილია ჩვეულებრივი შიდა წვის ძრავით იძულებითი ან შეკუმშვითი ანთებით და იმ პირობით, რომ ტვირთის მოცულობა არ გაიზრდება იმავე ავტომობილთან მიმართებით. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1. მართვის მოწმობები გაიცემა მხოლოდ იმ განმცხადებლებზე:<br>(ა) რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს შესაბამისი უნარებისა და ქცევის, ასევე თეორიული გამოცდა, და რომელთა ჯანმრთელობაც აკმაყოფილებს არსებულ სამედიცინო სტანდარტებს II და III დანართებში მოცემული დებულებების შესაბამისად; | 2<br><br>2 | 55.14<br><br>55.1 | 14. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიების ან/და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნები, ამ მოთხოვნებთან პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის დამდგენი უფლებამოსილი პირი, ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული, მართვასთან დაკავშირებული კოდირებული შეზღუდვები და მათი დაწესების პირობები, აგრეთვე დამატებითი ინფორმაციის შემცველი მონაცემების მითითების წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.<br><br>1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიების ან/და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა შესაბამისი მართვის უფლების მისაღები გამოცდა (თეორიული ან/და | ნშ | იხილეთ შესაბამისობა, მათ შორის „შენიშვნები“ დირექტივის დანართი II და დანართი III-თან მიმართებით |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პრაქტიკული). სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა შედგება ორი ეტაპისგან. | | |
| | (ბ) რომლებმაც ჩააბარეს თეორიული გამოცდა მხოლოდ AM კატეგორიისათვის; წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ უნარებისა და ქცევის გამოცდის ჩაბარება და სამედიცინო შემოწმება ამ კატეგორიისათვის.<br>ამ კატეგორიის ფარგლებში სამთვლიანი მოტოციკლებისა და კვადროციკლებისათვის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ განსხვავებული უნარებისა და ქცევის გამოცდა. AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების დიფერენციაციის მიზნით, მართვის მოწმობებში შეიძლება დატანილ იქნას ეროვნული კოდები;<br>(გ) რომლებმაც,  A2 ან A კატეგორისათვის, A1 კატეგორიის ან შესაბამისად A2 კატეგორიის მოტოციკლზე მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილების ქონის მოთხოვნის პირობით,  ჩააბარეს უნარებისა და ქცევის გამოცდა ან VI დანართის შესაბამისად გაიარეს სწავლება;<br>(დ) რომლებმაც გაიარეს სწავლება ან ჩააბარეს უნარებისა და ქცევის გამოცდა, ან V დანართის შესაბამისად გაიარეს სწავლება ან ჩააბარეს უნარებისა და ქცევის გამოცდა B კატეგორიის კომბინირებული სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის მე-4(4)(ბ) მუხლის მეორე ქვეპუნქტის შესაბამისად;<br>(ე) რომლებსაც მართვის მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივი ცხოვრების უფლება აქვთ, ან შეუძლიათ წარმოადგინონ დამადასტურებელი საბუთი მასზედ, რომ ისინი გადიოდნენ შესაბამის სწავლებას  მითითებულ ტერიტორიაზე სულ მცირე ექვსი თვის განმავლობაში. | 2 | 58.7 | 7. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. | | |
| | | 1 | 58.2 | 2. პირისათვის „AM”, „A“, „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“, „T“, „S“ კატეგორიის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ან/და „A1“,„A2“, „B1“, „C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება დასტურდება სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის (შემდგომ – მართვის მოწმობა) გაცემით, ხოლო ტრამვაის მართვის უფლების მინიჭება – ტრამვაის მართვის მოწმობის გაცემით, ამასთანავე:<br>ა) ყოველი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების თარიღად ითვლება ამ კატეგორიისათვის/ქვეკატეგორიისათვის მართვის მოწმობის გაცემის თარიღი;<br>ბ) „AM“, „A“, „B“, „BE“, „T“, „S“, „A1“,„A2“ და „B1“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა:<br>ბ.ა) 15 წელი (გარდა ამ მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა);<br>ბ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მართვის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე რეკომენდაციის აღნიშვნის შემთხვევაში – დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმებისათვის | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განსაზღვრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა;<br>გ) „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და „D1E“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა:<br>გ.ა) 5 წელი (გარდა ამ მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა);<br>გ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მართვის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე რეკომენდაციის აღნიშვნის შემთხვევაში – დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმებისათვის განსაზღვრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა;<br>დ) ტრამვაის მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა:<br>დ.ა) 5 წელი (გარდა ამ მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა);<br>დ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მართვის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე რეკომენდაციის აღნიშვნის შემთხვევაში – დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმებისათვის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განსაზღვრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა. | | |
| | | 2 | 58.7 | 7. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. (ა) 2013 წლის 19 იანვრიდან წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული მართვის მოწმობებს უნდა ჰქონდეთ 10 წლიანი ადმინისტრაციული მოქმედების ვადა AM, A1, A2, A, B, B1 და BE კატეგორიებისათვის.<br><br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მსგავსი მართვის მოწმობების ადმინისტრაციული მოქმედების ვადა გაზარდონ 15 წლით;<br><br>(ბ) 2013 წლის 19 იანვრიდან სახელმწიფოების მიერ გაცემული მართვის მოწმობებს უნდა ჰქონდეთ 5 წლიანი ადმინისტრაციული მოქმედების ვადა C, CE, C1, C1E, D, DE, D1, D1E კატეგორიებისათვის;<br>(გ) მართვის მოწმობის განახლებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი ადმინისტრაციული მოქმედების ვადის ამოქმედება სხვა კატეგორიის ან კატეგორიებისათვის, რომლის უფლებაც მართვის მოწმობის მფლობელს გააჩნია, რამდენადაც აღნიშნული შეესაბამება წინამდებარე დირექტივაში დაწესებულ პირობებს;<br>(დ) მიკროჩიპის არსებობა პირველი მუხლის შესაბამისად, არ წარმოადგენს მართვის მოწმობის ნამდვილობის აუცილებელ პირობას. მიკროჩიპის დაკარგვა ან მისი წაკითხვის შეუძლებლობა, ან ნებისმიერი სხვა სახის დაზიანება არ იწვევს დოკუმენტის მოქმედების შეწყვეტას.<br>3. მართვის მოწმობის ადმინისტრაციული მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ დოკუმენტის განახლება უნდა მოხდეს ქვემოთმოცემულის შესაბამისად:<br>(ა) C, CE, C1, C1E, D, DE, D1, D1E კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობებისათვის III დანართით დადგენილი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის მინიმალურ სტანდარტებთან უწყვეტი შესაბამისობის საფუძველზე; და<br>(ბ) მართვის მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების, ან განმცხადებლების მიერ, სულ მცირე, ექვსი თვის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | AM, A, A1, A2, B, B1 და BE კატეგორიების მართვის მოწმობების განახლების დროს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ გამოკვლევების ჩატარება III დანართით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის მინიმალურ სტანდარტებთან დაკავშირებით.<br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ მე-2 პუნქტში მოცემული მართვის მოწმობების ადმინისტრაციული მოქმედების ვადა, რომელიც გაცემულია ნებისმიერ გამოუცდელ მძღოლებზე ნებისმიერი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის, რათა გამოყენებულ იქნას განსაკუთრებული ზომები ასეთი მძღოლების მიმრათ საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.<br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ პირველად გაცემული მართვის მოწმობის ადმინისტრაციული მოქმედების ვადა 3 წლამდე, რომელიც გაცემულია გამოუცდელ მძღოლებზე C და D კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის, რათა მიეცეთ შესაძლებლობა ასეთი მძღოლების მიმართ გამოყენებულ იქნას განსაკუთრებული ზომები მათი საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.<br>წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ მე-2 პუნქტში მოცემული ნებისმიერი კატეგორიის ინდივიდუალური მართვის მოწმობების ადმინისტრაციული მოქმედების ვადა, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ საჭიროა სამედიცინო შემოწმებების სიხშირის გაზრდა ან სხვა განსაკუთრებული ზომები, როგორიცაა შეზღუდვის დაწესება საგზაო წესების დამრღვევი პირისათვის.<br>წევრ სახელმწიფოებს, აგრეთვე შეუძლიათ შეამცირონ მე-2 პუნქტში მოცემული მოწმობების ადმინისტრაციული მოქმედების ვადა მფლობელთათვის, რომელთაც გააჩნიათ მუდმივი ცხოვრების უფლება მათ ტერიტორიაზე და მიაღწიეს 50 წლის ასაკს, რათა გამოყენებულ იქნას უფრო ხშირი სამედიცინო შემოწმებები ან სხვა განსაკუთრებული ზომები, როგორსაც წარმოადგენს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ადმინისტრაციული მოქმედების ვადის აღნიშნული შემცირება, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხდება მართვის მოწმობების განახლება. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4. სისხლის სამართლისა და პოლიციის შესახებ არსებული ეროვნული კანონების დარღვევის გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ, მართვის მოწმობების გაცემასთან მიმართებით გამოიყენონ თავიანთი ეროვნულ წესების დებულებები, რომლებიც ეხება გაცემის პირობებს, გარდა წინამდებარე დირექტივაში გათვალისწინებულისა.<br><br>5. (ა) არც ერთ პირს არ შეუძლია ფლობდეს მართვის ერთზე მეტ მოწმობას;<br>(ბ) წევრ სახელმწიფოს შეუძლია უარი განაცხადოს მოწმობის გაცემაზე, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ განმცხადებელი უკვე ფლობს მართვის მოწმობას;<br>(გ) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ საჭირო ღონისძიებები (ბ) პუნქტის შესაბამისად. მართვის მოწმობის გაცემასთან, ჩანაცვლებასთან, განახლებასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით საჭიროა ღონისძიებების გადამოწმება სხვა წევრ სახელმწიფოებთან, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ განმცხადებელს უკვე აქვს სხვა მართვის მოწმობა;<br>(დ) (ბ) პუნქტის შესაბამისად შემოწმებების შესრულებისათვის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ ევროკავშირის მართვის მოწმობების სისტემით მას შემდეგ, როგორც კი შევა ექსპლუატაციაში.<br>მე-2 მუხლის დარღვევის გარეშე, მართვის მოწმობის გამცემმა წევრმა სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს კომპლექსური შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა მიმართოს თავის ეროვნულ დებულებებს სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლებების გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მართვის მოწმობა გაცემული იყო ზემოთ ხსნებული მოთხოვნების შეუსრულებლად. | | | | | |
| 8 | I - VI დანართების სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესთან ადაპტაციისათვის აუცილებელი ცვლილებები, მიღებულ უნდა იქნას მე-9(2) მუხლით გათვალსიწინებული პროცედურების შესაბამისად. | | | | ას | |
| 9 | 1. კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს მართვის მოწმობების კომიტეტმა. | | | | ას | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. თუ მითითება გაკეთებულია აღნიშნულ პუნქტზე, გამოიყენებულ უნდა იქნას 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5ა(1)-(4) მუხლი და მე-7 მუხლი, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით. | | | | | |
| 10 | წინამდებარე დირექტივის ძალაში შესვლისთანავე სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელები უნდა აკმაყოფილებდნენ IV დანართით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.<br>სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელები, რომლებიც 2013 წლის 19 იანვრამდეც მუშაობდნენ აღნიშნული მიმართულებით ექვემდებარებიან მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ხარისხის გარანტიას და რეგულარულარული პერიოდული სწავლების ღონისძიებებს. | | | | ას | |
| 11 | 1. თუ სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ეროვნული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელი გადავიდა სხვა ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად, მას შეუძლია მოითხოვოს მისი მართვის მოწმობის ექვივალენტური მოწმობით ჩანაცვლება. წევრს სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს მოწმობის შეცვლას, შეუძლია შეამოწმოს წარდგენილი მართვის მოწმობა რომელი კატეგორიისათვისაა სინამდვილეში მოქმედი.<br><br>2. სისხლის სამართლისა და პოლიციის შესახებ კანონმდებლობის ტერიტორიული პრინციპების დაცვის საფუძველზე, წევრ სახელმწიფოს, სადაცაა პირის მუდმივი საცხოვრებლი, შეუძლია გამოიყენოს ეროვნული დებულებები სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელისათვის მართვის უფლებების შეზღუდვის, დროებითი შეჩერების, ჩამორთმევის ან გაუქმების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნით შეცვალოს მოწმობა.<br><br>3. წევრმა სახელმწიფომ, რომელიც ახორციელებს მართვის მოწმობის გამოცვლას, ძველი მოწმობა უნდა დაუბრუნოს აღნიშნული მართვის მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს და განუმარტოს აღნიშნული ქმედების მიზეზები. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4. წევრმა სახელმწიფომ უარი უნდა უთხრას მართვის მოწმობის გაცემაზე იმ განმცხადებლებს, რომელთა მართვის მოწმობა შეზღუდულია, შეჩერებულის ან ჩამორთმეულს სხვა წევრ სახელმწიფოში.<br><br>წევრმა სახელმწიფომ უარი უნდა განაცხადოს მართვის ნებისმიერი მოწმობის მოქმედების აღიარებაზე, რომელიც გაცემულია სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ იმ პირზე, რომლის მართვის მოწმობაც შეზღუდულია, შეჩერებულია ან ჩამორთმეულია ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<br>წევრ სახელმწიფოს აგრეთვე შეუძლია მართვის მოწმობის გაცემის შესახებ უარი განუცხადოს იმ განმცხადებლებს, რომელთა მოწმობა გაუქმებულ იქნა სხვა წევრ სახელმწიფოში.<br>5. მართვის მოწმობის შემცვლელი, მაგალითად, მოპარული ან დაკარგული მართვის მოწმობის სანაცვლოდ, შესაძლებელია მხოლოდ მფლობელის მუდმივი საცხოვრებლის მქონე წევრი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ; აღნიშნული უფლებამოსილების მქონე ორგანოები მოახდენენ მოწმობის შემცვლელის მათ ხელში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ან, საჭიროების შემთხვევაში, ორიგინალი მართვის მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მოწოდებული მტკიცებულებების საფუძველზე.<br><br>6. იმ შემთხვევაში თუ, წევრი სახელმწიფო ცვლის მესამე ქვეყნის მიერ გაცემულ მართვის მოწმობას გაერთიანების ნიმუშის მართვის მოწმობაზე, ამ ცვლილების თაობაზე ჩანაწერი უნდა გაკეთდეს გაერთიანების ნიმუშის მართვის მოწმობაზე, ისევე როგორ ნებისმიერი შემდგომი განახლების ან ჩანაცვლების თაობაზე.<br><br>მსგავსი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე ქვეყნის მიერ გაცემული მოწმობა გადაეცა ცვლილების განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს. თუ აღნიშნული მართვის მოწმობის მფლობელი იცვლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და გადადის სხვა წევრ სახელმწიფოში მუდმივი ცხოვრების უფლებით | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საცხოვრებლად, მე-2 მუხლში მოცემული ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენება საჭიროებას არ წარმოადგენს. | | | | | |
| 12 | წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, 'მუდმივი საცხოვრებელი ადგილი' ნიშნავს ადგილს, სადაც პირი ჩვეულებრივ ცხოვრობს ყოველი კალენდარული წლის სულ მცირე 185 დღე პირადი და სამუშაო კავშირების გამო, ან იმ შემთხვევაში, თუ პირს არ გააჩნია სამუშაო კავშირები, მხოლოდ პირადი კავშირის გამო, რაც ადასტურებს, რომ პირსა და საცხოვრებელ ადგილს შორის მჭიდრო კავშირია.<br>თუმცა, პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად, რომლის სამუშაო კავშირები მდებარეობს პირადი კავშირებისაგან განსხვავებულ ადგილას და, რომელიც შესაბამისად ცხოვრობს რიგრიგობით სხვადასხვა ადგილას ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოში, ჩაითვლება ის ადგილი, რომელთანაც მას აქვს პირადი კავშირები, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი რეგულარულად ბრუნდება იმ ადგილას. ეს უკანასკნელი პირობა არ არის აუცილებელი, თუ პირი ცხოვრობს წევრ სახელმწიფოში განსაზღვრული ვადის ამოცანის შესრულების მიზნით. უნივერსიტეტში ან სკოლაში სწავლა არ გულისხმობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლას. | | | | ას | |
| 13 | 1. კომისიის თანხმობით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ წინამდებარე დირექტივის იმპლემენტაციის ძალაში შესვლამდე მოპოვებული უფლებებისა და მე-4 მუხლში განსაზღვრული კატეგორიების ექვივალენტურობა.<br>კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ, წევრ სახელმწიფოებს თავანთ ეროვნული კანონმდებლობაში შეუძლიათ დააწესონ ისეთი რეგულირებები, რაც აუცილებელია მე-11 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების იმპლემენტაციის მიზნით.<br><br>2. მართვის ნებისმიერი უფლება, რომელიც გაცეულია 2013 წლის 19 ინვრამდე არ უნდა იქნას გაუქმებული ან წინამდებარე დირექტივის დებულებების შესაბამისად სხვაგვარად კვალიფიცირებული. | | | | ას | |
| 14 | კომისიამ ანგარიში უნდა წარადგინოს წინამდებარე დირექტივის იმპლემენტაციის თაობაზე, მათ შორის, საგზაო უსაფრთხოებაზე მისი გავლენის შესახებ არა უადრეს 2018 წლის 19 იანვრისა. | | | | ას | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | 1. წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ ამ დირექტივის განხორციელებაში და გაცვალონ ინფორმაცია მათ მიერ გაცემული, გადაცვლილი, შეცვლილი, განახლებული ან გაუქმებული მოწმობების შესახებ. მათ უნდა გამოიყენონ ამ მიზნებისთვის შექმნილი ევროკავშირის მართვის მოწმობების ქსელი მას შემდეგ, რაც ეს ქსელი ფუნქციონირებას დაიწყებს.<br>2. ქსელი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის გაცვლისთვის კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის მიზნით.<br>3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ დირექტივაში მითითებული პირადი მონაცემები დამუშავდება მხოლოდ ამ დირექტივისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/59/EC და 2015/413 დირექტივების განხორციელების მიზნით. ამ დირექტივის ფარგლებში პირადი მონაცემების ნებისმიერი სახის დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/679 (EC) და No 45/2001 რეგულაციებს.<br>4. ქსელში დაშვება დაცული უნდა იყოს. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დაშვების უფლება მიანიჭონ მხოლოდ კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ დირექტივის და 2003/59/EC და (EU) 2015/413 დირექტივების შესრულებასა და შესაბამისობის კონტროლზე. | | | | ას | |
| 16 | წევრმა სახელმწიფოებმა არაუგვიანეს 2011 წლის 19 იანვრისა უნდა მიიღონ და გამოაქვეყნონ კანონები, წესები და ადმინისტრაციული დებულებები, რაც აუცილებელია 1(1) მუხლის, მე-3 მუხლის, 4 (1), (2), (3) და (4) (ბ)-(ლ) მუხლის, 6(1), (2)(ა), (გ), (დ), (ე) მუხლის, 7 (1) (ბ), (გ) და (დ), (2), (3), (5) მუხლის, მე-8 მუხლის, მე-10 მუხლის, მე-13 მუხლის, მე-14 მუხლის, მე-15 მუხლის და I დანართის მე-2 პუნქტის, A1, A2 და A კატეგორიებთან დაკავშირებით II დანართის მე-5.2 პუნქტის, IV, V და VI დანართების მოთხოვნების შესასრულებლად. მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ამ დებულებების ტექსტები კომისიას.<br>2. მათ აღნიშნული დებულებები უნდა გამოიყენონ 2013 წლის 19 იანვრიდან. | | | | ას | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3. როდესაც წევრი სახელმწიფოები იღებენ ამ დებულებებს, ისინი უნდა შეიცავდნენ ამ დირექტივაზე მითითებას, ან თან უნდა ერთვოდეს ამგვარი ცნობა მათი ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ისინი ასევე უნდა შეიცავდნენ აღნიშვნას, რომ მოქმედ კანონებში, წესებში ან ადმინისტრაციულ დებულებებში გაკეთებული მითითება გაუქმებულ დირექტივაზე, განმარტებულ უნდა იქნას, როგორც მითითება წინამდებარე დირექტივაზე. ასეთი მითითებების გაკეთების მეთოდი და მათი ფორმულირება დადგენილ უნდა იქნას წევრი სახელმწიფოსების მიერ.<br>4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას ამ დირექტივის ფარგლებში მათ მიერ მიღებული ეროვნული კანონების ძირითადი დებულებები. | | | | | |
| 17 | დირექტივა 91/439/EEC შეიძლება გაუქმდეს 2013 წლის 19 იანვრიდან, ხსენებული დირექტივის ეროვნული კანონმდებლობაში გადატანისათვის VII დანართის "ბ" ნაწილით განსაზღვრულ ვადებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების დარღვევის გარეშე.<br><br>91/439/EEC დირექტივის მე-2(4) მუხლი უნდა გაუქმდეს 2007 წლის 19 იანვრიდან.<br>მითითებები გაუქმებულ დირექტივაზე, განმარტებულ უნდა იქნას, როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე და წაკითხულ უნდა იქნას VIII დანართში მოცემული კორელაციის ცხრილის შესაბამისად. | | | | ას | |
| 18 | წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.<br>მე-2(1) მუხლი, მე-5 მუხლი, მე-6 (2)(ბ) მუხლი, მე-7 (1) (ა) მუხლი, მე-9 მუხლი, მე-11(1), (3), (4), (5) და (6) მუხლი, მე-12 მუხლი და I, II და III დანართები გამოყენებულ უნდა იქნას 2009 წლის 19 იანვრიდან. | | | | ას | |
| 19 | წინამდებარე დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის. | | | | ას | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანართი I | **დებულებები ევროპის კავშირის მართვის მოწმობის ნიმუშის შესახებ**<br><br>1. ევროპის კავშირის ტიპიური მართვის მოწმობის ბარათის ფიზიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ISO 7810 და ISO 7816-1.<br>ბარათი მზადდება პოლიკარბონატისაგან.<br><br>მართვის მოწმობების მახასიათებლების შემოწმების მეთოდიკა, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა იყოს ISO 10373-ის შესაბამისად.<br><br>2. მართვის მოწმობების ფიზიკური უსაფრთხოება<br>მართვის მოწმობებისათვის ფიზიკური უსაფრთხოების საფრთხეებია:<br>- ყალბი ბარათების დამზადება: ახალი ობიექტის შექმნა, რომელსაც დიდი მსგავსება აქვს დოკუმენტთან, იგი შექმნილია თავიდან ან ორიგინალი დოკუმენტის კოპირებით,<br>- მატერიალური ცვლილება: ორიგინალი დოკუმენტის მახასიათებლის შეცვლა, მაგ: დოკუმენტზე ამობეჭდილი ზოგიერთი მონაცემების მოდიფიკაცია;<br>საერთო უსაფრთხოება ჩადებულია სისტემაში მთლიანობაში, რაც მოიცავს, გამოყენების პროცესს, მონაცემთა გადაცემას, ბარათის მასალას, ბეჭდვის მეთოდს, დაცვის სხვადასხვა მახასიათებლების მინიმალურ კრებულს და პერსონალიზაციის პროცესს.<br>(ა) მართვის მოწმობებისათვის გამოყენებული მასალა დაცული უნდა იყოს გაყალბებისგან, შემდეგი მეთოდიკის გამოყენებით (უსაფრთხოების სავალდებულო მახასიათებლები):<br>- ბარათი უნდა იყოს ულტრაიისფერი გლუვი, | | | | ას | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - უსაფრთხოების ფონური ნახატი შემუშავებულ უნდა იქნას სკანირებით, ბეჭდვით ან კოპირებით გაყალბებისგან დაცული, ცისარტყელასებრი ბეჭდვით მრავალფეროვანი დამცავი მელნების გამოყენებით, აგრეთვე დადებითი და უარყოფითი ორნამენტის ტიპის ბეჭდვით. ნახატი არ უნდა შედგებოდეს ძირითადი ფერებსაგან (CMYK), იგი უნდა შედგებოდეს რთული შაბლონის კონსტრუქციებისაგან, შესრულებული სულ მცირე ორ განსაკუთრებულ ფერში და უნდა შეიცავდეს მიკრობეჭდვით სიმბოლოებს,<br>- ოპტიკურ-ცვალებადი ელემენტები უზრუნველყოფენ ადეკვატურ დაცვას ფოტოსურათის კოპირებისა და გაყალბებისაგან,<br>- ლაზერული გრავირება,<br>- ფოტოსურათის ადგილზე უსაფრთხოებისათვის შემუშავებულ ფონზე ფოტოსურათი უნდა იქნას განთავსებული სულ მცირე მათ საზღვრებზე (შესუსტებული მოდელი).<br>(ზ) გარდა ამისა, მართვის მოწმობებისათვის გამოყენებული მასალა უნდა იყოს გაყალბებისაგან დაცული, შემდეგი ტექნოლოგიებიდან სულ მცირე, სამის გამოყენებით (უსაფრთხოების დამატებითი მახასიათებლები):<br>- ცვალებადი ფერების მელანი*,<br>- თერმოქრომირებული მელანი*,<br>- სპეციალური ჰოლოგრამები*,<br><br>- ცვალებადი ლაზერული გამოსახულებები*,<br>- ულტრაიისფერი ფლურესცენციური მელანი, ხილული და უფერო,<br>- ცისარტყელისებური ბეჭდვა,<br>- ციფრული ჭვირნიშანი ფონზე,<br>- ინფრაწითელი ან ფოსფორიანი პიგმენტები, | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | - ტაქტილური მახასიათებლები, სიმბოლოები ან ნახატები*.<br><br>(გ) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შემოიღონ უსაფრთხოების დამატებითი მახასიათებლები. პატარა ვარსკვლავის ნიშნით მონიშნული მეთოდებს ენიჭებათ უპირატესობა, როგორც საფუძველს, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებს, შეამოწმონ ბარათის სინამდვილე ნებისმიერი სხვა სპეციალური საშუალებების გარეშე.<br><br>3. მოწმობას უნდა ქონდეს ორი მხარე.<br>პირველი გვერდი უნდა შეიცავდეს:<br>(ა) სიტყვებს ‘მართვის მოწმობა’ დაბეჭდილი დიდი შრიფტით მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს ენაზე ან ენებზე;<br>(ბ) მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს სახელი (ნებაყოფლობითი);<br><br>(გ) მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი, ამობეჭდილია ლურჯ მართკუთხედში და გარშემო წრეზე შემორტყმული აქვს თორმეტი ყვითელი ვარსკვლავი; განმასხვავებელი ნიშნები უნდა იყოს შემდეგი:<br><br>B: ბელგია<br>BG: ბულგარეთი<br>CZ: ჩეხეთის რესუპლუბლიკა<br>DK: დანია<br>D: გერმანია<br>EST: ესტონეთი<br>GR: საბერძნეთი<br>E: ესპანეთი<br>F: საფრანგეთი | | | | | |

HR: ხორვატია

IRL: ირლანდია
I: იტალია
CY: კვიპროსი
LV: ლატვია
LT: ლიეტუვა
L: ლუქსემბურგი
H: უნგრეთი
M: მალტა
NL: ნიდერლანდები
A: ავსტრია

PL: პოლონეთი
P: პორტუგალია
RO: რუმინეთი
SLO: სლოვენია
SK: სლოვაკია
FIN: ფინეთი
S: შვედეთი
UK: გაერთიანებული სამეფო;

(დ) მართვის მოწმობისათვის საჭირო ინფორმაცია დანომრილია შემდეგნაირად:
1. მფლობელის გვარი;
2. მფლობელის სახელ(ებ)ი;
3. დაბადების თარიღი და ადგილი;
4. (ა) მართვის მოწმობის გაცემის თარიღი;
(ბ) მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი ან დეფისი იმ შემთხვევაში, თუ მართვის მოწმობა უვადოა მე-7(2)(c) მუხლის შესაბამისად;

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (გ) მოწმობის გამცემი შესაბამისი ორგანოს სახელი (შესაძლებელია დაიბეჭდოს მე-2 გვერდზე);<br>(დ) მე-5 სათაურის ქვეშ 1-დან სხვადასხვა რიცხვი ადმინისტრაციული მიზნისათვის (ნებაყოფლობითი);<br>5. მოწმობის ნომერი;<br>6. მფლობელის ფოტოსურათი;<br>7. მფლობელის ხელმოწერა;<br>8. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან საფოსტო ინდექსი (ნებაყოფლობითი);<br>9. სატრანსპორტო საშუალების (საშუალებების) კატეგორია, რომლის მართვის უფლებაც აქვს მფლობელს (ეროვნული კატეგორიები უნდა დაიბეჭდოს ჰარმონიზებული კატეგორიებისაგან განსხვავებული შრიფტით);<br><br>(ე) სიტყვები ‘ევროპის კავშირის ნიმუში’ მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოების ანაზე (ენებზე) და სიტყვები ‘მართვის მოწმობა’ ევროკავშირის სხვა ენებზე, ამობეჭდილია ვარდისფრად მოწმობის ფონის შექმნისათვის:<br>Свидетелство за управление на МПС<br>Permiso de Conducción<br>Řidičský průkaz<br>Kørekort<br>Führerschein<br>Juhiluba<br>Άδεια Οδήγησης<br>Driving Licence<br>Permis de conduire<br><br>Ceadúas Tiomána | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | Vozačka dozvola<br><br>Patente di guida<br>Vadītāja apliecība<br>Vairuotojo pažymėjimas<br>Vezetői engedély<br>Liċenzja tas-Sewqan<br>Rijbewijs<br>Prawo Jazdy<br>Carta de Condução<br>Permis de conducere<br>Vodičský preukaz<br>Vozniško dovoljenje<br>Ajokortti<br>Körkort;<br><br>(ვ) ფერის ცნობარი<br>- ლურჯი სარკისებრი-ლურჯი პანტონის სისტემაში,<br>- ყვითელი: ყვითელი პანტონის სისტემაში.<br>მეორე გვერდი უნდა შეიცავდეს<br>(ა) 9. სატრანსპორტო საშუალების (საშუალებების) კატეგორიას, რომლის მართვის უფლებაც მინიჭებული აქვს მფლობელს (ეროვნული კატეგორიები უნდა დაიბეჭდოს ჰარმონიზებული კატეგორიებისაგან განსხვავებული შრიფტით);<br><br>10. თითოეული კატეგორიის პირველად გაცემის თარიღი (აღნიშნული თარიღი უნდა განმეორდეს ახალ მართვის მოწმობაში, მართვის მოწმობის აღდგენის ან გამოცვლის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შემთხვევაში);თარიღის თითოეული ნაწილი უნდა დაიწეროს ორი ციფრით და შემდეგი თანმიმდევრობით (დდ.თთ.წწ);<br><br>11. თითოეული კატეგორიის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი; თარიღის თითოეული ნაწილი უნდა დაიწეროს ორი ციფრით და შემდეგი თანმიმდევრობით (დდ.თთ.წწ);<br><br>12. დამატებითი ინფორმაცია/შეზღუდვა (შეზღუდვები), კოდირებული ფორმით, რომლებიც ეხება შესაბამის კატეგორიებს.<br>კოდები უნდა იყოს შემდეგი:<br>— კოდები 01-დან 99-მდე: ევროპის კავშირის ჰარმონიზებული კოდები<br>მძღოლი (სამედიცინო მიზეზები)<br>01. მხედველობის კორექცია და/ან დაცვა<br>01.01. სათვალეები<br>01.02. კონტაქტური ლინზა (ლინზები)<br>01.05. თვალის საფარი<br>01.06. სათვალეები ან კონტაქტური ლინზები<br>01.07. სფეციფიკური ოპტიკური დახმარების საშუალება<br><br>02. სმენის დახმარების/საკომუნიკაციო დახმარების საშუალებები<br>03. პროთეზი/ორთოპედიული აპარატი კიდურებისათვის<br>03.01. ზედა კიდურის პროთეზი/ორთოპედიული აპარატი<br>03.02. ქვედა კიდურის პროთეზი/ორთოპედიული აპარატი<br><br>**სატრანსპორტო საშუალებების ადაპტაციები**<br>10. მოდიფიცირებული გადაცემათა კოლოფი<br>10.02. გადაცემის ავტომატური შერჩევა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 10.04. ადაპტირებული გადაცემათა კოლოფის საკონტროლო მოწყობილობა<br>15. მოდიფიცირებული გადაბმულობა<br>15.01. ადაპტირებული გადაბმულობის პედალი<br>15.02. ხელით მართვადი გადაბმულობა<br>15.03. ავტომატური გადაბმულობა<br>15.04. გადაბმულობის პედლის დაბრკოლების ან ამოქმედების თავიდან აცილების ზომები<br>20. მოდიფიცირებული სამუხრუჭე სისტემები<br>20.01. ადაპრტირებული სამუხრუჭე პედალი<br>20.03. მარცხენა ფეხით გამოყენებისთვის შესაფერისი სამუხრუჭე პედალი<br>20.04. მოცურების სამუხრუჭე პედალი<br>20.05. გადახრილი სამუხრუჭე პედალი<br>20.06. ხელით მართვადი მუხრუჭი<br>20.07. მუხრუჭის ..... N მაქსიმალური ძალით მუშაობა (მაგალითად: '20.07(300N)')<br>20.09. ადაპტირებული პარკირების მუხრუჭი<br>20.12. სამუხრუჭე პედლის დაბრკოლების ან ამოქმედების თავიდან აცილების ზომები<br>20.13. მუხლით მართვადი მუხრუჭი<br>20.14. გარეგანი ძალის მხარდაჭერით მართვადი სამუხრუჭე სისტემა<br>25. მოდიფიცირებული ამაჩქარებელის სისტემა<br>25.01. ადაპტირებული ამაჩქარებელი პედალი<br>25.03. გადახრილი ამაჩქარებელი პედალი<br>25.04. ხელით მართვადი ამაჩქარებელი<br><br>25.05. მუხლით მართვადი ამაჩქარებელი<br>25.06. გარეგანი ძალით მხარდაჭერით მართვადი ამაჩქარებელი<br>25.08. ამაჩქარებელი პედალი მარცხენა მხარეს | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 25.09. ამაჩქარებელი პედლის დაბრკოლების ან ამოქმედების თავიდან აცილების ზომები<br><br>31. პედლის ადაპტირებები და პედლის უსაფრთხოების ზომები<br>31.01. პარალელური პედლების დამატებითი კომპლექტი<br>31.02. პედლები ერთ დონეზე (ან თითქმის ერთ დონეზე)<br>31.03. ამაჩქარებელი და სამუხრუჭე პედლების დაბრკოლების ან ამოქმედების თავიდან აცილების ზომები, როდესაც პედლები არ იმართება ფეხით<br>31.04. აწეული ძირი<br><br>32. კომბინირებული ძირითადი მუხრუჭის და ამაჩქარებლის სისტემები<br>32.01. ამაჩქარებელი და ძირითადი მუხრუჭი, როგორც კომბინირებული სისტემა, რომელიც იმართება ერთი ხელის გამოყენებით<br>32.02. ამაჩქარებელი და ძირითადი მუხრუჭი, როგორც კომბინირებული სისტემა, რომელიც იმართება გარეგანი ძალის დახმარებით<br><br>33. კომბინირებული ძირითადი მუხრუჭის, ამაჩქარებლის და საჭის მართვის სისტემები<br>33.01. ამაჩქარებელი, ძირითადი მუხრუჭი და საჭის მართვის სისტემა, როგორც კომბინირებული სისტემა იმართება გარეგანი ძალის დახმარებით ერთი ხელის გამოყენებით<br>33.02. ამაჩქარებელი, ძირითადი მუხრუჭი და საჭის მართვის სისტემა, როგორც კომბინირებული სისტემა, რომელიც იმართება გარეგანი ძალის დახმარებით ორი ხელის გამოყენებით | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 35. მოდიფიცირებული საკონტროლო განლაგებები (სანათების ჩამრთველები, საქარე მინის გამწმენდი/სარეცხი, სიგნალი, მიმართულების მაჩვენებლები და სხვა.)<br>35.02 საჭის ხელის გასაშვების გარეშე მართვადი საკონტროლო მოწყობილობები<br>35.03 საჭის მარცხენა ხელის გასაშვების გარეშე მართვადი საკონტროლო მოწყობილობები<br>35.04 საჭის მარჯვენა ხელის გასაშვების გარეშე მართვადი საკონტროლო მოწყობილობები<br>35.05 საჭის, ამაჩქარებლისა და სამუხრუჭე მექანიზმების ხელის გაშვების გარეშე მართვადი საკონტროლო მოწყობილობები<br>40. მოდიფიცირებული საჭის მექანიზმი<br>40.01 საჭის მექანიზმის..... N მაქსიმალური ძალით მართვა (მაგალითად: ‘40.01(140N)’)<br><br>40.05 ადაპტირებული საჭის მართვის სისტემა (უფრო ფართო/უფრო სქელი საჭის მართვის სისტემის სექცია, შემცირებული დიამეტრი და სხვა.)<br>40.06. საჭის ადაპტირებული პოზიცია<br>40.09. ფეხით მართვადი საჭის მექანიზმი<br>40.11. საჭის დამხმარე მოწყობილობა<br>40.14. ერთი ხელით/მკლავით მართვადი ალტერნატიული ადაპტირებული საჭის მართვის სისტემა<br>40.15. ორი ხელით/მკლავით მართვადი ალტერნატიული ადაპტირებული საჭის მართვის სისტემა<br>42. მოდიფიცირებული უკანა/გვერდითი ხედვის მოწყობილობა<br>42.01. უკანა ხედვის ადაპტირებული მოწყობილობა<br>42.03. დამატებითი შიდა მოწყობილობა, რომელიც იძლევა გვერდითი ხედვის საშუალებას<br>42.05. დაფარული ზონის დასანახი მოწყობილობა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 43. მძღოლის სავარძლის პოზიცია<br>43.01. მძღოლის სავარძლის სიმაღლე ნორმალური ხედვისათვის და ნორმალურ დისტანციაზე საჭესთან და პედლებთან.<br>43.02. სხეულის ფორმაზე ადაპტირებული მძღოლის სავარძელი<br>43.03. მძღოლის სავარძელი გვერდითი საყრდენით კარგი სტაბილურობისთვის<br>43.04. მძღოლის სავარძლის მაჯის დასაყრდენი<br>43.06. უსაფრთხოების ღვედის ადაპტირება<br>43.07. უსაფრთხოების ღვედის ტიპი საყრდენით კარგი სტაბილურობისთვის<br>44. მოდიფიკაციები მოტოციკლებისათვის (სავალდებულო ქვეკოდების გამოყენება)<br>44.01. ერთი ფუნქციით მართვადი მუხრუჭი<br>44.02. ადაპტირებული წინა ბორბლის მუხრუჭი<br>44.03. ადაპტირებული უკანა ბორბლის მუხრუჭი<br>44.04. ადაპტირებული ამაჩქარებელი<br>44.08. სავარძლის სიმაღლე, რომელიც საშუალებას აძლევს მძღოლს, მჯდომარე პოზიციაში ორივე ფეხი იქონიოს ზედაპირზე და ამავდროულად დააბალანსოს მოტოციკლი გაჩერებისას და დგომისას<br>44.09. წინა ბორბლის მუხრუჭის მაქსიმალური მართვის ძალა ..... N (მაგალითად ’44.09(140 N)’)<br><br>44.10. უკანა ბორბლის მუხრუჭის მაქსიმალური მართვის ძალა ..... N (მაგალითად ’44.10(240 N)’)<br>44.11. ადაპტირებული ფეხის დასაყრდენი<br>44.12. ადაპტირებული სახელური<br>45. მოტოციკლი მხოლოდ გვერდითა ეტლით<br>46. მხოლოდ სამთვლიანი მოტოციკლი | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 47. შემოიფარგლება ორზე მეტ თვლიან სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც დაძვრისას, გაჩერებისას და დგომისას არ სჭირდება მძღოლის მიერ ბალანსის დაცვა.<br>50. შემოიფარგლება მხოლოდ სპეციფიკური სატრანსპორტო საშუალების/შასის ნომრით (სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი, VIN)<br>ასოები, რომლებიც გამოიყენება 01-44 კოდებთან კომბინაციაში შემდეგი ჩამონათვალისთვის:<br>a მარცხენა<br>b მარჯვენა<br>c ხელი<br>d ფეხი<br>e შუა<br>f მკლავი<br>g ცერი<br><br>**კოდების შეზღუდული გამოყენება**<br><br>61. შეზღუდულია დღისით მგზავრობებზე (მაგალითად: ერთი საათი მზის ამოსვლიდან და ერთი საათი მზის ჩასვლამდე)<br>62. შეზღუდულია მგზავრობისათვის ....კმ რადიუსის ფარგლებში მფლობელის საცხოვრებელი ადგილიდან ან მხოლოდ ქალაქში/რეგიონში<br>63. მართვა მგზავრების გარეშე<br>64. შეზღუდულია მგზავრობისთვის არაუმეტეს ... კმ/ს სიჩქარით<br>65. მართვა ნებადართულია მხოლოდ, სულ მცირე ექვივალენტური კატეგორიის მართვის მოწმობის მფლობელის თანხლებით<br>66. მისაბმელის გარეშე<br>67. ავტომაგისტრალებზე მართვის აკრძალვა<br>68. ალკოჰოლის აკრძალვა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 69. შემოიფარგლება სატრანსპორტო საშუალების მართვით, რომელიც აღჭურვილია ალკოჰოლის დაბლოკვის მოწყობილობით EC 50436-ის შესაბამისად. ვარგისიანობის ვადის მითითება ნებაყოფლობითია (მაგალითად, ‘69’ ან ‘69(01.01.2016)’)<br><br>**ადმინისტრაციული საკითხები**<br><br>70. მოწმობის ნომრის შეცვლა … გაცემული… მიერ (ევროკავშირის/ გაეროს განმასხვავებელი ნიშანი მესამე ქვეყნის შემთხვევაში; მაგალითად, 70.0123456789.NL)<br><br>71. N....... მოწმობის ასლი (გაეროს/ევროკავშირის განმასხვავებელი ნიშანი მესამე ქვეყნის შემთხვევაში; მაგალითად: 71.987654321.HR)<br><br>73. შემოიფარგლება B კატეგორიის კვადროციკლის ტიპის სატრანსპორტო საშუალებებით (B1)<br><br>78. შემოიფარგლება ავტომატური გადაცემათა კოლოფის სატრანსპორტო საშუალებებით<br><br>79. (…) შეზღუდულია იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც შეესაბამება ფრჩხილებში მოცემულ სპეციფიკაციებს, ამ დირექტივის მე-13 მუხლის გამოყენებისთვის<br>79.01. შეზღუდულია ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალებებით გვერდითი ეტლით ან მის გარეშე<br>79.02. შეზღუდულია AM კატეგორიის სამთვლიანი ან მცირე კვადროციკლის ტიპის სატრანსპორტო საშუალებებით<br>79.03. შეზღუდულია სამთვლიანი მოტოციკლებით | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 79.04. შეზღუდულია სამთვლიანი მოტოციკლებით მისაბმელებით, რომელთა მაქსიმუმი ნებადართული წონა არ აღემატება 750 კილოგრამს.<br>79.05. A1 კატეგორიის მოტოციკლი 0,1კვტ/კგ-ზე მეტი სიმძლავრის დიაპაზონით<br>79.06. BE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება თუ მისაბმელის მაქსიმალური ნებადართული მასა აჭარბებს 3500 კილოგრამს<br><br>80. შეზღუდულია A კატეგორიის სამთვლიანი მოტოციკლეტის ტიპის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მფლობელებით, რომლებსაც არ მიუღწევიათ 24 წლამდე.<br>81. შეზღუდულია A კატეგორიის ორთვლიანი მოტოციკლის ტიპის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მფლობელებით, რომლებსაც არ მიუღწევიათ 21 წლამდე.<br>95. CPC-ს მფლობელი მძღოლები, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული შესაბამისობის ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია 2003/59/EC დირექტივაში ნაწილში… (მაგალითად: ‘95.(01.01.12)’)<br>96. B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა მაქსიმალური მასა, მისაბმელთან ერთად აღემატება 750 კგ-ს, თუ ამგვარი კომბინაციის მაქსიმალური ნებადართული მასა აღემატება 3500 კგ-ს მაგრამ არ აღემატება 4250 კგ-ს.<br><br>97. არ არის უფლებამოსილი მართოს C1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ხვდება საბჭოს (EEC) No 3821/85 დადგენილების ფარგლებში.<br>— კოდები 100 და ზემოთ: ეროვნული კოდები, რომლებიცვარგისია მხოლოდ მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თუ კოდები ვრცელდება ყველა კატეგორიაზე, რომელთათვისაც გაიცემა მოწმობა, აღნიშნული შეიძლება დაიბეჭდოს 9, 10 და 11 სათაურების ქვეშ.<br><br>13. ამ დანართის მე-4(ა) ნაწილის იმპლემენტაციისას, დატოვებულია ადგილი მასპინძელი წევრი სახელმწიფოს მიერ მართვის მოწმობის ადმინისტრირებისათვის არსებითი ინფორმაციის შესაძლო შესატანად;<br><br>14. დატოვებულია ადგილი მართვის მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ მართვის მოწმობის ადმინისტრირებისათვის ან საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული (ნებაყოფლობითი) არსებითი ინფორმაციის შესაძლო შესატანად. თუ ინფორმაცია დაკავშირებულია წინამდებარე დანართში მოცემულ ერთ-ერთ პუნქტთან იგი უნდა დამუშავდეს შესაბამისი პუნქტებით.<br><br>მფლობელის სპეციალური წერილობითი თანხმობით, ინფორმაცია, რომელიც არ არის მართვის მოწმობის ადმინისტრირებისათვის ან საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, შესაძლოა ასევე დაემატოს ამ დატოვებულ ადგილას; ამგვარი დამატება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ცვლიდეს მართვის მოწმობის ნიმუშის, როგორც მართვის მოწმობის გამოყენებას;<br><br>(ბ) მართვის მოწმობის პირველ და მეორე გვერდებზე მოცემული შემდეგი დანომრილი პუნქტების განმარტება: 1, 2, 3, 4 (ა), 4(ბ), 4 (გ), 5, 10, 11 და 12; | | | | | |

თუ წევრ სახელმწიფოს სურს ინფორმაცია შეიტანოს ეროვნულ ენაზე, რომელიც არ არის ერთ-ერთი შემდეგი ენათაგანი: ბულგარული, ხორვატიული, ჩეხური, დანიური, ჰოლანდიური, ინგლისური, ესტონური, ფინური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, უნგრული, იტალიური, ლატვიური, ლიეტუვური, მალტური, პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, სლოვაკური, სლოვენიური, ესპანური ან შვედური, იგი შეადგენს მართვის მოწმობის ორენოვან ვერსიას, ზემოაღნიშნულიდან ერთ-ერთი ენის გამოყენებით, წინამდებარე დანართის სხვა დებულებების დარღვევის გარეშე;

(გ) ადგილი უნდა იქნას დატოვებული ევროკავშირის მართვის მოწმობის ნიმუშზე, რათა შესაძლებელი იყოს მიკროჩიპის ან მსგავსი კომპიუტერული მოწყობილობის ჩამატება.

4. სპეციალური დებულებები

(ა) თუ წინამდებარე დანართის შესაბამისად წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელს სხვა წევრ სახელმწიფოში აქვს მისი საცხოვრებელი ადგილი, იმ წევრ სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს მართვის მოწმობაში ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მისი ადმინისტრირებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ მას ამ ტიპის ინფორმაცია ასევე შეაქვს მის მიერ გაცემულ მოწმობებში და თუ საკმარისი ადგილია დარჩენილი ამ მიზნისათვის.

(ბ) კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ, წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაამატოს ფერები ან აღნიშვნები, მაგალითად: შტრიხკოდები და ეროვნული სიმბოლოები, წინამდებარე დანართის სხვა დებულებების დარღვევის გარეშე.

მოწმობების ურთიერთაღიარების კონტექსტში შტრიხკოდი შეიძლება არ შეიცავდეს ინფორმაციას, გარდა იმისა, რაც

შეიძლება უკვე იკითხებოდეს მოწმობებზე ან, რომელიც აუცილებელია მოწმობის გაცემის პროცესისათვის.

(გ) ბარათის წინა და უკანა მხარეებზე დატანილი ინფორმაცია მკაფიოდ უნდა ჩანდეს, მინიმალური 5 ერთეული სიმაღლის სიმბოლოების გამოყენებით 9-12-მდე პუნქტებისათვის უკანა მხარეს.

**ევროპის კავშირის მართვის მოწმობის ნიმუში**

გვერდი 1




გვერდი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | <br> | | | | | |
| დანართი II | **1. პრაქტიკული გამოცდების მინიმალური სტანდარტები**<br><br>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა დარწმუნდნენ, რომ  მართვის მოწმობის მიღების მსურველი განმცხადებლები ფლობენ ცოდნასა და უნარებს და ავლენს  სატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის საჭირო ქცევას. აღნიშნულთან დაკავშირებული გამოცდები უნდა შეიცავდეს:<br>- თეორიული გამოცდას და შემდეგ<br>- უნარებისა და ქცევის გამოცდას.<br><br>პირობები, რომლის შესაბამისადაც უნდა ჩატარდეს გამოცდა მოცემულია ქვემოთ.<br>ა. თეორიული გამოცდა<br>1. ფორმა | 2 | 58.7 | 7. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების | ნშ | კანონპროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2019 წლის 1 ივლისამდე უნდა უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობა. შესაბამისად, კანონის ამოქმედებისთანავ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შერჩეული ფორმა უნდა იყოს ისეთი, რომლითაც დამტკიცდება, რომ განმცხადებელს აქვს მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში ჩამოთვლილი საგნების ცოდნა. | | | დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. | | ე ცვლილებები შევა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო |
| | ერთი კატეგორიის მართვის მოწმობის მსურველი ნებისმიერი განმცხადებელი, რომელმაც ჩააბარა თეორიული გამოცდა სხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვებისათვის შეიძლება გათავისუფლებულ იქნას მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების ზოგადი დებულებების შესრულებისგან. | 4 | 21.1 | 1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა შესაბამისი მართვის უფლების მისაღები (თეორიული ან/და პრაქტიკული) გამოცდა. | | |
| | **2. ყველა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების თეორიული გამოცდის შინაარსი**<br><br>2.1. კითხვები დასმულ უნდა იქნას ქვემოთ მოცემულ ყველა პუნქტზე, კითხვის შინაარსი და ფორმა რჩება თითოეული წევრი სახელმწიფოს დისკრეციად:<br>2.1.1. საგზაო მოძრაობის რეგულაციები:<br>- კერძოდ, რაც შეეხება საგზაო ნიშნებს, მარკირებებს და სიგნალებს, უპირატესი მოძრაობის უფლებებსა და სიჩქარის გადაჭარბების შეზღუდვებს; | 4 | 26.1 | 1. მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის ჩატარების მიზანია მძღოლობის კანდიდატის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება. | | |
| | 2.1.2. მძღოლი:<br>- სიფრთხილისა და მოძრაობის სხვა მომხმარებლებთან დამოკიდებულების მნიშვნელობა, | 4 | 32.1 | 1. პრაქტიკული გამოცდის მიზანია მძღოლობის კანდიდატის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლინება, ავტომობილის მართვის პროცესში თეორიული ცოდნის გამოყენების ეფექტურობის შემოწმება. | | |
| | - აღქმა, შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით მძღოლის რეაქციის დრო, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მართვის ქცევების ცვლილება, ალკოჰოლის, ნარკოტიკების და მედიკამენტების ზეგავლენის შედეგად, ფსიქიკური მდგომარეობა და დაღლილობა;<br><br>2.1.3. გზა: | 4 | 32.2 | 2. პრაქტიკული გამოცდის დროს, მძღოლობის კანდიდატმა, საგამოცდო ავტომობილი ისე უნდა მართოს, რომ მასში მჯდომი გამომცდელი თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს. გამომცდელმა უნდა მიაქციოს | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | - სატრანსპორტო საშუალებებს შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვის, სამუხრუჭე დისტანციების დაცვის და სხვადასხვა ამინდისა და საგზაო პირობებში გზის ფლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპები,<br>- სატრანსპორტო საშუალების მართვის რისკ-ფაქტორები დაკავშირებული გზის სხვადასხვა პირობებთან, კერძოდ, როდესაც ისინი იცვლება ამინდთან ერთად და დღის ან ღამის დროს,<br>- სხვადასხვა ტიპის გზის მახასიათებლები და მათთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნები;<br>- უსაფრთხო მოძრაობა საგზაო გვირაბებში. | | | ყურადღება სატრანსპორტო საშუალების მართვისას მძღოლობის კანდიდატის მიერ პოზიტიური და ნეგატიური ჩვევების გამოვლენას. პრაქტიკული გამოცდის განმავლობაში გამომცდელს უნდა შეექმნას საერთო სურათი, თუ რამდენად ადაპტირებულად და თავდაჯერებულად მართავს კანდიდატი სატრანსპორტო საშუალებას. | | ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“. |
| | 2.1.4. გზის სხვა მომხმარებლები:<br>- განსაკუთრებული რისკ-ფაქტორები დაკავშირებულია გზის სხვა მომხმარებელთა გამოცდილების ნაკლებობასთან და ყველაზე დაუცველი კატეგორიის მომხმარებლებთან, როგორებიც არიან ბავშვები, ფეხით მოსიარულეები, ველოსიპედისტები და ხალხი, რომელთა გადაადგილების უნარი შეზღუდულია, | 4 | 32.3 | 3. პრაქტიკული გამოცდა ტარდება ავტოდრომზე ან დახურულ მოედანზე, რომელიც ამ წესის შესაბამისად აღჭურვილია გამოცდის მისაღებად საჭირო ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით. | | |
| | - რისკები, რომლებსაც მოიცავს სხვადასხვა სახეობების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და მართვა, ასევე მათი მძღოლების მართვისა და მხედველობის სხვადასხვა არეალი;<br>2.1.5. ზოგადი წესები, რეგულაციები და სხვა საკითხები:<br>- ადმინისტრაციულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც საჭიროა სატრანსპორტო საშუალებების გამოსაყენებლად,<br>- ზოგადი წესები, რომლებიც ადგენენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მძღოლი ავტო-საგზაო შემთხვევის დროს (გამაფრთილებელი მოწყობილობის დამონტაჟება და | 4 | 32.4 | 4. თითოეული კატეგორიისა და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნათა გათვალისწინებით, პარქტიკული გამოცდის ავტოდრომი და დახურულ მოედანი, აღჭურვილი უნდა იქნეს შემდეგი საგამოცდო ელემენტებით (შემდგომში - საგამოცდო ელემენტები):<br>ა) “პარალელური პარკირება“;<br>ბ) „ზიგზაგი“;<br>გ) „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანი“( „მოძრაობის მიმართულების შეცვლა“); | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განგაშის სიგნალის გადაცემა) და საჭიროების შემთხვევაში, ზომები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას ავტო-საგზაო შემთხვევის დროს დაზარალებული პირებისათვის დახმარების გასაწევად,<br>- სატრანსპორტო საშუალებასთან, ტვირთის გადატანასთან და მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ფაქტორები;<br><br>2.1.6. სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოსვლის დროს აუცილებელი უსაფრთხოების ზომები;<br>2.1.7. საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მექანიკური ასპექტები; მართვის მოწმობის აღების მსურველ განმცხადებლებს უნდა შეეძლოთ ზოგადი გაუმართაობების გამოვლენა, კერძოდ: საჭის, დაკიდების სისტემის, სამუხრუჭე სისტემების, საბურავების, განათებების და მიმართულებების მაჩვენებლების, უკანა ხედვის სარკეების, საქარე მინისა და საწმენდების, მარყუჩის სისტემის, უსაფრთხოების ღვედების და ხმოვანი სიგნალის მოწყობილობების;<br><br>2.1.8. სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების მოწყობილობები და განსაკუთრებით უსაფრთხოების ღვედის, თავის დამჭერი ბალიშების და ბავშვების სპეციალური დამცავი მოწყობილობის გამოყენება;<br>2.1.9. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების წესები (შესაბამისი ხმოვანი გამაფრთხილებელი სიგნალების გამოყენება, საწვავის ხარჯის შემცირება, დამაბინძურებელი გამონაბოლქვის შეზღუდვა და სხვა).<br><br>**3. A1, A2 და A კატეგორიებთან დაკავშირებული განსაკუთრებული დებულებები**<br>3.1. ზოგადი ცოდნის სავალდებულო შემოწმება შემდეგზე: | 4 | 32.5 | დ) „ბოქსი ავტომობილის უკუსვლით სადგომზე დასაყენებლად“ („უკუსვლით პარკირება“);<br>ე) „რვიანი“;<br>ზ)“აღმართი“ (დახრა არანაკლებ 16%-ისა). „აღმართის“ ესტაკადის მოწყობის ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ბუნებრივი რელიეფი. „აღმართიანი“ უბნის ელემენტი ყველა ტიპის ავტომობილებისათვის უნდა აღიჭურვოს ტექნიკური საშუალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მასზე გასვლის უსაფრთხოებას;<br>თ) „პლატფორმასთან უკუსვლით პარკირების უბანი“;<br>ი)„საგაბარიტო წრეში მობრუნება“ (ელემენტის არ არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანისათვის“ განკუთვნილი ტერიტორია).<br>5. საგზაო მოძრაობის რეალურ პირობებთან მიახლოების მიზნით, დასაშვებია ავტოდრომზე და დახურულ მოედანზე ორი ან მეტი საგზაო მოძრაობის ზოლიანი გზის, გზაზე მოწესრიგებული ან მოუწესრიგებული გზაჯვარედინის, მოწესრიგებული ან მოუწერიგებელი ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელის ან/და მოწესრიგებული ან მოუწერიგებელი რკინიგზის გადასასვლელის მოწყობა, აგრეთვე საგზაო მოძრაობის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.1. ისეთი დამცავი ეკიპირების გამოყენება როგორებიცაა, ხელთათმანები, ყელიანი ფეხსაცმელები, ტანსაცმელები და უსაფრთხოების ჩაფხუტი;<br><br>3.1.2. გზის სხვა მომხმარებელთათვის მოტოციკლისტის ხილვადობა;<br>3.1.3. რისკ-ფაქტორები დაკავშირებული სხვადასხვა ზემოთ ხსენებულ საგზაო პირობებთან, რაც გულისხმობს ყურადღების გამახვილებას გზის რთულ მონაკვეთებზე, კერძოდ: სადრენჟე სისტემის ლუქები, საგზაო აღნიშვნები, როგორებიცაა ზოლები ისრები, ტრამვაის ლიანდაგები;<br><br>3.1.4. ზემოთ ხსენებული მექანიკური ასპექტები დაკავშირებული საგზაო უსაფრთხოებასთან, ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული საავარიო შუქის ანთებისას, ზეთის დონეზე ან ჯაჭვზე.<br><br>**4. C, CE, C1, C1E, D, DE, D1 და D1E კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები**<br><br>4.1. ზოგადი ცოდნის სავალდებულო შემოწმება შემდეგზე:<br><br>4.1.1. სატრანსპორტო საშუალებების მართვის და დასვენების პერიოდების შესახებ წესები, როგორც ეს განსაზღვრულია საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული გარკვეული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EC) No 561/2006 რეგულაციით; ჩამწერი მოწყობილობების გამოყენება, როგორც ეს განსაზღვრულია საგზაო ტრანსპორტში ჩამწერი მოწყობილობის შესახებ (EEC) No 3821/85 რეგულაციით; | | | ორგანიზებისათვის საგზაო ნიშნების დადგმა, საგზაო მონიშვნებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.1.2. შესაბამისი ტრანსპორტის სახეობასთან დაკავშირებული წესები: ტვირთების ან მგზავრების;<br><br>4.1.3. სატრანსპორტო საშუალების და ტრანსპორტის დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ტვირთების გადატანისა და მგზავრების გადაყვანისათვის;<br>4.1.4. როგორ უნდა მოვიქცეთ ავტო-საგზაო შემთხვევების დროს, ავტო-საგზაო შემთხვევის ან მსგავსი გარემოების შემდეგ მისაღები ზომების ცოდნა, მათ შორის, გადაუდებელი მოქმედება, როგორიცაა მგზავრების ევაკუაცია და პირველადი დახმარების ზოგადი ცოდნა;<br>4.1.5. უსაფრთხოების ზომები საბურავების მოხსნის და გამოცვლის დროს;<br>4.1.6. წესები სატრანსპორტო საშუალებების წონასა და ზომაზე; წესები სიჩქარის შეზღუდვაზე;<br>4.1.7. ხედვის არეალის დაბრკოლება გამოწვეული საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების მახასიათებლებით;<br>4.1.8. საგზაო რუქის, სამარშრუტო გეგმების წაკითხვა, მათ შორის, ელექტრონული ნავიგაციის სისტემების გამოყენება (ნებაყოფლობითი);<br>4.1.9. სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ფაქტორები: ტვირთის კონტროლი (ჩალაგება და დამაგრება), სირთულეები სხვადასხვა სახეობების ტვირთების დროს (მაგ. სითხეები, დაკიდებული ტვირთები,…), ტვირთების დატვირთვა და გადმოტვირთვა და დამტვირთველი მოწყობილობების გამოყენება (მხოლოდ C, CE, C1, C1E კატეგორიებისათვის);<br>4.1.10. მძღოლების პასუხისმგებლობა მგზავრების გადაყვანაზე; მგზავრების კომფორტი და უსაფრთოება, ბავშვების ტრანსპორტირება; აუცილებელი შემოწმებები სატრანსპორტო საშუალების დაძვრამდე; ყველა ტიპის ავტობუსი უნდა იყოს | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თეორიული გამოცდის ნაწილი (საზოგადოებრივი და ტურისტული ავტობუსები, ავტობუსები სპეციალური ზომებით,...) (მხოლოდ D, DE, D1, D1E კატეგორიებისათვის).<br><br>4.1ა. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება (EEC) No 3821/85 რეგულაციის ფარგლებს გარეთ, C1 ან C1E კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის მოწმობის მსურველი განმცხადებლები გაათავისუფლონ<br>4.1.1.-დან 4.1.3-.დე პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებზე ცოდნის დემონსტრირებისაგან.<br><br>4.2. ზოგადი ცოდნის სავალდებულო შემოწმება C, CE, D და DE კატეგორიებთან დაკავშირებით შემდეგ დამატებით დებულებებზე:<br>4.2.1. კონსტრუქციისა და ფუნქციონირების პრინციპები: შიდა წვის ძრავების, სითხეების (მაგ: ძრავის ზეთი, გამაგრილებელი, სარეცხი სითხე), საწვავის სისტემის, ელექტრო სისტემის, დაქოქვის სისტემის, გადაცემათა სისტემის (გადაბმულობის სისტემის, გადაცემათა კოლოფის, და სხვა);<br><br>4.2.2. საპოხი მასალების და ანტიფრიზის დაცვა;<br>4.2.3. აწყობის, მორგების, საბურავების სწორი გამოყენების და დაცვის პრინციპები;<br>4.2.4. სახეობების, მოქმედების, ძირითადი ნაწილების, შეერთებების, სამუხრუჭე სარქველების და სიჩქარის მარეგულირებელი სისტემების, გამოყენების და ყოველდღიური მომსახურების და ანტი-ბლოკირების სამუხრუჭე სისტემის გამოყენების პრინციპები;<br>4.2.5. სახეობების, ოპერაციის, ძირითადი ნაწილების, შეერთებების, დაწყვილების სისტემების გამოყენების და ყოველდღიური მომსახურების (მხოლოდ CE, DE კატეგორიები) პრინციპები; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.2.6. მწყობრიდან გამოსვლის მიგნების მეთოდები;<br><br>4.2.7. სატრანსპორტო საშუალებების პროფილაქტიკური რემონტი და სავალდებულო შეკეთებები;<br>4.2.8. მძღოლის პასუხისმგებლობა ტვირთების მიღებასთან, გადატანასათან და მიწოდებასთან დაკავშირებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად (მხოლოდ C, CE კატეგორიები).<br><br>ბ. უნარებისა და ქცევის გამოცდა<br><br>**5. სატრანსპორტო საშუალება და მისი მოწყობილობა**<br><br>5.1. სატრანსპორტო საშუალების გადაცემათა კოლოფი<br><br>5.1.1. მექანიკურ გადაცემათა კოლოფის სატრანსპორტო საშუალების მართვა შესაძლებელია მექანიკურ გადაცემათა კოლოფის სატრანსპორტო საშუალებაზე უნარებისა და ქცევის გამოცდების ჩაბარებით.<br>‘სატრანსპორტო საშუალება მექანიკური გადაცემათა კოლოფით’ ნიშნავს სატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც გადაბმულობის პედალი (ან მექანიკურად მომუშავე ბერკეტი A, A2 და A1 კატეგორიებისათვის) გააჩნია და მუშაობს მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების დაძვრისას ან გაჩერებისას და სიჩქარეების შეცვლისას.<br>5.1.2. სატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ პასუხობს 5.1.1. პუნქტში მოცემულ კრიტერიუმებს, ითვლება, რომ აქვს ავტომატური გადაცემათა კოლოფი.<br>5.1.3. მუხლის დარღვევის გარეშე, თუ განმცხადებელი გაივლის უნარებისა და ქცევის გამოცდას ავტომატურ გადაცემათა კოლოფიანი სატრანსპორტო საშუალებით, ეს უნდა ჩაიწეროს | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ამგვარი ტესტის საფუძველზე გაცემულ ნებისმიერ მოწმობაში. მართვის მოწმობები ამგვარი მითითებით გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფიანი სატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის.<br><br>5.1.3. C, CE, D და DE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული დებულებები<br>წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ 5.1.2. პუნქტში მითითებული C, CE, D ან DE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობაზე არ ჩაიწეროს შეზღუდვა ავტომატურ გადაცემათა კოლოფიანი სატრანსპორტო საშუალებებზე, როდესაც განმცხადებელი უკვე ფლობს მექანიკურ გადაცემათა კოლოფიან სატრანსპორტო საშუალებაზე მიღებულ, სულ მცირე, ერთ-ერთი შემდეგი კატეგორიის მართვის მოწმობას: B, BE, C, CE, C1, C1E, D, DE, D1 ან D1E და შეასრულა 8.4. პუნქტში განსაზღვრული მოქმედებები უნარებისა და ქცევის გამოცდის დროს.<br><br>5.2. სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება უნარებისა და ქცევის გამოცდებისათვის უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემულ მინიმალურ კრიტერიუმებს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან დებულებები მეტად მკაცრი კრიტერიუმებით ან დაამატონ სხვები. წევრმა სახელმწიფოებმა A1, A2 და A კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე შეიძლება გაავრცელონ და გამოიყენონ უნარებისა და ქცევის გამოცდაში 5 სმ$^3$ ტოლერანტობა საჭირო მინიმალური ცილინდრის მოცულობის ქვემოთ.<br><br>კატეგორია A1:<br>A1 კატეგორიის მოტოციკლი გვერდითა ეტლის გარეშე, რომლის სიმძლავრეც არ აღემატება 11კვ-ს და და სიმძლავრე | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოცულობასთან მიმართებით არ აღემატება 0,1 კვ/კგ-ს და შეუძლია განავითაროს სულ მცირე 90 კმ/სთ სიჩქარე;<br>თუ მოტოციკლი აღჭურვილია შიდა წვის ძრავით, ძრავის ცილინდრის მოცულობა უნდა იყოს სულ მცირე 120 სმ$^3$.<br>თუ მოტოციკლი აღჭურვილია ელექტრო ძრავით, სატრანსპორტო საშუალების სიმძლავრე მოცულობასთან მიმართებით უნდა იყოს სულ მცირე 0,08კვ/კგ;<br>კატეგორია A2:<br>მოტოციკლი გვერდითა ეტლის გარეშე, რომლის სიმძლავრეც შეადგენს სულ მცირე 20კვ-ს, მაგრამ არ აღემატება 35კვ-ს და სიმძლავრე მოცულობასთან მიმართებით არ აღემატება 0,2კვ/კგ-ს.<br><br>თუ მოტოციკლი აღჭურვილია შიდა წვის ძრავით, ძრავის კუბადურა უნდა იყოს სულ მცირე 400 სმ$^3$.<br>თუ მოტოციკლი აღჭურვილია ელექტრო ძრავით, სატრანსპორტო საშუალების სიმძლავრე მოცულობასთან მიმართებით უნდა იყოს სულ მცირე 0,15კვ/კგ;<br>კატეგორია A:<br>მოტოციკლი გვერდითა ეტლის გარეშე, რომლის დაუტვირთავი მასა არის 180 კგ-ზე მეტი მინიმუმ 50 კვ სიმძლავრით. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება დაუშვას საჭირო წონაზე 5 კგ-თი ნაკლები ტოლერანტობა.<br><br>თუ მოტოციკლი აღჭურვილია შიდა წვის ძრავით, ძრავის კუბადურა უნდა იყოს სულ მცირე 600 სმ$^3$.<br>თუ მოტოციკლი აღჭურვილია ელექტრო ძრავით, სატრანსპორტო საშუალების სიმძლავრე მოცულობასთან მიმართებით უნდა იყოს სულ მცირე 0,25კვ/კგ;<br><br>წევრმა სახელმწიფომ შეიძლება 2018 წლის 31 დეკემბამდე დაუშვას A კატეგორიის მოტოციკლების გამოყენება, რომელთა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაუტვირთავი მასა არის 180 კგ-ზე ნაკლები და სიმძლავრე აქვთ სულ მცირე 40 კვ და 50 კვ-ზე დაბალი;<br><br>კატეგორია B:<br><br>ოთხთვლიანი B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც შეუძლია მინიმუმ 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება;<br>კატეგორია BE:<br>კომბინაცია შედგება B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისა და მისაბმელისაგან მაქსიმალური ნებადართული მასით არა ნაკლებ 1 000 კგ, მინიმალური სიჩქარით 100 კმ/სთ, რომელიც არ ხვდება B კატეგორიაში; მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთის ძარისგან, რომელიც არის სულ მცირე სატრანსპორტო საშუალების სიფართე და სიმაღლე; დახურული ყუთი შეიძლება აგრეთვე იყოს სატრანსპორტო საშუალების სიფართეზე ოდნავ პატარა, იმ შემთხვევაში, თუ უკანა ხედის დანახვა შესაძლებელია, მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების გარეთა გვერდითა ხედვის სარკეების გამოყენებით; მისაბმელი წარმოდგენილი უნდა იყლოს 800 კგ მინიმალური საერთო მასით;<br><br>კატეგორია B1:<br>მოტორიზებული კვადრიციკლი, რომელიც ანვითარებს სიჩქარეს მინიმუმ 60 კმ/სთ-ს;<br><br>კატეგორია C:<br>C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება მაქსიმალურად ნებადართული მასით არა ნაკლებ 12 000 კგ, სიგრძით მინიმუმ 8 მ, სიგანით მინიმუმ 2,40 მ და სიჩქარით სულ მცირე 80 კმ/სთ; მას აქვს ბლოკირების საწინააღმდეგო სამუხრუჭე სისტემა, აღჭურვილია გადაცემათა კოლოფით, რომელიც ითვალისწინებს მძღოლის მიერ სიჩქარის მექანიკურად შერჩევას | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | და ჩამწერი მოწყობილობა, როგორც ეს განსაზღვრულია (EEC) No 3821/85 რეგულაციით; ტვირთის გადასატანი განყოფილება შედგება დახურული ყუთისაგან, რომელიც კაბინასავით ფართო და მაღალია; სატრანსპორტო საშუალება წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმალური საერთო მასით 10 000 კგ;<br><br>კატეგორია CE:<br>არტიკულირებული სატრანსპორტო საშუალება ან C კატეგორიის სატესტო სატრანსპორტო საშუალებისა და მისაბმელს კომბინაცია მინიმალური სიგრძით 7,5მ; ორივე არტიკულირებული და კომბინირებულ სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ქონდეს მაქსიმალური ნებადართული მასა მინიმუმ 20 000 კგ,  სიგრძე უნდა იყოს მინიმუმ 14 მ და სიგანე 2,40 მ, უნდა შეეძლოს მინიმუმ 80 კმ/სთ სისწრაფის განვითარება, აღჭურვილი უნდა იყოს ბლოკირების საწინააღმდეგო სამუხრუჭე სისტემით, გადაცემათა სიისტემით მძღოლის მიერ სიჩქარის მექანიკურად შერჩევის უზრუნველყოფით და ჩამწერი მოწყობილობით, როგორც ეს განსაზღვრულია (EEC) No 3821/850 რეგულაციით; სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული კოლოფის ძარისგან, რომელიც არის სულ მცირე კაბინის სიფართე და სიმაღლე; ორივე არტიკულირებული სატრანსპორტო საშუალება და კომბინაცია წარმოდგენილ უნდა იყოს სულ მცირე 15 000 კგ ნამდვილი მთლიანი მასით;<br><br>კატეგორია C1:<br>C1 ქვეკატეგორიის  სატრანსპორტო საშუალება მაქსიმალური ნებადართული მასით მინიმუმ  4 000 კგ, სიგრძით მინიმუმ 5 მ სულ მცირე 80 კმ/სთ-ში სისწრაფის განვითარების შესაძლებლობით; აღჭურვილი უნდა იყოს ბლოკირების საწინააღმდეგო სამუხრუჭე სისტემით და ჩამწერი აღჭურვილობით (EEC) No 3821/85 რეგულაციის შესაბამისად; სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კოლოფის ძარისგან, რომელიც არის სულ მცირე კაბინის სიფართე და სიმაღლე;<br><br>კატეგორია C1E:<br>C1 ქვეკატეგორიის საგამოცდო სატრანსპორტო საშუალების და მისაბმელის კომბინაცია, მაქსიმალური ნებადართული მასით მინიმუმ 1250 კგ; აღნიშნული კომბინაცია უნდა იყოს მინიმუმ 8 მ სიგრძის და შეეძლოს სულ მცირე 80 კმ/სთ სისწრაფის განვითარება; მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთის ძარისგან, რომელიც არის სულ მცირე კაბინის სიფართე და სიმაღლე; დახურული ყუთის ძარა შეიძლება აგრეთვე იყოს კაბინაზე ოდნავ პატარა სიფართის, იმ შემთხვევაში, თუ უკანა ხედის დანახვა შესაძლებელია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების გარეთა გვერდითა ხედვის სარკეების გამოყენებით; მისაბმელის ნამდვილი მთლიანი მასა უნდა იყოს მინიმუმ 800 კგ;<br><br>კატეგორია D:<br>D კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები სულ მცირე 10 მ სიგრძის, სიფართის მინიმუმ 2,40 მ და სულ მცირე 80 კმ/სთ-ში სისწრაფის განვითარების შესაძლებლობით, აღჭურვილი უნდა იყოს ბლოკირების საწინააღმდეგო სამუხრუჭე სისტემით და ჩამწერი აღჭურვილობით (EEC) No 3821/85 რეგულაციის შესაბამისად;<br><br>კატეგორია DE:<br>D კატეგორიის საგამოცდო სატრანსპორტო საშუალებისა და მისაბმელის კომბინაცია, მაქსიმალური ნებადართული მასით მინიმუმ 1 250 კგ, სიფართით 2,40მ და შეეძლოს სულ მცირე 80 კმ/სთ სისწრაფის განვითარება; მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული კოლოფის ძარისგან, რომელიც არის სულ მცირე 2 მ სიგანის და 2 მ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სიმაღლის; მისაბმელის ნამდვილი მთლიანი მასა უნდა იყოს მინიმუმ 800 კგ;<br><br>კატეგორია D1:<br>D1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება მაქსიმალური ნებადართული მასით სულ მცირე 4 000 კგ, სიგრძით მინიმუმ 5 მ და შეეძლოს სულ მცირე 80 კმ/სთ სისწრაფის განვითარება; აღჭურვილი უნდა იყოს ბლოკირების საწინააღმდეგო სამუხრუჭე სისტემით და ჩამწერი აღჭურვილობით (EEC) No 3821/85 რეგულაციის შესაბამისად;<br><br>კატეგორია D1E:<br>D1 ქვეკატეგორიის საგამოცდო სატრანსპორტო საშუალებისა და მისაბმელის კომბინაცია, მაქსიმალური ნებადართული მასით მინიმუმ 1 250 კგ და შეეძლოს სულ მცირე 80 კმ/სთ სისწრაფის განვითარება; მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული კოლოფის ძარისგან, რომელიც არის სულ მცირე 2 მ სიგანის და 2 მ სიმაღლის; მისაბმელის ნამდვილი მთლიანი მასა უნდა იყოს მინიმუმ 800 კგ;<br><br>BE, C, CE, C1, C1E, D, DE, D1 და D1E კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ არიან შესაბამისობაში ზემოთ მოცემულ მინიმალურ კრიტერიუმებთან, მაგრამ მათი გამოყენება ხდებოდა წინამდებარე დირექტივის ძალაში შესვლის მომანტში ან ძალაში შესვლამდე, მათი გამოყენება შეიძლება ისევ იყოს ნებადართული იმ თარიღიდან არაუმეტეს ათი წლის პერიოდისა. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვებთან დაკავშირებული მოთხოვნები შეიძლება განხორციელდეს წევრი სახელმწიფოების მიერ 2000/56/EC კომისიის დირექტივის ძალაში შესვლიდან 10 წლამდე პერიოდის განმავლობაში. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 6. A1, A2 და A კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული მართვის უნარები და ქცევები<br><br>*6.1. სატრანსპორტო საშუალებების მომზადება და ტექნიკური შემოწმება საგზაო უსაფრთხოებისათვის*<br>განმცხადებლებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ შეუძლიათ მოემზადონ უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილებით:<br>6.1.1. ისეთი დამცავი საშუალებების მორგება, როგორებიცაა, ხელთათმანები, ყელიანი ფეხსაცმელები, ტანსაცმელი და უსაფრთხოების ჩაფხუტი;<br>6.1.2. საბურავების, სამუხრუჭე სისტემის, საჭის მექანიზმისა და ავარიული შუქების ჩამრთველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯაჭვის, ზეთის დონის, შუქების, ამრეკლების, მიმართულებების მაჩვენებლებისა და ხმოვანი სიგნალის გამაფრთხილებელი მოწყობილობის შერჩევითი შემოწმების განხორციელება.<br><br>*6.2. საგზაო უსაფრთხოებაზე გამოსაცდელი სპეციალურ მანევრები*<br>6.2.1. მოტოციკლის საყრდენზე დაყენება და მისი გადაადგილება ძრავის დახმარების გარეშე სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად ფეხით სიარულით;<br>6.2.2. მოტოციკლის პარკირება მის საყრდენზე;<br>6.2.3. მინიმუმ ორი მანევრი, მათ შორის, სლალომი უნდა შესრულდეს დაბალი სიჩქარით; აღნიშნულით შესაძლებელი იქნება შეფასდეს გადაბმულობის მართვის კომპეტენცია მუხრუჭთან, ბალანსთან, მხედველობით მიმართულებასთან, მოტოციკლზე პოზიციასა და ფეხის დასადებებზე ფეხების პოზიციასთან ერთობლიობაში; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 6.2.4. მინიმუმ ორი მენევრი უნდა შესრულდეს მაღალ სისწრაფეზე, რომელთაგანაც ერთი უნდა შესრულდეს მეორე ან მესამე სიჩქარეში, მინიმალური სისწრაფით 30 კმ/სთ და ერთი მანევრი დაბრკოლების ასარიდებლად მინიმუმ 50 კმ/სთ-ს სიჩქარით; აღნიშნულით შესაძლებელი იქნება შეფასდეს მოტოციკლზე ჯდომის პოზიცია, მხედველობითი მიმართულება, ბალანსი, მოხვევის ტექნიკა და სიჩქარის შეცვლის ტექნიკა;<br>6.2.5. სამუხრუჭე სისტემა: მინიმუმ ორი სამუხრუჭე სავარჯიშო უნდა შესრულდეს, მათ შორის, ხელის მუხრუჭის გამოყენება მინიმუმ 50 კმ/სთ-ს სიჩქარეზე; აღნიშნულით შესაძლებელი იქნება წინა და უკანა მუხრუჭების გამოყენების, ხედვის მიმართულების და მოტოციკლზე პოზიციის კომპეტენციების შეფასება.<br>6.2.3 - 6.2.5 პუნქტებში მითითებული განსაკუთრებული მანევრები, უნდა განხორციელდეს 2000/56/EC დირექტივის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 5 წლის შემდეგ.<br><br>*6.3. ქცევა მოძრაობისას*<br>განმცხადებლებმა უნდა შეასრულონ ყველა ქვემოთ მოცემილი მოქმედებები, ჩვეულებრივი მოძრაობის სიტუაციებისას, სრული უსაფრთოებისა და ყველა საჭირო სიფრთხილის ნორმების დაცვით:<br>6.3.1. მოძრაობის დაწყება: პარკირების შემდეგ, მოძრაობაში გაჩერების შემდეგ; გასვლა და საავტომობილო გზიდან გასვლა;<br><br>6.3.2. მოძრაობა სწორ გზებზე; შემხვედრი ავტომობილების გასწრება, მათ შორის, შეზღუდულ სივრცეში;<br>6.3.3. მოძრაობა წრიულ მოსახვევებში;<br>6.3.4. გზაჯვარედინები: გადაკვეთებთან და გზაჯვარედინებთან მიახლოება და გადაკვეთა; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 6.3.5. მიმართულებების შეცვლა: მარცხნივ და მარჯვნივ მოხვევა; საგზაო ზოლების შეცვლა;<br>6.3.6. მიახლოება/გასვლა ავტომაგისტრალზე ან მსგავს გზებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიერთება ჩქაროსნული ზოლიდან; ნელი მოძრაობის ზოლის დატოვება;<br><br>6.3.7. გასწრება/გვერდის ავლა: სხვა ტრანსპორტის გასწრება (თუ შესაძლებელია); დაბრკოლებების გვერდით მართვა მაგ: პარკირებული მანქანები, სხვა ტრანსპორტის მიერ გასწრება (საჭიროების შემთხვევაში);<br><br>6.3.8. განსაკუთრებული საგზაო მახასიათებლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): წრიული მოედნები; რკინიგზის გადასასვლელები; ტრამვაის/ავტობუსის გაჩერებები; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები, აღმართზე ასვლა/ჩასვლა გრძელ დაქანებებზე; გვირაბები;<br><br>6.3.9. სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოსვლის დროს საჭირო სიფრთხილის ნორმების დაცვა.<br><br>**7. B, B1 და BE კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული გამოსაცდელი უნარები და ქცევები**<br><br>*7.1. სატრანსპორტო საშუალების მომზადება და ტექნიკური შემოწმება საგზაო უსაფრთხოებისათვის*<br>განმცხადებლებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ შეუძლიათ მოემზადონ უსაფრთხოდ გადააგილებისათვის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილებით:<br>7.1.1. სავარძლის დარეგულირება, რაც აუცილებელია ჯდომის სწორი პოზიციის მისაღებად; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 7.1.2. უკანა ხედვის სარკეების, უსაფრთხოების ღვედისა და არსებობის შემთხვევაში თავის დამჭერი ბალიშების დარეგულირება;<br>7.1.3. კარების შემოწმება ჩაკეტილია თუ არა;<br>7.1.4. საბურავების, საჭის მექანიზმის, სამუხრუჭე სისტემების, სითხეების (მაგ: ძრავის ზეთი, გამაგრილებელი სითხე, სარეცხი სითხე), სინათლეების, ამრეკლების, მიმართულებების მანიშნებლების და ხმოვანი სიგნალის გამაფრთხილებელი მოწყობილობის შერჩევითი შემოწმების განხორციელება.<br><br>7.1.5. სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვასთან დაკავშირებული უსაფთხოების ფაქტორების შემოწმება: ძარის, ბრეზენტის, გადამზიდის კარების, კაბინის ჩამკეტის, დატვირთვის მეთოდების, ტვირთის დამაგრების (მხოლოდ BE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის);<br>7.1.6. მისაბმელი მექანიზმის, მუხრუჭების და ელექტრო შეერთებების შემოწმება (მხოლოდ BE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის);<br>*7.2. B და B1 კატეგორიები: განსაკუთრებული მენევრი, რომლებიც უნდა შემოწმდეს საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით*<br>შემდეგი შერჩეული მანევრები უნდა იქნას შემოწმებული (ოთხიდან მინიმუმ ორი მანევრი, მათ შორის, ერთი უკუსვლა):<br>7.2.1. უკუსვლა პირდაპირ, უკუსვლა მარჯვნივ ან მარცხნივ წრეზე ან კუთხეში სწორი საგზაო ზოლის შენარჩუნებით;<br>7.2.2. სატრანსპორტო საშუალების შემობრუნება საპირისპირო მხარეს, წინა და უკუსვლის გადაცემის გამოყენებით;<br>7.2.3. სატრანსპორტო საშუალების პარკირება და პარკირების ადგილიდან გასვლა (პარალელური, ირიბ ან მარჯვენა-კუთხეში, წინა ან უკანა სვლით, სწორ ადგილას, აღმართზე ან დაღმართზე); | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 7.2.4. გაჩერებაზე ზუსტი დამუხრუჭება; თუმცა ავარიული დამუხრუჭება ნებაყოფლობითია.<br>*7.3. BE კატეგორია: განსაკუთრებული მენევრი, რომლებიც უნდა შემოწმდეს საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით*<br>7.3.1. მისაბმელის სატრანსპორტო საშუალებაზე მიბმა და მოხსნა ან მოხსნა და ხელახლა მიბმა; მანევრი უნდა შეიცავდეს წამყვანი სატრანსპორტო საშუალების მისაბმელის გვერდით პარკირებას (მაგ: არა ერთ ხაზზე);<br><br>7.3.2. უკუსვლით მოძრაობა მრუდე ხაზზე, რომლის ნაწილი, უნდა დარჩეს წევრი სახელმწიფოს დისკრეციად;<br>7.3.3. დატვირთვა/ჩამოტვირთვისათვის უსაფრთხო პარკირება.<br>*7.4. ქცევა მოძრაობისას*<br>განმცხადებლებმა უნდა შეასრულონ ყველა შემდეგი მოქმედებები, ჩვეულებრივი მოძრაობის სიტუაციებისას, სრული უსაფრთოებისა და ყველა საჭირო სიფრთხილის ნორმების დაცვით.<br>7.4.1. მოძრაობის დაწყება: პარკირების შემდეგ, მოძრაობაში გაჩერების შემდეგ; გასვლა და საავტომობილო გზიდან გასვლა;<br>7.4.2. მოძრაობა სწორ გზებზე; შემხვედრი ავტომობილების გასწრება, მათ შორის, შეზღუდულ სივრცეში;<br>7.4.3. მოძრაობა წრიულ მოსახვევებში;<br><br>7.4.4. გზაჯვარედინები: გადაკვეთებთან და გზაჯვარედინებთან მიახლოება და გადაკვეთა;<br>7.4.5. მიმართულებების შეცვლა: მარცხნივ და მარჯვნივ მოხვევა; საგზაო ზოლების შეცვლა;<br>7.4.6. მიახლოება/გასვლა ავტომაგისტრალზე ან მსგავს გზებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიერთება ჩქაროსნული ზოლიდან; ნელი მოძრაობის ზოლის დატოვება;<br>7.4.7. გასწრება/გვერდის ავლა: სხვა ტრანსპორტის გასწრება (თუ შესაძლებელია); დაბრკოლებების გვერდით მართვა, მაგ: | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პარკირებული მანქანების, სხვა ტრანსპორტის მიერ გასწრება (საჭიროების შემთხვევაში);<br><br>7.4.8. განსაკუთრებული საგზაო მახასიათებლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): წრიული მოედნები; რკინიგზის გადასასვლელები; ტრამვაის/ავტობუსის გაჩერებები; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები, აღმართზე ასვლა/ ჩასვლა გრძელ დაქანებებზე; გვირაბები;<br><br>7.4.9. სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოსვლის დროს საჭირო სიფრთხილის ნორმების დაცვა.<br><br>**8. C, CE, C1 C1E, D, DE, D1 და D1E კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული გამოსაცდელი უნარები და ქცევები**<br><br>*8.1. სატრანსპორტო საშუალების მომზადება და ტექნიკური შემოწმება საგზაო უსაფრთხოებისათვის*<br>განმცხადებლებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ შეუძლიათ მოემზადონ უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილებით:<br>8.1.1. სავარძლის დარეგულირება, რაც აუცილებელია ჯდომის სწორი პოზიციის მისაღებად;<br>8.1.2. უკანა ხედვის სარკეების, უსაფრთხოების ღვედისა და არსებობის შემთხვევაში თავის დამჭერი ბალიშების დარეგულირება;<br>8.1.3. საბურავების, საჭის მექანიზმის, სამუხრუჭე სისტემების, სინათლეების, ამრეკლების, მიმართულებების მანიშნებლების და ხმოვანი სიგნალის გამაფრთხილებელი მოწყობილობის შერჩევითი შემოწმების განხორციელება. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 8.1.4. გაძლიერებული სამუხრუჭე და საჭის სისტემების შემოწმება; საბურავების მდგომარეობის შემოწმება, საბურავების დასამაგრებელი ჭანჭიკები, ფარები ტალახისაგან დასაცავად, ქარსარიდი მინა, ფანჯრები და კარის მინები და შუშის საწმენდები, სითხეები (მაგ: ძრავის ზეთი, გამაგრილებელი და სარეცხი სითხეები); ინსტრუმენტების პანელის, მათ შორის, ჩამწერი მოწყობილობის შემოწმება და გამოყენება No 3821/85 რეგულაციის (EEC) შესაბამისად. ეს უკანასკნელი მოთხოვნა არ ვრცელდება C1 ან C1E კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის განმცხადებლებზე, რომლებიც არ ხვდებიან ამ რეგულაციის მოქმედების სფეროში;<br><br>8.1.5. ჰაერის წნევის, ჰაერის რეზერვუარის და დაკიდების სისტემის შემოწმება;<br><br>8.1.6. სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვასთან დაკავშირებული უსაფთხოების ფაქტორების შემოწმება: შასის, ბრეზენტის, გადამზიდის კარების, ჩატვირთვის მექანიზმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კაბინის ჩაკეტვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დატვირთვის გზები, ტვირთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მხოლოდ C, CE, C1, C1E კატეგორიებისათვის);<br>8.1.7. გადაბმის მექანიზმის, მუხრუჭების და ელექტრო შეერთებების შემოწმება (მხოლოდ CE, C1E, DE, D1E კატეგორიებისათვის);<br>8.1.8. სატრანსპორტო საშუალების განსაკუთრებული ზომების მიღების უნარი: ძარის, დამხმარე კარების, სათადარიგო გასასვლელების, პირველადი დახმარების მოწყობილობების, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ხანძარმაქრების და უსაფრთხოების სხვა მოწყობილობების (მხოლოდ D, DE, D1, D1E კატეგორიებისათვის) კონტროლი;<br>8.1.9. საგზაო რუქის, სამარშრუტო გეგმის წაკითხვა, მათ შორის, ელექტრონული ნავიგაციის სისტემების გამოყენება (ნებაყოფლობით);<br>8.2. *საგზაო უსაფრთხოებაზე გამოსაცდელი სპეციალურ მანევრები*<br>8.2.1. მისაბმელის სატრანსპორტო საშუალებაზე მიბმა და მოხსნა ან მოხსნა და ხელახლა მიბმა; მანევრი უნდა შეიცავდეს წამყვანი სატრანსპორტო საშუალების მისაბმელის გვერდით პარკირებას (მაგ: არა ერთ ხაზზე); (მხოლოდ CE, C1E, DE, D1E კატეგორიებისათვის);<br>8.2.2. უკუსვლით მოძრაობა მრუდე ხაზზე, რომლის ნაწილი, რომელიც უნდა დარჩეს წევრი სახელმწიფოს დისკრეციად;<br>8.2.3. პარკირების უსაფრთხოება დატვირთვა/გადმოტვირთვისათვის დასატვირთ ბაქანზე ან მსგავსი ტიპის მოწყობილობაზე (მხოლოდ C, CE, C1, C1E კატეგორიებისათვის);<br>8.2.4. პარკირება, რომელიც მგზავრებს მისცემს ავტობუსში უსაფრთხოდ ასვლა-ჩამოსვლის საშუალებას (მხოლოდ D, DE, D1, D1E კატეგორიებისათვის).<br><br>*8.3. ქცევა მოძრაობისას*<br><br>განმცხადებლებმა უნდა შეასრულონ ყველა შემდეგი მოქმედებები, ჩვეულებრივი მოძრაობის სიტუაციებისას, სრული უსაფრთოებისა და ყველა საჭირო სიფრთხილის ნორმების დაცვით.<br>8.3.1. მოძრაობის დაწყება: პარკირების შემდეგ, მოძრაობაში გაჩერების შემდეგ; გასვლა და საავტომობილო გზიდან გასვლა;<br>8.3.2. მოძრაობა სწორ გზებზე; შემხვედრი ავტომობილების გასწრება, მათ შორის, შეზღუდულ სივრცეში; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 8.3.3. მოძრაობა წრიულ მოსახვევებში;<br>8.3.4. გზაჯვარედინები: გადაკვეთებთან და გზაჯვარედინებთან მიახლოება და გადაკვეთა;<br>8.3.5. მიმართულებების შეცვლა: მარცხნივ და მარჯვნივ მოხვევა; საგზაო ზოლების შეცვლა;<br>8.3.6. მიახლოება/გასვლა ავტომაგისტრალზე ან მსგავს გზებზე (არსებობის შემთხვევაში): მიერთება ჩქაროსნული ზოლიდან; ნელი მოძრაობის ზოლის დატოვება;<br>8.3.7. გასწრება/გვერდის ავლა: სხვა ტრანსპორტის გასწრება (თუ შესაძლებელია); დაბრკოლებების გვერდით მართვა, მაგ: პარკირებული მანქანების, სხვა ტრანსპორტის მიერ გასწრება (საჭიროების შემთხვევაში);<br><br>8.3.8. განსაკუთრებული საგზაო მახასიათებლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): წრიული მოედნები; რკინიგზის გადასასვლელები; ტრამვაის/ავტობუსის გაჩერებები; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები, აღმართზე ასვლა/დაღმართზე ჩასვლა გრძელ დაქანებებზე; გვირაბები;<br><br>8.3.9. სატრანსპორტო საშუალებებიდან ჩამოსვლის დროს საჭირო სიფრთხილის ნორმების დაცვა.<br><br>*8.4. სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო და ენერგო-ეფექტური მართვა*<br><br>8.4.1. სატრანსპორტო საშალების იმგვარად მართვა, რომ უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოება და სატრანსპორტო საშუალების აჩქარებისას, შენელებისას, აღმართზე და დაღმართზე მოძრაობისას შემცირდეს საწვავის მოხმარება და ემისია, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემების მექანიკური შერჩევის გზით. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **9. სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული გამოცდის შეფასება**<br><br>9.1. თითოეული ზემოთ ხსნებული მართვის სიტუაციისათვის შეფასება უნდა ასახავდეს ხარისხს, თუ რამდენად იოლად შეუძლია განმცხადებელს სატრანსპორტო საშუალების მართვა და მის დემონსტრირებულ შესაძლებლობას ტრანსპორტის მოძრაობისას მართოს თავისი სატრანსპორტო საშუალება სრულიად უსაფრთხოდ. გამომცდელი გამოცდის განმავლობაში თავს უნდა გრძნობდეს უსაფრთხოდ და დაცულად. მართვის დროს დაშვებული შეცდომა ან წარმოქმნილი საფრთხე, უშუალოდ საგამოცდო სატრანსპორტო საშუალებას უქმნის საფრთხეს. მისი მგზავრები ან გზის სხვა მომხმარებლები, ჯარიმდებიან გამოცდაზე ჩაჭრით, მიუხედავად იმისა უნდა ჩაერიოს თუ არა გამომცდელი ან თანმხლები პირი. მიუხედავად ამისა, გამომცდელი თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებაში ჩათვალოს თუ არა გამოცდა ჩაბარებულად.<br><br>მართვის უნარების გამომცდელები უნდა იყვნენ მომზადებულები, რათა ზუსტად და ობიექტურად შეაფასონ კანდიდატების შესაძლებლობა სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვაზე. სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელებს ზედამხედველობას უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ ავტორიზებული ორგაო, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების ზუსტი და ერთგვაროვანი გამოყენება წინამდებარე დანართში მოცემული სტანდარტების შესაბამისად.<br><br>9.2. მათი შეფასებისას, სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ავლენს თუ არა განმცხადებელი თავდაცვით და საზოგადოებრივ ქცევებს სატრანსპორტო საშუალების მართვის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დროს. აღნიშნულმა უნდა გამოავლინოს მართვის საერთო სტილი და სატრანსპორტო საშუალების მართვის გამომცდელმა უნდა გაითვალისწინოს  განმცხადებლის საერთო სურათი. აღნიშნული მოიცავს ადაპტირებულ და განსაზღვრულ (უსაფრთხო) მართვის სტილს, გზის და ამინდის პირობების გათვალისწინებით, სხვა საგზაო მოძრაობის გათვალისწინებით, გზის სხვა მომხმარებლების ინტერესების (განსაკუთრებით უფრო დაუცველების) და უპირატესობის გათვალისწინებით.<br><br>9.3. გარდა აღნიშნულისა, სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამოცმდელი  განმცხადებელს აფასებს შემდეგნაირად:<br><br>9.3.1. სატრანსპორტო საშუალების კონტროლი: უსაფრთხოების ღვედის, უკანა ხედვის სარკეების, თავის დამჭერი ბალიშების და სავარძლების სათანადო გამოყენება; შუქებისა და სხვა მოწყობილობების სათანადო გამოყენება გადაბმულობის, გადაცემათა კოლოფის, ამაჩქარებლის, სამუხრუჭე სისტემის (მათ შორის, მესამე სამუხრუჭე სისტემა, ასეთის არსებობის შემთხვევაში), საჭის სისტემის სათანადო გამოყენება; სატრანსპორტო საშუალების კონტროლი სხვადასხვა გარემოებების დროს, სხვადასხვა სიჩქარეზე;  მდგრადობა გზაზე;  მასა და ზომები და სატრანსპორტო საშუალების სხვა მახასიათებლები; ტვირთის წონა და სახეობა (მხოლოდ BE, C, CE, C1, C1E, DE, D1E კატეგორიებისათვის); მგზავრების კომფორტულობა (მხოლოდ D, DE, D1, D1E კატეგორიებისათვის) (არა სწრაფად აჩქარება, რბილი მართვა და არა ძლიერი დამუხრუჭება);<br><br>9.3.2. სატრანსპორტო საშუალების მართვა ეკონომიურად, უსაფრთხოდ და ენერგო-ეფექტურად, წუთში ბრუნის, სიჩქარეთა ცვლის, დამუხრუჭებისა და აჩქარება | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გათვალისწინებით (მხოლოდ B, BE, C, CE, C1, C1E, D, DE, D1, D1E კატეგორიებისათვის);<br>9.3.3. დაკვირვება: ყოველმხრივი დაკვირვება, სარკეების სათანადო გამოყენება, შორი, საშუალო, ახლო მანძილის ხედვა;<br>9.3.4. პრიორიტეტის მინიჭება/გზის დათმობა: პრიორიტეტი გზაჯვარედინებზე, გადასასვლელებზე და გზების კვეთებზე; გზის დათმობა სხვა შემთხვევებში (მაგ: მიმართულების შეცვლისას, ზოლების შეცვლისას, განსაკუთრებული მანევრებისას);<br><br>9.3.5. გზაზე სწორი პოზიცია: გზაზე, ზოლებში, წრიულ მოედნებზე, წრიულ მოსახვევებში სათანადო პოზიცია, სატრანსპორტო საშუალებების სახეობისა და მახასიათებლების შესაბამისად; პოზიციის წინასწარ დაჭერა;<br>9.3.6. დისტანციის დაცვა: ადეკვატური დისტანციის დაცვა წინ და გვერდით; დისტანციის დაცვა გზის სხვა მომხმარებლებთან მიმართებით;<br>9.3.7. სიჩქარე: არ უნდა აჭარბებდეს მაქსიმალურ ნებადართულ სიჩქარეს; სიჩქარის ადაპტირება ამინდის/საგზაო მოძრაობის პირობებზე და სადაც საჭიროა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრული დასაშვები სიჩქარის ფარგლებში; ისეთი სიჩქარით მოძრაობა, რომლითან შესაძლებელია დისტანციის ფარგლებში დამუხრუჭება ხილვად და თავისუფალ გზაზე; სიჩქარის ადაპტირება იმავე ტიპის გზის მომხმარებლებთა საშუალო სიჩქარის შესაბამისად;<br>9.3.8. შუქნიშნები, საგზაო ნიშნები და სხვა მაჩვენებლები: შუქნიშნებთან სწორი მოქმედება; საგზაო მოძრაობის მაკონტროლებლების მითითებების დამორჩილება; საგზაო ნიშნებთან სწორი მოქმედება; (აკრძალვები და მითითებები); საგზაო ნიშნულებთან შესაბამისი მოქმედება;<br>9.3.9. სიგნალის გამოყენება: სიგნალის მიცემა საჭიროების შემთხვევაში, სწორად და სათანადო დროით; მიმართულებების | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სწორად მითითება; გზის სხვა მომხმარებლების მიერ გამოყენებულ სიგნალზე სათანადო მოქმედება;<br>9.3.10. დამუხრუჭება და შეჩერება: დროული შენელება, გარემოებების მიხედვით დამუხრუჭება ან შეჩერება; უპირატესობა; სხვადასხვა სამუხრუჭე სისტემების გამოყენება, (მხოლოდ C, CE, D, DE კატეგორიებისათვის); სამუხრუჭე სისტემის გარდა სიჩქარის შენელების სისტემების გამოყენება (მხოლოდ C, CE, D, DE კატეგორიებისათვის).<br><br>10. **გამოცდის ხანგრძლივობა**<br><br>გამოცდის ხანგრძლივობა და გავლილი მანძილი უნდა იყოს საკმარისი, წინამდებარე დანართის B პუნქტში მოცემული უნარებისა და ქცევის შესაფასებლად. არც ერთ გარემოებაში მართვის დრო არ უნდა იყოს 25 წუთზე ნაკლები A, A1, A2, B, B1 და BE კატეგორიებისათვის და 45 წუთზე ნაკლები სხვა კატეგორიებისათვის. აღნიშნული დრო არ მოიცავს განმცხადებლის მიღებას, სატრანსპორტო საშუალების მომზადებას, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ შემოწმებას საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მანევრებსა და პრაქტიკული გამოცდის შედეგის გამოცხადებას.<br><br>11. **გამოცდის ჩატარების ადგილი**<br>სპეციალური მნევრებისათვის გამოცდის ნაწილი შეიძლება ჩატარდეს სპეციალურ საგამოცდო მოედანზე. სადაც შესაძლებელია, პრაქტიკული გამოცდის ის ნაწილი, როდესაც ფასდება კანდიდატის ქცევა საგზაო მოძრაობაში, უნდა ჩატარდეს გზებზე დასახლებელი პუნქტების გარეთ, ჩქაროსნულ ავტოსტრადებზე და ავტომაგისტრალებზე (ან მსგავს ტერიტორიებზე), ასევე ქალაქის ისეთ ქუჩებში (დასახლებული პუნქტებიში, სადაც მაქსიმალურ დასაშვებ სიჩქარეს შეადგენს 30 და 50 კმ/სთ-ში, ქალაქის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ავტოსტრადებზე), რომლებიც მძღოლებისათვის უნდა წარმოადგენდნენ სხვადასხვა ტიპის სირთულეებს. აგრეთვე სასურველია, გამოცდის ჩატარება სატრანსპორტო საშუალებების მჭიდროდ გადააგილების სხვადასხვა პირობებში. სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის ოპტიმალური დრო უნდა იქნას გამოყენებული განმცხადებლის შესაფასებლად ყველა განსხვავებული გადაადგილების არეალში, რომლებიც შეიძლება მძღოლს შეხვდეს მოძრაობის დროს. განსაკუთრებული აქცენტი მსგავსი არეების ცვალებადობასთან მიმართებით.<br><br>**II. მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მართვისას ცოდნა, უნარი და ქცევა**<br><br>მძღოლებს მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სამართავად ნებისმიერ დროს უნდა გააჩნდეთ ცოდნა, უნარები და ქცევა 1-9 პუნქტებში აღწერილის შესაბამისად, იმ მიზნით, რომ შეეძლოთ შემდეგი:<br>— საგზაო საფრთხის ამოცნობა და მისი სერიოზულობის შეფასება,<br><br>— მართონ საკუთარი სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ არ შექმნან საფრთხის შემცველი სიტუაციები და მსგავსი სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება მოახდინონ,<br>— დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები და განსაკუთრებით ისინი, რომლებიც განკუთვნილია საგზაო შემთხვევების პრევენციისათვის და სატრანსპორტო საშუალებების ნაკადში სწორი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის,<br>— საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას უნდა შეამჩნიონ ნებისმიერი გაუმართაობა, განსაკუთრებით უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი გარემოების მქონე და გამოასწოროს ის შესაბამისი გზით, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | — გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი რაც გავლენას ახდენს მართვის ქცევაზე (მაგ: ალკოჰოლი, გადაღლილობა, ცუდი მხედველობა და სხვა), რათა შეინარჩუნოს ყველა საჭირო უნარი სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის,<br>— ხელი შეუწყოს გზის ყველა მომხმარებლის, განსაკუთრებით ყველაზე სუსტებისა და ყველაზე დაუცველების უსაფრთოების უზრუნველყოფას, სხვათა მიმართ დამსახურებული პატივისცემის დემონსტრირების გზით.<br><br>წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ იმ მძღოლების, რომლებსაც დაკარგული აქვთ 1-9 პუნქტებში აღწერილი ცოდნა და უნარები, შეეძლოთ აღიდგინონ ეს ცოდნა და უნარები და გააგრძელონ სატრანსპორტო საშუალებების სამართავად სავალდებულო ქცევის გამოვლენა. | | | | | |
| დანართი III | **განმარტებები**<br><br>1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის, მძღოლები იყოფიან ორ ჯგუფად:<br>1.1. ჯგუფი 1:<br>A, A1, A2, AM, B, B1 და BE კატეგორიების სატრანსპორტი საშუალებების მძღოლები.<br>1.2. ჯგუფი 2:<br>C, CE, C1, C1E, D, DE, D1 და D1E კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები.<br>1.3. ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს მე-2 ჯგუფის მძღოლებისათვის წინამდებარე დანართით განსაზღვრული დებულებების B კატეგორიის იმ სატრასნპორტო საშუალებების მძღოლებზე გავრცელებას, რომლებიც იყენებენ თავიანთ მართვის მოწმობებს პროფესიული მიზნებისათვის | 2 | 55.14 | 14. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიების ან/და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნები, ამ მოთხოვნებთან პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის დამდგენი უფლებამოსილი პირი, ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული, მართვასთან დაკავშირებული კოდირებული შეზღუდვები და მათი დაწესების პირობები, აგრეთვე დამატებითი ინფორმაციის შემცველი მონაცემების მითითების წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან | ნშ | კანონის ამოქმედების შემდეგ შესაბამისი ცვლილებები შევა კანონქვემდებარე აქტებში მათი დირექტივასთან სრულად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით |

<table>
<tr>
<td></td>
<td>(მაგალითად: ტაქსები, სასწრაფო დახმარების ავტომობილები და სხვა.).<br>2. ანალოგიურად, განმცხადებლები მართვის მოწმობის პირველად ასაღებად ან მართვის მოწმობის აღდგენისათვის კლასიფიცირებულნი არიან ჯგუფებში, რომელშიც ისინი იქნებიან მიკუთვნებულნი მოწმობის გაცემის ან განახლების შემდეგ.<br><br>სამედიცინო გამოკვლევები<br><br>3. ჯგუფი 1:<br>განმცხადებლებმა უნდა გაიარონ სამედიცინო გამოკვლევები, ყველა ფორმალური მხარის დასრულდების შემდეგ ან მართვის მოწმობის აღებამდე მათ მიერ გამოცდების ჩაბარებისას, თუ გამოვლინდა, რომ მათ აქვთ წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ერთი ან ერთზე მეტი სამედიცინო შეზღუდული შესაძლებლობები.<br>4. ჯგუფი 2:<br>განმცხადებლებმა უნდა გაიარონ სამედიცინო გამოკვლევები, სანამ პირველად აიღებენ მართვის მოწმობას და ამის შემდეგ მძღოლები შემოწმებულ უნდა იქნან იმ წევრი სახელმწიფოს ეროვნული სისტემის შესაბამისად, სადაცაა მათი მუდმივ საცხოვრებელი ადგილი, ყოველთვის, როდესაც ხდება მათი მართვის მოწმობების განახლება.<br>5. წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი სტანდარტები გაცემის ან შემდგომი განახლების თაობაზე შეიძლება იყოს უფრო მკაცრი ვიდრე მოცემულია წინამდებარე დანართში.<br><br>მხედველობა<br>6. ყველა განმცხადებელმა, რომელსაც სურს მართვის მოწმობის აღება უნდა გაიაროს შესაბამისი გამოკვლევა, რათა დაზუსტდეს,</td>
<td>3</td>
<td>დანართი 1</td>
<td>დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.<br><br>1. ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უკუნაჩვენებია მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა:<br>
<table>
<tr><td>№</td><td>დაავადებები და ფიზიკური ანომალიები</td><td>კატეგორია<br><br>(A, B, C, D, E, T1, T2, T3, T4)</td><td>შენიშვნა</td></tr>
<tr><td>1</td><td>მხედველობის ორგანოს ანომალია, ფუნქციის გამოხატული უკმარისობით (ანოფთალმი, ავთვისებიანი ეგზოფთალმი, მხედველობის ორგანოს ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვა)</td><td>ყველა კატეგორია</td><td></td></tr>
<tr><td>2</td><td>თვალის მამოძრავებელი ნერვების მყარი</td><td>ყველა კატეგორია</td><td></td></tr>
</table>
</td>
<td></td>
<td></td>
</tr>
</table>

რომ მათ აქვთ ადეკვატური მხედველობა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სამართავად. განმცხადებლის მხედველობის ადეკვატურობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მან გამოკვლევა უნდა ჩაიტაროს კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებაში. კერძოდ, აღნიშნულ გამოკვლევაში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: მახვილი მხედველობა, თვალთახედვის არე, ღამის მხედველობა, მგრძნობელობა კაშკაშა შუქზე და კონტრასტზე, დიპლოპია და სხვა მხედველობითი ფუნქციები, რომლებმაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვა. 1 ჯგუფის მძღოლებისათვის, მოწმობების გაცემა შეიძლება განხილულ იქნას „გამონაკლის შემთხვევებში“, თუ ვერ აკმაყოფილებს თვალთახედვის არის სტანდარტებს ან მახვილი მხედველობის სტანდარტებს; ასეთ შემთხვევებში, მძღოლმა უნდა გაიაროს შემოწმება კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებაში, რათა დადასტურდეს, რომ ადგილი არ აქვს მხედველობის სხვა ფუნქციის, მათ შორის, კაშკაშა შუქზე და კონტრასტზე მგრძნობელობის და ღამის მხედველობის გაუარესებას. მძღოლმა ან განმცხადებელმა ასევე დადებითად უნდა ჩააბარონ კომპეტენტური ორგანოს მიერ ჩატარებული პრაქტიკული გამოცდა.

ჯგუფი 1:

6.1. განმცხადებლებს, რომლებსაც სურთ მართვის მოწმობის აღება ან ამგვარი მოწმობების განახლება უნდა ფლობდნენ ბინოკულარულად მახვილ მხედველობას, თუ საჭიროა მაკორექტირებელი ლინზებით მინიმუმ 0,5 მაჩვენებლით ორივე თვალის ერთად გამოყენების შემთხვევაში.

უფრო მეტიც, ჰორიზონტალური მხედველობის არე უნდა იყოს, სულ მცირე, 120 გრადუსი, გაფართოება უნდა იყოს, სულ მცირე, 50 გრადუსი მარცხნივ და მარჯვნივ, ხოლო 20 გრადუსი ზემოთ

| | | | |
|---|---|---|---|
| | დამბლა და პარეზი: ფთოზი, რომელიც უშლის მხედველობას, პარალიზური სიელმე, ლაგოფთალმი, პირდაპირი ცქერისას ნისტაგმირებული სიელმე და შორ მანძილზე მხედველობისას ბინოკულარული მხედველობის დარღვევა | | |
| 3 | მხედველობის ველის 200-ზე მეტით შეზღუდვა ნებისმიერ მხარეს. აბსოლუტური ან ნაწილობრივი ცენტრალური სკოტომა | ყველა კატეგორია | |
| 4 | ფერთა შეგრძნების დარღვევა (პროტანატოპია, დეიტერანოპია, „A“ ტიპის პროტანომალია, „A“ ტიპის დეიტერანომალია) | ყველა კატეგორია | |
| 5 | რეფრაქციის ანომალიით, თვალის ფსკერის | ყველა კატეგორია | ა) მხედველობის |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | და ქვემოთ. არანაირი ნაკლი არ უნდა არსებობდეს ცენტრალური 20 გრადუსის რადიუსის ფარგლებში.<br>როდესაც ცნობილია ან გამოვლენილია თვალის პროგრესირებადი დაავადება, მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს განმცხადებლის მიერ კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებაში რეგულარული შემოწმების გავლის საფუძველზე.<br>6.2. განმცხადებლებს, რომლებსაც სურთ მართვის მოწმობის აღება ან ამგვარი მოწმობების განახლება, რომელთაც მხედველობა ფუნქციონალურად სრულად აქვთ დაკარგული ერთ თვალში ან მათ, ვინც მხოლოდ ერთ თვალს იყენებს (მაგალითად: დიპლოპიის შემთხვევაში) უნდა ჰქონდეთ მხედველობის სიმახვილე მინიმუმ 0,5, საჭიროების შემთხვევაში, მაკორექტირებელი ლინზებთ. კომპეტენტურმა სამედიცინო დაწესებულებამ უნდა დაადასტუროს, რომ მონოკულარული მხედველობის მდგომარეობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობს, რაც ადაპტაციის საშალებას იძევა და თვალთახედვის არე ამ თვალში აკმაყოფილებს მე-6.1. პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.<br>6.3. ბოლო დროს გამოვლენილი დიპლოპიის ან ერთ თვალში მხედველობის დაკარგვის შემდეგ, უნდა იყოს შესაბამისი ადაპტაციის პერიოდი (მაგალითად, ექვსი თვე), რა დროსაც სატრანსპორტო საშუალების მართვა არ არის ნებადართული. ამ პერიოდის გავლის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მართვა ნებადართულია მხედველობისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის ექსპერტების დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე.<br>ჯგუფი 2:<br>6.4. განმცხადებლებს, რომლებსაც სურთ მართვის მოწმობის აღება ან ამგვარი მოწმობების განახლება უნდა ფლობდნენ მახვილ მხედველობას, საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ლინზებით მინიმუმ 0,8 მაჩვენებელს | | | | ცვლილებებით, სხივის გარდამტეხი სისტემის შეზღუდვით ან სხვა ორგანული ხასიათის მიზეზებით გამოწვეული მხედველობის სიმახვილის დაქვეითების შემთხვევაში – მხედველობის სიმახვილე 0,8 ერთ თვალზე, თუ მეორეზეა 0,4; | | სიმახვილე განისაზღვრება კორექციით. მაქსიმალურად დასაშვები კორექცია: ახლომხედველობისა და შორსმხედველობის შემთხვევაში 6,0 დიოპტრი. ასტიგმატიზმის შემთხვევაში – 3,0 დიოპტრი.<br><br>სხვადასხვა რეფრაქციის შემთხვევაში ბინოკულარული რეფრაქცია 2,0 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უკეთეს მდგომარეობაში მყოფ თვალში, და 0,1 მაჩვენებელს უარეს მდგომარეობაში მყოფ თვალში. თუ გამოიყენება მაკორექტირებელი ლინზები, რათა მიღწეულ იქნას 0,8 და 0,1 მაჩვენებლები, მინიმალური სიმახვილე (0,8 და 0,1) მიღწეულ უნდა იქნას სათვალეების საშუალებით კორექციით არაუმეტეს პლიუს რვა დიოპტრიის სიძლიერით, ან კონტაქტური ლინზების დახმარებით. კორექცია უნდა იყოს კარგად გადატანილი.<br>უფრო მეტიც, ჰორიზონტალური თვალთახედვის არე ორივე თვალით უნდა იყოს სულ მცირე 160 გრადუსი, გაფართოება უნდა იყოს სულ მცირე 70 გრადუსი მარცხნივ და მარჯვნივ და 30 გრადუსი ზევით და ქვევით.<br>მართვის მოწმობები არ გაიცემა და არ განახლდება იმ განმცხადებლებისთვის ან მძღოლებისთვის, რომელბსაც დარღვეული აქვთ მგრძნობელობა კონტრასტზე ან აქვთ დიპლოპია.<br>ერთ თვალში მხედველობის არსებითად დაკარგვის შემდეგ, უნდა იყოს შესაბამისი ადაპტაციის პერიოდი (მაგალითად, ექვსი თვე), რა დროსაც პირს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ამ პერიოდის გავლის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მართვა ნებადართულია მხოლოდ მხედველობისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის ექსპერტების დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ.<br><br>სმენა<br><br>7. მართვის მოწმობები უნდა გაიცეს და განახლდეს განმცხადებლებისა და მძღოლებისათვის, რომლებიც არიან მე-2 ჯგუფში შესაბამისი კომპეტენტური სამედიცინო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე; სამედიცინო გამოკვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპენსაციის ფარგლებს. | | | (see nested table below) | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | დიოპტრი;<br><br>ბ) ცალ თვალში მხედველობის არარსებობის შემთხვევაში, მეორე თვალში 1,0 მხედველობის არსებობისას საკითხი წყდება ინდივიდუალურად. |
| 6 | ფერთა აღქმის დარღვევა:<br>ა) დიქრომაზია;<br>ბ) ანომალიური ტრიქრომაზია<br>I ტიპის;<br>II ტიპის; | ყველა კატეგორია | |
| 7 | არასტაბილიზებული, არაკომპენსირებული პირველადი და მეორადი გლაუკომა | ყველა კატეგორია | |
| 8 | ერთ თვალზე ბადურისა და მხედველობის | ყველა კატეგორია | |

**ლოკომოტორული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები**

8. მართვის მოწმობები არ გაიცემა და შესაბამისად არ განახლდება იმ განმცხადებლებისა და მძღოლებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ გარკვეული დაავადებები ან ლოკომოტორული სისტემის პათოლოგიები, რადგან მსგავსი პირებისათვის ტრასნპორტო საშუალების მართვა სახიფათოა.

ჯგუფი 1:

8.1. მართვის მოწმობები, რომლებიც ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაცემულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე განმცხადებლებზე ან მძღოლებზე კომპეტენტური სამედიცინო ორგანოების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს დაავადების ან პათოლოგიის სამედიცინო შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, პრაქტიკულ გამოცდას. იგი ასევე უნდა უთითებდეს სატრანსპორტო საშუალების რა ტიპის მოდიფიკაციაა საჭირო და სჭირდება, თუ არა მძღოლს ორთოპედიული მოწყობილობებით აღჭურვა, რამდენადაც უნარ-ჩვევებისა და ქცევების გამოცდა აჩვენებს, რომ ამ მოწყობილობით სატრანსპორტო საშუალების მართვა არ იქნება სახიფათო.

8.2. მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს იმ განმცხადებლებისთვის, რომელთაც აღენიშნებათ პროგრესირებადი დაავადებები, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი რეგულარულად გადის გამოკვლევას, რათა შემოწმდეს, რომ პირს ისევ აქვს უნარი მართოს სატრანსპორტო საშუალება სრულიად უსაფრთხოდ.

| | | | |
|---|---|---|---|
| | ნერვის დაავადებანი (პიგმენტური რეტინიტი, მხედველობის ნერვის ატროფია, ბადურის ჩამოშლა და სხვა) | | |
| 9 | ჩვეულებრივი საუბრის აღქმა არანაკლებ 3 მეტრიდან, ხოლო ჩურჩულით – არანაკლებ 1 მეტრიდან ორივე ან ერთი ყურით | ყველა კატეგორია, გარდა ,,B" კატეგორიისა | დამატებითი ფუნქციონალური შედეგების მიღწევის შემთხვევაში (ოპერაციული ჩარევა, პროტეზირება, კორექცია და ა.შ) საკითხი წყდება ინდივიდუალურად |
| 10 | ნებისმიერი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც იწვევს ვესტიბულარული აპარატის ფუნქციის დარღვევას, თავბრუსხვევას | ყველა კატეგორია | |

როდესაც პირის შეზღუდულუნარიანობა სტატიკურია, მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს განმცხადებლის რეგულარული სამედიცინო გამოკვლევების გარეშე.
ჯგუფი 2:
8.3. კომპეტენტურმა სამედიცინო დაწესებულებამ სათანადოდ უნდა განიხილოს დამატებითი რისკები და საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვასთან, რომელთაც ეხება ამ გჯგუფის განსაზღვრებები.

კარდიოვასკულარული დაავადებები

9. კარდიოვასკულარულმა მდგომარეობამ ან დაავადებებმა შეიძლება გამოიწვიოს ცერებრალური ფუნქციების მოულოდნელი გაუარესება, რაც საგზაო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველია. ეს მდგომარეობა ქმნის საფუძველს მართვაზე დროებითი ან მუდმივი შეზღუდვების დასადგენად.

9.1 მითითებული ჯგუფის განმცხადებლებსა ან მძღოლებზე მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვემოთ ჩამოთვლილი კარდიოვასკულარული დაავადება ეფექტურად განიკურნება და წარმოდგენილი იქნება კომპეტენტური სამედიცინო ნებართვა და, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარული სამედიცინო შეფასება:

(ა) ბრადიარითმიები (სინუსური კვანძის დაავადება და გამტარუნარიანობის დარღვევები) და ტაქიარითმიები (პარკუჭზედა და პარკუჭოვანი არითმიები) არითმიული მდგომარეობით გამოწვეული გულყრისა ან სინკოპალური ეპიზოდების ისტორიით (ეხება 1-ლ და მე-2 ჯგუფებს);

(ბ) ბრადიარითმიები: სინუსური კვანძის დაავადება და გამტარუნარიანობის დარღვევა მობიცის II ტიპის მეორე ხარისხის ატრიოვენტრიკულური (AV) ბლოკადით, მესამე ხარისხის ატრიოვენტრიკულური (AV) ბლოკადით ან გისის კონის მონაცვლეობითი ბლოკადით (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(გ) ტაქიარითმიები (პარკუჭზედა და პარკუჭოვანი არითმია)

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | ა) ზედა კიდურის (ან მტევნის) უქონლობა<br><br>ბ) ზედა ორივე კიდურის უქონლობა | ყველა კატეგორია<br><br>ყველა კატეგორია | დამატებითი ფუნქციონალური შედეგების მიღწევის შემთხვევაში (ოპერაციული ჩარევა, პროტეზირება, კორექცია და ა.შ) საკითხი „B" კატეგორიისათვის წყდება ინდივიდუალურად |
| 12 | ა) მარცხენა ქვედა კიდურის (ან ტერფის) არარსებობა<br><br>ბ) ქვედა კიდურების (ან მარჯვენა ქვედა კიდურის ან | ყველა კატეგორია, გარდა „B" კატეგორიისა<br><br>გარდა „B" კატეგორიის | |

- სტრუქტურული გულის დაავადებით და მდგრადი პარკუჭოვანი ტაქიკარდიით (VT) (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე) ან

- პოლიმორფული არამდგრადი პარკუჭოვანი ტაქიკარდიით (VT), მდგრადი პარკუჭოვანი ტაქიკარდიით ან დეფიბრილატორის მითითებით (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(დ) სტენოკარდიის სიმპტომატიკა (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(ე) კარდიოსტიმულატორის მუდმივი იმპლანტაცია ან ჩანაცვლება (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(ვ) დეფიბრილატორის იმპლანტაცია ან ჩანაცვლება ან შესაბამისი ან შეუსაბამო დეფიბრილატორის შოკი (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე);

(ზ) გულყრა (გონებისა და კუნთოვანი ტონუსის დროებითი დაკარგვა, რომელსაც ახასიათებს სწრაფი დაწყება, მოკლე მიმდინარეობა და სპონტანური გამოფხიზლება თავის ტვინის გლობალური ჰიპოფერფუზიის გამო, სავარაუდო რეფლექტორული წარმოშობით, გაურკვეველი მიზეზით, გულის მნიშვნელოვანი დაავადების ნიშნების გარეშე) (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(თ) მწვავე კორონარული სინდრომი (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(ი) სტაბილური სტენოკარდია, თუ სიმპტომები არ ვლინდება მსუბუქი ფიზიკური დატვირთვისას (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(კ) პერკუტანული კორონარული ინტერვენცია (PCI) (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(ლ) კორონარული არტერიის შუნტირება (CABG) (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(მ) ინსულტი/გარდამავალი იშემიური შეტევა (TIA) (გამოიყენება 1 და 2 ჯგუფის ჯგუფებში);

(ნ) საძილე არეტრიის მნიშვნელოვანი სტენოზი (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

| | | | |
|---|---|---|---|
| | ტერფის) უქონლობა | ხელით სამართავი ავტომობილისა | |
| 13 | მსხვილი სახსრის მყარი კონტრაქტურა ან ანკილოზი, ზედა ან/და ქვედა კიდურის გრძელი ძვლის ცრუ სახსარი, ჩვეული ამოვარდნილობა მხრის სახსარში, კვირისტავის ჩვეული ამოვარდნილობა | ყველა კატეგორია | დამატებითი ფუნქციონალური შედეგების მიღწევის შემთხვევაში (ოპერაციული ჩარევა, პროტეზირება, კორექცია და ა.შ) საკითხი წყდება ინდივიდუალურად |
| 14 | ნებისმიერი ეტიოლოგიის დაავადება, მიმდინარე მოძრაობის მკვეთრად გამოხატული მოშლით | ყველა კატეგორია | ა) დამატებითი ფუნქციონალური შედეგების მიღწევის შემთხვევაში საკითხი წყდება |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (ო) აორტის მაქსიმალური დიამეტრი, რომელიც აღემატება 5,5 სმ-ს (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);<br>(პ) გულის უკმარისობა:<br>- ნიუ იორკის კარდიოლოგიური ასოციაცია (NYHA) I, II, III (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე),<br>- NYHA I და II იმ პირობით, რომ მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია არის მინიმუმ 35% (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);<br>(ჟ) გულის გადანერგვა (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);<br>(რ) გულის დახმარების ხელსაწყო (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე);<br>(ს) ოპერაცია გულის სარქველზე (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);<br>(ტ) ავთვისებიანი ჰიპერტენზია (სისტოლური არტერიული წნევის აწევა ≥ 180 მერკური მილიმეტრი (mmHg) ან დიასტოლური არტერიული წნევის აწევა ≥ 110 მერკური მილიმეტრი (mmHg), ასოცირებული ორგანოთა მოსალოდნელ ან პროგრესირებად დაზიანებასთან) (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფის ჯგუფებზე);<br>(უ) III ხარისხის არტერიული წნევა (დიასტოლური არტერიული წნევა ≥ 110 მერკური მილიმეტრი (mmHg) და/ან სისტოლური არტერიული წნევა ≥ 180 მერკური მილიმეტრი (mmHg) (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);<br>(ფ) თანდაყოლილი გულის დაავადება (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);<br>(ქ) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია, თუ გულყრის გარეშეა (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე);<br>(ღ) გახანგრძლივებული QT ინტერვალის სინდრომი გულყრით, „პირუეტის" ტიპის ტაქიკარდიით ან QTc> 500 ms (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე).<br>9.2 მითითებული ჯგუფის განმცხადებლებსა ან მძღოლებზე მართვის მოწმობების გაცემა და განახლება არ ხდება შემდეგი სახის კარდიოვასკულური დაავადებებისათვის: | | | | | | ინდივიდუალურად;<br>ბ) ქვედა კიდურ(ებ)ის მოძრაობის მკვეთრად გამოხატული მოშლის შემთხვევაში დასაშვებია „B" კატეგორიის ხელით სამართავი ავტომობილის მართვა;<br>გ) მარცხენა ქვედა კიდურის მოძრაობის მკვეთრად გამოხატული მოშლის შემთხვევ | | |

(ა) დეფიბრილატორის იმპლანტი (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(ბ) პერიფერიული სისხლძარღვთა დაავადება - გულმკერდის და მუცლის აორტის ანევრიზმა, როდესაც აორტის მაქსიმალური დიამეტრი ისეთია, რომ იგი შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, როგორც მოულოდნელი გახეთქვის და, შესაბამისად, მოულოდნელად შრომისუნარიანობის დაკარგვის წინაპირობას (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე);

(გ) გულის უკმარისობა:

- NYHA IV (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე),

- NYHA III და IV (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(დ) გულის დახმარების ხელსაწყოები (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(ე) გულის მანკი აორტის რეგურგიტაციით, აორტის სტენოზი, მიტრალური რეგორგიტაცია ან მიტრალური სტენოზი, თუ ფუნქციონალური უნარი ფასდება, როგორც NYHA IV ან თუ ვლინდება გულყრითი ეპიზოდები (ვრცელდება მხოლოდ 1-ლ ჯგუფზე);

(ვ) გულის მანკი NYHA III ან IV ან გამოვარდნის ფრაქცია (EF) 35% -ზე ნაკლები, მიტრალური სტენოზი და ფილტვის მწვავე ჰიპერტენზია ან მწვავე ექოკარდიოგრაფიული აორტის სტენოზი ან გულყრის გამომწვევი აორტის სტენოზი; სრულიად ასიმპტომური აორტის მწვავე სტენოზის გარდა, თუ ფიზიკური დატვირთვის ამტანობაზე მოთხოვნები შესრულებულია (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(ზ) სტრუქტურული და ელექტრული კარდიომიოპათიები - ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია გულყრების ისტორიით ან შემდეგი ორი ან მეტი მდგომარეობის დროს: მარცხენა პარკუჭის (LV) კედლის სისქე > 3 სმ, არამდგრადი პარკუჭოვანი ტაქიკარდია, მოულოდნელი გარდაცვალების ოჯახური ისტორია (პირველი ხარისხის ნათესავთან მიმართებით), არტერიული წნევის არმომატება დატვირთვისას (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | აში დასაშვებია „B" კატეგორიის ავტომობილის მართვა |
| 15 | ენდოკარდის, მიოკარდის და პერიკარდის დაავადებები გართულებული: გულის II– IV ხარისხის უკმარისობით, თრომბოემბოლიით, პერიკარდის შეხორცებებით და სხვა | ყველა კატეგორია | |
| 16 | ინტენსიური ანტიანგინალური თერაპიის ფონზე არსებული II –IV ფ.კ. სიმძიმის სტენოკარდია; იმპლანტაციის შემდგომი (პეისმეიკერი, დეფიბრილატორი) გამოხატული დისფუნქციური მდგომარეობები; პარკუჭოვანი ტაქიკარდიის ან პარკუჭთა ფიბრილაციის ეპიზოდები ანამნეზში; | ყველა კატეგორია | |

(თ) გახანგრძლივებული QT ინტერვალის სინდრომი გულყრით, „პირუეტის“ ტიპის ტაქიკარდიით და QTc> 500 ms (ვრცელდება მხოლოდ მე-2 ჯგუფზე);

(ი) ბრუგადას სინდრომი გულყრით ან მოულოდნელად შეწყვეტილი გულის სიკვდილით (ვრცელდება 1-ლ და მე-2 ჯგუფებზე).

მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს გამონაკლის შემთხვევებში იმ პირობით, თუ სათანადოდ დასაბუთებულია კომპეტენტური სამედიცინო დასკვნით და ექვემდებარება რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირს კვლავაც შეუძლია ავტომობილის უსაფრთხოდ მართვა ჯანმრთელობის მდგომარეობის შედეგების გათვალისწინებით.

9.3 სხვა კარდიომიოპათიები

შრომისუნარიანობის მოულოდნელი დარღვევების რისკი უნდა შეფასდეს განმცხადებლებსა ან მძღოლებში კარგად აღწერილი კარდიომიოპათიებით (მაგ. არითმოგენური მარჯვენა პარკუჭოვანი კარდიომიოპათია, არაკომპაქტური კარდიომიოპათია, კატექოლამინერგული პოლიმორფული პარკუჭოვანი ტაქიკარდია და მოკლე QT სინდრომი) ან ახალი კარდიომიოპათიებით, რომელთა დადგენა შესაძლებელია. საჭიროა სპეციალისტის ფრთხილი შეფასება. განხილული უნდა იქნას კონკრეტული კარდიომიოპათიის პროგნოზირებადი თავისებურებები.

9.4 წევრ ქვეყნებს შეუძლიათ შეზღუდონ მართვის მოწმობების გაცემა ან განახლება გულსისხლძარღვთა სხვა დაავადებების მქონე განმცხადებლებსა ან მძღოლებზე:

## შაქრიანი დიაბეტი

10. ქვემოთმოცემულ პუნქტებში, მწვავე ჰიპოგლიკემია ნიშნავს, რომ სხვა პირის დახმარებაა საჭირო და განმეორებითი ჰიპოგლიკემია განსაზღვრულია, როგორც მეორე მწვავე ჰიპოგლიკემია 12 თვის განმავლობაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| | მკურნალობისადმი რეზისტენტული, სიცოცხლისათვის საშიში სხვა არითმიები; გულის სარქვლის დაავადებები (მათ შორის, პროტეზირების შემდგომი მდგომარეობები) გართულებული გულის უკმარისობით II–IV ფ.კ. | | |
| 17 | სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები (მათ შორის, ტრავმის შედეგად ჩამოყალიბებული მდგომარეობები) გართულებული სუნთქვის უკმარისობის II ხარისხით | ყველა კატეგორია | დამატებითი ფუნქციონალური შედეგების მიღწევის შემთხვევაში (ოპერაციული ჩარევა, კორექცია და ა.შ) საკითხი წყდება ინდივიდუალურად |
| 18 | თირკმელებისა და საშარდე გზების ქრონიკული | ყველა კატეგორია | |

ჯგუფი 1:

10.1. მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს იმ განმცხადებლებისა და მძღოლებისათვის, რომლებიც შაქრიანი დიაბეტით არიან დაავადებულნი. თუ ხდება მედიკამენტებით მკურნალობა, უნდა გადაწყდეს თითოეული საქმის შესაბამისად ავტორიზებული სამედიცინო დასკვნისა და რეგულარული სამედიცინო შემოწმებების საფუძველზე, თუმცა ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს.

10.2. დიაბეტიანმა განმცხადებელმა ან მძღოლმა, რომელიც მკურნალობს ჰიპოგლიკემიის გამომწვევი რისკის მქონე პრეპარატით, უნდა გამოავლინოს, რომ ერკვევა ჰიპოგლიკემიის რისკსა და მდგომარეობის ადეკვატურ კონტროლში.

მართვის მოწმობები არ გაიცემა ან განახლდება იმ განმცხადებლებსა ან მძღოლებზე, რომლებსაც ჰიპოგლიკემიის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია არ გააჩნიათ.

მართვის მოწმობები არ გაიცემა ან არ განახლდება განმცხადებლებსა ან მძღოლებზე, რომლებსაც აქვთ მწვავე ჰიპოგლიკემიის რეციდივები, თუ არ იქნება წარმოდგენილი კომპეტენტური სამედიცინო დასკვნა და რეგულარული სამედიცინო შეფასება. განმეორებითი მწვავე ჰიპოგლიკემიის შემთხვევაში ფხიზელ მდგომარეობაში მოწმობა არ გაიცემა ან არ განახლდება ბოლო ეპიზოდიდან 3 თვემდე ვადაში.

მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს გამონაკლის შემთხვევებში იმ პირობით, თუ იგი სათანადოდ დასაბუთებულია კომპეტენტური სამედიცინო დასკვნით და რეგულარული სამედიცინო შეფასებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირს ჯერ კიდევ შეუძლია ავტომობილის უსაფრთხოდ მართვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შედეგების გათვალისწინებით.

ჯგუფი 2:

10.3. ყურადღება შეიძლება მიექცეს მე-2 ჯგუფში მოცემული მოწმობების გაცემას/განახლებას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მძღოლებზე. თუ ხდება ისეთი მედიკამენტებით

| | | | |
|---|---|---|---|
| | დაავადებები თირკმლის უკმარისობით (დაავადების III-V სტადია) | | |
| 19 | ფსიქოზური ან არაფსიქოზური ფსიქიკური დაავადებები და ნებისმიერი ფსიქიკური აშლილობები, მყარი რემისიის ფარგლებშიც | ყველა კატეგორია | |
| 20 | ნებისმიერი ეტიოლოგიის დაავადება, მიმდინარე მოძრაობის კოორდინაციის დარღვევით | ყველა კატეგორია | |
| 21 | ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, დიაგნოზის მოხსნის არანაკლებ 3 წლამდე. | ყველა კატეგორია | |
| 22 | გონებრივი ჩამორჩენილობა | ყველა კატეგორია | |
| 23 | ეპილეფსია ნებისმიერი ეტიოლოგიის გულყრითი განტვირთვებით | ყველა კატეგორია | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მკურნალობა, რომელიც არის ჰიპოგლიკემიის გამოწვევის რისკის მატარებელი (როგორიცაა ინსულინი და ზოგიერთი აბები), შემდეგი კრიტერიუმები უნდა იქნას გამოყენებული:<br>- უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს მწვავე ჰიპოგლიკემიის შემთხვევებს;<br>- მძღოლს აქვს სრული შეგრძნება ჰიპოგლიკემიაზე,<br>- მძღოლმა უნდა აჩვენოს ადექვატური კონტროლი მდგომარეობაზე სისხლში გლუკოზის რეგულარული მონიტორინგით, სულ მცირე დღეში ორჯერ და მართვის შესაბამის დროს,<br>- მძღოლმა უნდა გამოავლინოს ინფორმირებულობა ჰიპოგლიკემიის რისკის თაობაზე,<br>- არ არსებობს დიაბეტის სხვა გართულებები.<br>უფრო მეტიც, ამ შემთხვევებში, ამგვარი მოწმობები გაცემულ უნდა იქნას კომპეტენტური სამედიცინო ორგანოს დასკვნისა და რეგულარული სამედიცინო შემოწმების საფუძველზე, რომელიც ხორციელდება არაუმეტეს სამ წლიან ინტერვალებში.<br>10.4. მწვავე ჰიპოგლიკემიური მოვლენა სიფხიზლის საათებში, მაშინაც კი როდესაც არაა დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალების მართვასთან, შეტყობინებულ უნდა იქნას და აღნიშნულმა უნდა გამოიწვიოს ლიცენზირების სტატუსის ხელახალი შეფასება.<br><br>**ნევროლოგიური დაავადებები და ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი**<br><br>**ნევროლოგიური დაავადებები**<br>11.1 მართვის მოწმობები არ გაიცემა ან არ განახლდება განმცხადებლებისთვის ან მძღოლებისათვის, რომლებიც დაავადებულნი არიან სერიოზული ნევროლოგიური | 3<br><br>3<br><br>3<br><br>3 | დანართი 2<br><br>1.1<br><br>1.2<br><br>2.1 | მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების წესი<br><br>1. წინამდებარე წესი ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენის წესსა და პირობებს.<br><br>2. სააგენტოს მიერ, ამ ბრძანებით დადგენილი წესით დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენა სავალდებულოა, თუ არსებობს ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები.<br><br>1. სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაავადებებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელს აქვს ავტორიზებული სამედიცინო დასკვნა.<br><br>დაავადებებთან ან ქირურგიულ ჩარევებთან დაკავშირებულ ნევროლოგიურ დარღვევებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ცენტრალურ ან პერიფერიულ ნერვულ სისტემებზე, რაც იწვევს სენსორულ ან მოტორულ უკმარისობას და გავლენას ახდენენ ბალანსსა და კოორდინაციაზე, შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს მათ ფუნქციურ შედეგებს და პროგრესირების რისკებს. აღნიშნულ შემთხვევებში, მართვის მოწმობის გაცემა ან განახლება, გაუარესების რისკის არსებობისას, დამოკიდებულია პერიოდულ შეფასებებზე.<br><br>**ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი**<br><br>11.2. ქვემოთმოცემულ პუნქტებში, საშუალო ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი შეესაბამება საათში რამოდენიმე აპნოესა და ჰიპოპნოეს (აპნოე-ჰიპოპნოეს მაჩვენებელი) 15-სა და 29-ს შორის, ხოლო მწვავე ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი შეესაბამება 30 ან მეტ აპნოე-ჰიპოპნოეს მაჩვენებელს, რომლებიც უკავშირდება დღისით გადაჭარბებულ ძილიანობას.<br>11.3. განმცხადებლები ან მძღოლები, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ აქვთ საშუალო ან მწვავე ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი, მართვის მოწმობის გაცემამდე, გაგზავნილ უნდა იქნან შემდგომი ავტორიზებული სამედიცინო რეკომენდაციებისათვის. მათ შეიძლება მიეცეთ რეკომენდაცია არ მართონ სატრანსპორტო საშუალება დიაგნოზის დადასტურებამდე.<br>11.4. მართვის მოწმობები შეიძლება გაცემულ იქნას განმცხადებლებსა და მძღოლებზე, რომლებსაც აქვთ საშუალო ან მწვავე ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი, თუ ისინი ავლენენ ადეკვატურ კონტროლს მათ მდგომარეობაზე, | 3<br><br><br><br><br><br>3<br><br><br><br><br><br>3<br><br><br><br><br><br>3<br><br><br><br><br><br>3 | 2.2<br><br><br><br><br><br>2.3<br><br><br><br><br><br>2.4<br><br><br><br><br><br>2.5<br><br><br><br><br><br>2.6 | 2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება (მოპედის გარდა), აგრეთვე ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა.<br><br>3. კატეგორია – ტიპის, დანიშნულებისა და მართვის თავისებურებების მიხედვით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების „A”, „B”, „C”, „D”, „E”, „T1”, „T2”, „T3”, „T4“, კატეგორიად კლასიფიკაცია.<br><br>4. ხელით სამართავი ავტომობილი – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაკეთებული (მოდიფიცირებული) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ მოსახერხებლად სამართავად.<br><br>5. ექიმი-სპეციალისტი – პირი, რომელმაც გაიარა რეზიდენტურის კურსი შესაბამის საექიმო სპეციალობაში და მიიღო ამ დარგში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.<br><br>6. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ამ წესის მე-3 მუხლითა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სათანადო მკურნალობის დაცვას და ძილიანობის გაუმჯობესებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რაც დასტურდება ავტორიზებული სამედიცინო დასკვნით.<br>11.5. საშუალო ან მწვავე ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომით დაავადებული განმცხადებლები ან მძღოლები, რომლებიც გადიან მკურნალობას, ექვემდებარებიან პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას, არაუმეტეს სამ წლიან ინტერვალებში პირველი ჯგუფის მძღოლებისათვის და 1 წლიან ინტერვალში - მე-2 ჯგუფის მძღოლებისათვის, მკურნალობის შესაბამისობის დონის დადგენის, მკურნალობის გაგრძელების საშიროებისა და უწყვეტი სათანადო სიფხიზლის მიზნით.<br><br>ეპილეფსია<br><br>12. ეპილეფსიური კრუნჩხვები ან ცნობიერების მდგომარეობის სხვა მსგავსი ტიპის მოულოდნელი მოშლილობები წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საგზაო უსაფრთხოებისათვის, თუ აღნიშნული ემართება ადამიანს, რომელიც მართავს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას.<br>ეპილეფსია განსაზღვრულია, როგორც ორი ან მეტი ეპილეფსიური კრუნჩხვის ქონა ხუთ წელზე ნაკლებ შუალედში.<br>პროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა განსაზღვრულია, როგორც კრუნჩხვა, რომელსაც აქვს გამომწვევი ფაქტორი, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია.<br>პირს, რომელსაც აქვს პირველადი ან იზოლირებული კრუნჩხვა ან გონების დაკარგვა, უნდა მიეცეს რეკომენდაცია, არ მართოს სატრანსპორტო საშუალება. საჭიროა სპეციალისტის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება მართვის აკრძალვის პერიოდისა და მოთხოვნილი შემდგომი სამედიცინო დაკვირვების თაობაზე. | 3 | 3.1 | მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის ამსახველი დოკუმენტი.<br><br>1. დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა დგინდება სამედიცინო დაწესებულების ექიმი-სპეციალისტების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი-სპეციალისტების მიერ ადგილზე ვერ ხერხდება დაინტერესებული პირის სრულყოფილი გამოკვლევა, პირი იგზავნება სხვა დაწესებულებაში დამატებითი გამოკვლევებისა და კონსულტირების მიზნით და იქიდან წარმოდგენილი დასკვნ(ებ)ის საფუძველზე გაიცემა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ,,ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანების | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უკიდურესად მნიშვნელოვანია მოხდეს პირის ეპილეფსიის სინდრომისა და კურუნჩხვის ტიპის იდენტიფიცირება, რათა მოხდეს პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვის სათანადო შეფასება (მათ შორის, შემდგომი კრუნჩხვების რისკი) და ასევე შესაბამისი თერაპიის დაწყება. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ნევროლოგის მიერ.<br><br>ჯგუფი 1.<br>12.1. პირველი ჯგუფის შესაბამისად შეფასებული ეპილეფსიით დაავადებული მძღოლები, უნდა იყვნენ მოწმობის განხილვის პროცედურაში მანამ სანამ კრუნჩხვის გარეშე არ გაატარებენ მინიმულ ხუთწლიან პერიოდს.<br>თუ პირს აქვს ეპილეფსია, იგი ვერ აკმაყოფილებს უპირობო მოწმობის კრიტერიუმებს. შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მომწმობის გამცემ ორგანოს.<br><br>12.2. პროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა: განმცხადებელი, რომელსაც ჰქონდა პროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა, ამოცნობადი მაპროვოცირებელი ფაქტორის გამო, რომელიც ნაკლებად შესაძლებელია, რომ ხელახლა დაემართოს საჭესთან, შეიძლება ინდივიდუალურ საფუძველზე გამოცხადდეს მართვისუნარიანად, ნევროლოგიური დასკვნის საფუძველზე (საჭიროების შემთხვევაში, შეფასება უნდა იყოს III დანართის სხვა შესაბამისი ნაწილების მიხედვით (მაგ. ალკოჰოლის ან სხვა თანმდევი პათოლოგიების შემთხვევაში).<br>12.3. პირველი ან ერთი არაპროვოცირებული კრუნჩხვა: განმცხადებელს, რომელსაც ჰქონდა პირველი არაპროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა, შეიძლება გამოცხადდეს მართვისუნარიანად კრუნჩხვების გარეშე ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო შემოწმება. ეროვნულმა | 3<br><br>3<br><br>3 | 3.2<br><br>3.3<br><br>3.4 | შესაბამისად (შემდგომში – ფორმა – № IV-100/ა).<br><br>2. სამედიცინო დაწესებულების ექიმი-სპეციალისტების მიერ დაინტერესებული პირის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა დგინდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის შესაბამისად.<br><br>3. თუ დაინტერესებულ პირს აღენიშნება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით განსაზღვრული დაავადება ან/და ფიზიკური ანომალია და ჩატარებული მკურნალობის შედეგად (ოპერაციული ჩარევა, პროტეზირება, კორექცია და ა.შ) მიღწეულია ფუნქციონალური გაუმჯობესება, სამედიცინო დაწესებულების ექიმი-სპეციალისტების მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის საკითხი წყდება ინდივიდუალურად.<br><br>4. დაინტერესებული პირის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის დადგენის შემდეგ, თუ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ორგანოებმა შეიძლება უფრო ადრე მისცენ მართვის უფლება, აღიარებული კარგი პროგნოზის მაჩვენებლების მქონე მძღოლებს.<br>12.4. სხვა სახით ცნობიერების დაკარგვა: ცნობიერების დაკარგვა უნდა შეფასდეს მართვის დროს განმეორების რისკის მიხედვით.<br>12.5. ეპილეფსია: მძღოლები ან განმცხადებლები შეიძლება გამოცხადდნენ მართვის უნარიანად შემდგომი კრუნჩხვების გარეშე გატარებული ერთწლიანი პერიოდის შემდეგ.<br>12.6. კრუნჩხვები მხოლოდ ძილის დროს: განმცხადებელი ან მძღოლი, რომელსაც არასდროს ქონია კრუნჩხვა, გარდა ძილის დროს კრუნჩხვებისა, შეიძლება მართვისუნარიანად ჩაითვალოს, ვინაიდან ეს პატერნი დადგინდა პერიოდისთვის, რომელიც არ უნდა იყოს ეპილეფსიისათვის საჭირო კრუნჩხვების გარეშე პერიოდზე ნაკლები. თუ სახეზეა შეტევების/კრუნჩხვის შემთხვევები, რომელსაც ადგილი აქვს სიფხიზლეში, მოითხოვება ერთწლიანი კრუნჩხვის გარეშე პერიოდი მოწმობის გაცემამდე (იხილეთ 'ეპილეფსია').<br><br>12.7. კრუნჩხვები ცნობიერებაზე ან მოქმედების შესაძლებლობაზე გავლენის გარეშე: განმცხადებელი ან მძღოლი, რომელსაც არასდროს ქონია კრუნჩხვები, გარდა კრუნჩხვებისა, რომლებმაც ცხადყვეს, რომ გავლენა არ მოუხდენიათ ცნობიერებაზე და არც რაიმე ფუნქციური გაუარესება არ გამოუწვევიათ, შეიძლება ჩაითვალოს მართვისუნარიანად, თუ პატერნი დადგინდა პერიოდისთვის, რომელიც არ უნდა იყოს ეპილეფსიისათვის საჭირო კრუნჩვის გარეშე ყოფნის პერიოდზე ნაკლები. თუ სახეზეა შეტევების/კრუნჩხვის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვთ სიფხიზლეში, მოითხოვება ერთწლიანი კრუნჩხვის გარეშე პერიოდი მოწმობის გაცემამდე (იხილეთ 'ეპილეფსია').<br>12.8. კრუნჩხვები, გამოწვეული ექიმის მიერ მითითებული ცვლილების ან ანტი ეპილეფსიური თერაპიის შემცირების გამო: | 3<br><br>3 | 3.5<br><br>3.6 | დაინტერესებულ პირს აღენიშნება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით განსაზღვრული დაავადება ან/და ფიზიკური ანომალია, ექიმი-სპეციალისტი ვალდებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მიუთითოს მართვის უფლების რეკომენდებული კატეგორია.<br><br>5. თუ დაინტერესებულ პირს აღენიშნება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით განსაზღვრული დაავადება ან/და ფიზიკური ანომალია და თუ დაინტერესებული პირისათვის რეკომენდებულია მხოლოდ „ხელით სამართავი ავტომობილის" მართვა, ამის შესახებ ექიმი-სპეციალისტი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში (ფორმა – № IV-100/ა).<br><br>6. ექიმი სპეციალისტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია მართვის უფლების მისაღებად დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით გასცეს ცნობა შეზღუდული ვადით. ასეთ შემთხვევაში, ექიმი-სპეციალისტი ცნობაში აფიქსირებს რეკომენდაციას მძღოლის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე და უთითებს | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პაციენტს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია არ მართოს სატრანსპორტო საშუალება შეზღუდვის პერიოდის დაწყებიდან და შემდგომში მკურნალობის შეწყვეტიდან ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. კრუნჩხვები, რომლებსაც ადგილი აქვს ექიმის მიერ რეკომენდირებული ცვლილების ან წამლების ამოღების პერიოდში, მოითხოვს სამთვიანი მართვის უფლების შეზღუდვას, თუ აღდგენილია წინა ეფექტური მკურნალობა.<br>12.9. ეპილეფსიის მკურნალობის ქირურგიული მეთოდის შემდეგ: იხილეთ 'ეპილეფსია'<br>ჯგუფი 2:<br>12.10. განმცხადებელი უნდა იყოს ანტიეპილეფსიური მედიკამენტების გარეშე, კრუნჩხვებისგან თავისუფალი საჭირო პერიოდის მანძილზე. ჩატარებულ იქნა შესაბამისი სამედიცინო შემოწმება. ექსტენსიური ნევროლოგიური გამოკვლევაზე, არ დადგინდა შესაბამისი ცერებრალური პათოლოგია და ელექტროენცეფოლოგრამაზე (EEG) არ არის ეპილეფსიის მსგავსი აქტივობა. ელექტროენცეფოლოგრამა და შესაბამისი ნევროლოგიური შემოწმება უნდა ჩატარდეს მწვავე ეპიზოდის შემდეგ. | 3 | 4.1 | ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმების თარიღს.<br><br>1. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია განახორციელოს დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის დადგენა ამ ბრძანებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი, თუ დაინტერესებული პირის მართვის უფლების მისაღებ თეორიულ ან/და პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვებისას, აგრეთვე ჩამორთმეული ან შეჩერებული მართვის უფლების აღდგენისას გამოვლინდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები. | | |
| | 12.11. პროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა: განმცხადებელი, რომელსაც ქონდა პროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა, ამოცნობადი მაპროვოცირებელი ფაქტორის გამო, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ განმეორდეს საჭესთან, შეიძლება მართვისუნარიანად ჩაითვალოს ინდივიდუალურად, ნევროლოგიური დასკვნის საფუძველზე. ელექტროენცეფოლოგრამა და შესაბამისი ნევროლოგიური შემოწმება უნდა ჩატარდეს მწვავე ეპიზოდის შემდეგ.<br>პირს, სტრუქტურული შიდა-ცერებრალური დაზიანებით, რომელსაც აქვს კრუნჩხვების მომეტებული რისკი, არ უნდა შეეძლოს მეორე ჯგუფის სატრანსპორტო საშუალებების მართვა, | 3 | 4.2 | 2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენა ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული ჯანმრთელობის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სანამ ეპილეფსიის რისკი წლიურად 2%-მდე არ შემცირდება. შეფასება უნდა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში III დანართის სხვა შესაბამისი ნაწილების მიხედვით (მაგ. ალკოჰოლის შემთხვევაში).<br>12.12. პირველი ან ერთი არაპროვოცირებული კრუნჩხვა: განმცხადებელს, რომელსაც ქონდა პირველი არაპროვოცირებული ეპილეფსიური კრუნჩხვა, შეიძლება გამოცხადდეს მართვისუნარიანად, თუ ანტი-ეპილეფსიური წამლების გარეშე მიღწეული იქნა კრუნჩხვებისგან თავისუფალი ხუთწლიანი პერიოდი, თუ არსებობდა შესაბამისი ნევროლოგიური დასკვნა. ეროვნულმა ორგანოებმა შეიძლება უფლება მისცენ აღიარებული კარგი პროგნოზის მაჩვენებლების მქონე მძღოლებს უფრო ადრე მართონ სატრანსპორტო საშუალება.<br>12.13. ცნობიერების დაკარგვის სხვა შემთხვევები: ცნობიერების დაკარგვა უნდა შეფასდეს მართვის დროს განმეორების რისკის შესაბამისად. განმეორების რისკი უნდა იყოს წლიურად, 2% ან ნაკლები.<br>12.14. ეპილეფსია: შემდგომი კრუნჩხვების გარეშე ათწლიანი პერიოდი მიღწეულ უნდა იქნას ანი-ეპილეფსიური წამლების დახმარების გარეშე. ეროვნულმა ორგანოებმა შეიძლება უფლება მისცენ აღიარებული კარგი პროგნოზის მაჩვენებლების მქონე მძღოლებს უფრო ადრე მართონ სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნული ასევე ვრცელდება 'იუვენილურ ეპილეფსიაზე'.<br>გარკვეული დარღვევები (მაგ. არტერიო-ვენური მანკი ან ინტრა-ცერებრალური ჰემორაგია) იწვევენ კრუნჩხვების მომეტებულ რისკს, იმ შემთხვევაშიც თუ კრუნჩხვას ჯერ ადგილი არ ქონია. ასეთ შემთხვევაში შემოწმება უნდა ჩატარდეს, კომპეტენტური სამედიცინო ორგანოს მიერ; კრუნჩხვის ქონის რისკი უნდა იყოს წლიურად 2% ან ნაკლები, რათა მიეცეთ მართვის მოწმობის აღების ნებართვა. | 3 | 4.3 | მდგომარეობის შესახებ ცნობის საფუძველზე.<br><br>3. მართვის უფლების მისაღებ თეორიულ ან/და პრაქტიკულ გამოცდაზე დასაშვებად, აგრეთვე ჩამორთმეული ან შეჩერებული მართვის უფლების აღსადგენად კანონმდებლობით განსაზღვრულ წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად, დაინტერესებული პირი ვალდებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით დადგენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადასტურების მიზნით, დამატებით წარმოადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, თუ:<br><br>ა) დაინტერესებული პირი ახორციელებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შეჩერებული მართვის უფლების აღდგენას;<br><br>ბ) დაინტერესებული პირი უფლების რეალიზებას ახორციელებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლების აღდგენის შემდეგ; | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **ფსიქიკური აშლილობები**<br><br>ჯგუფი 1:<br>13.1. მართვის მოწმობები არ უნდა გაიცეს ან არ უნდა განახლდეს განმცხადებლებზე ან მძღოლებზე, რომლებსაც აწუხებთ შემდეგი:<br>— მწვავე ფსიქიკური აშლილობა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული თანდაყოლილია, გამოწვეულია დაავადების, ტრავმის ან ნეიროქირურგიული ოპერაციის გამო;<br>— მწვავე გონებრივი ჩამორჩენილობა;<br>— ქცევის სერიოზული პრობლემები ასაკობრივი, პერსონალური დეფექტების გამო, რაც იწვევს განსჯის უნარის, ქცევის ან ადაპტაციის უნარის დაკარგვას.<br><br>გარდა იმ შემთხვევისა, თუ განაცხადს ამყარებს ავტორიზებული სამედიცინო დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში რეგულარული სამედიცინო შემოწმებების საფუძველზე.<br><br>ჯგუფი 2:<br>13.2. კომპეტენტურმა სამედიცინო დაწესებულებამ სათანადოდ უნდა განიხილოს დამატებითი რისკები და საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვასთან, რომელთაც ეხევა ამ გჯგუფის განსაზღვრებები.<br><br>**ალკოჰოლი**<br>14. ალკოჰოლის მოხმარება წარმოადგენს ძირითად საფრთხეს საგზაო უსაფრთხოებისათვის. აღნიშნული პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია იყოს ძალზედ ყურადღებიანი. | | | გ) დაინტერესებულ პირს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენის ან შენახვის გასაღების მიზნის გარეშე, ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი;<br><br>დ) არსებობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული გარემოება, როდესაც პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება ნარკომანიით დაავადების არარსებობის ფაქტი;<br><br>ე) ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტის სახით სააგენტოში დაცულია ინფორმაცია დაინტერესებულ პირზე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე;<br><br>ვ) დაინტერესებულმა პირმა წარმატებით ვერ ჩააბარა „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისა და მძღოლის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 10 აგვისტოს №1098 ბრძანების 331 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მუხლით განსაზღვრული ფერთა აღქმის ელექტრონული ტესტი. | | |
| | ჯგუფი 1:<br>14.1. მართვის მოწმობები არ გაიცემა ან არ განახლდება განმცხადებლების ან მძღოლებისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ალკოჰოლზე ან არ შეუძლიათ თავი შეიკავონ არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისაგან.<br><br>ალკოჰოლის მოხმარებისაგან სრული თავშეკავების დადასტურებული პერიოდის შემდეგ და ავტორიზებული სამედიცინო დასკვნისა და რეგულარული სამედიცინო შემოწმებების საფუძველზე, შეიძლება გაიცეს ან განახლდეს მართვის მოწმობა იმ განმცხადებლებზე ან მძღოლებზე, რომლებიც წარსულში იყვნენ ალკოჰოლზე დამოკიდებულნი. | 3 | 4.4 | 4. კანონმდებლობით უფლებამოსილების განხორციელებისას სააგენტოს თანამშრომელს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაში საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას მოითხოვოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენა. | | |
| | ჯგუფი 2:<br>14.2. კომპეტენტურმა სამედიცინო დაწესებულებამ სათანადოდ უნდა განიხილოს დამატებითი რისკები და საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვასთან, რომელთაც ეხება ამ გჯგუფის განსაზღვრებები.<br><br>**ნარკოტიკები და მედიკამენტები**<br><br>15. უკანონო გამოყენება:<br>მართვის მოწმობები არ გაიცემა ან არ განახლდება განმცხადებლებზე ან მძღოლებზე, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე ან რომლებიც დამოკიდებულნი არ არიან ასეთი ტიპის ნივთიერებებზე, მაგრამ | 3 | 4.5 | 5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სააგენტო (ან მისი თანამშრომელი) არ არის ვალდებული, დაასაბუთოს დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე ეჭვის წარმოშობის საფუძველი. | | |
| | ხშირად უკანონოდ იყენებენ მათ, იმის მიუხედავად, თუ რა კატეგორიის მართვის მოწმობაა მოთხოვნილი.<br><br>რეგულარული გამოყენება: | 3 | 5 | ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, გარდა ექიმი-სპეციალისტების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ჯგუფი 1:<br>15.1. მართვის მოწმობები არ გაიცემა ან არ განახლდება განმცხადებლებზე ან მძღოლებზე, რომლებიც რეგულარულად მოიხმარენ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს ნებისმიერი ფორმით, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვის უნარს, როდესაც ისეთი დოზით არის ნივთიერება მიღებული, რომ შეიძლება იქონიოს უარყოფითი გავლენა სატრანსპორტო საშუალების მართვაზე. აღნიშნული ეხება ყველა მედიკამენტს თუ მედიკამენტების კომბინაციას, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს სატრანსპორტო საშუალების მართვის უნარზე.<br><br>ჯგუფი 2:<br><br>15.2 კომპეტენტურმა სამედიცინო დაწესებულებამ სათანადოდ უნდა განიხილოს დამატებითი რისკები და საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვასთან, რომელთაც ეხება ამ გჯგუფის განსაზღვრებები.<br><br>**თირკმლის დაავადებები**<br>ჯგუფი 1:<br>16.1. მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს იმ განმცხადებლებზე და მძღოლებზე, რომლებსაც აღენიშნებათ თირკმლის მწვავე უკმარისობები ავტორიზებული სამედიცინო დასკვნისა და რეგულარული სამედიცინო შემოწმებების საფუძველზე.<br><br>ჯგუფი 2:<br>16.2. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, რომლებიც სათანადოდაა დასაბუთებული ავტორიზებული სამედიცინო დასკვნით და რეგულარული სამედიცინო შემოწმებების | | | შესახებ ცნობისა (ფორმა № IV-100/ა), დაინტერესებული პირი ვალდებულია, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ ან/და პრაქტიკულ გამოცდაზე დასაშვებად, აგრეთვე ჩამორთმეული ან შეჩერებული მართვის უფლების აღსადგენად, ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტოში დამატებით წარმოადგინოს:<br><br>ა) სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, თუ დაინტერესებული პირი უფლების რეალიზებას ახორციელებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლების აღდგენის შემდეგ;<br><br>ბ) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირების საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დაინტერესებული პირის | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საფუძველზე, მართვის მოწმობები არ გაიცემა ან განახლდება განმცხადებლებზე ან მძღოლებზე, რომლებიც უჩივიან თირკმლის მწვავე და შეუქცევად უკმარისობებს.<br><br>**გარდამავალი დებულებები**<br>ჯგუფი 1:<br>17.1. ავტორიზებული სამედიცინო დასკვნისა და საჭიროების შემთხვევაში რეგულარული სამედიცინო შემოწმებების საფუძველზე, მართვის მოწმობები შეიძლება გაიცეს ან განახლდეს იმ განმცხადებლებზე და მძღოლებზე, რომლებსაც გადანერგილი აქვთ ორგანო ან აქვთ ხელოვნური იმპლანტი, რაც გავლენას ახდენს სატრანსპორტო საშუალების მართვის უნარზე.<br><br>ჯგუფი 2:<br>17.2. კომპეტენტურმა სამედიცინო დაწესებულებამ სათანადოდ უნდა განიხილოს დამატებითი რისკები და საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სატრანსპორტო საშუალებების მართვასთან, რომელთაც ეხება ამ გჯგუფის განსაზღვრებები.<br><br>18. როგორც წესი, როდესაც განმცხადებლებს ან მძღოლებს აქვთ ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევები, რომლებიც არ არის ნახსენები წინა მუხლში, მაგრამ შეიძლება იყოს ან შედეგად მივიღოთ მსგავსი ფუნქციური უუნარობა, რომელიც გავლენას ახდენს საჭესთან უსაფრთხოებაზე, მართვის მოწმობები არ გაიცემა ან არ განახლდება, თუ არ იქნება ავტორიზებული სამედიცინო დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარული სამედიცინო შემოწმებების საფუძველზე. | 3 | 6 | ნარკომანიით დაავადების არარსებობის ფაქტი, თუ:<br><br>ზ.ა) დაინტერესებულ პირს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენის ან შენახვის გასაღების მიზნის გარეშე, ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი;<br><br>ზ.ბ) არსებობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული გარემოება.<br><br>„მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისა და მძღოლის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 10 აგვისტოს №1098 ბრძანების 211 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სააგენტოს მიერ დაინტერესებულ პირზე მართვის უფლების მინიჭების ან აღდგენის საკითხი განიხილება, მხოლოდ ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებული სამედიცინო-საექსპერტო კომისიის მიერ პირის სამხედრო | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამსახურისათვის გავარგისებულად ცნობის შემდგომ. | | |
| | | 4 | 43.1 | 1. ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში მონაცემების აღნიშვნა (დატანა) ხორციელდება „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 აპრილის №334 ბრძანებულებისა და ამ წესის შესაბამისად. | | |
| | | 4 | 43.2 | 2. ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის:<br>ა) წინა მხარეს (ავერსი) მე-9 გრაფაში მიეთითება პირისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების ის კატეგორია (ქვეკატეგორია), რომლის მართვის უფლებას არ მოიცავს ამავე პირზე მინიჭებული სხვა კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;<br>ბ) უკანა მხარეს (რევერსი) მე-9 გრაფაში მიეთითება პირისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების ყველა ის კატეგორია (ქვეკატეგორია), რომელზეც ვრცელდება აღნიშნული მართვის მოწმობა (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მართვის უფლებებისა). | | |
| | | 4 | 43.3 | 3. გარდა პირისათვის მართვის უფლების მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად მინიჭებული სატრანსპორტო | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 43.4 | საშუალებათა კატეგორიებისა (ქვეკატეგორიებისა), ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობაში სავალდებულოა აღნიშნულ იქნეს პირის მიერ მოპოვებული ამ წესის:<br>ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლება;<br>ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;<br>გ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;<br>დ) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უფლება;<br>ე) მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული უფლება;<br>ვ) მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული უფლება;<br>ზ) მე-19 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული უფლება;<br>თ) მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უფლება.<br>4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლების მინიჭებისა და გაუქმების თარიღად განისაზღვრება იმ კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისა და გაუქმების თარიღი, რომლის საფუძველზეც პირმა მოიპოვა აღნიშნული უფლება. ეს წესი არ ვრცელდება იმ კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაზე, რომლის მინიჭებაც განხორციელდა პირის მიერ კონკრეტულად ამ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | უფლების მოსაპოვებლად მართვის უფლების მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად. | | |
| | | 4 | 43.4[1] | 4[1]. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული წესი აგრეთვე ვრცელდება 2012 წლის 1 აგვისტომდე პირისათვის მინიჭებული კატეგორიების ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობაში ასახვისას. | | |
| | | 4 | 43.5 | 5. ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში არ აღინიშნება პირის მიერ მოპოვებული ამ წესის:<br>ა) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;<br>ბ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;<br>გ) მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული უფლება;<br>დ) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უფლება; | | |
| | | 4 | 43.6 | 6. მართვის მოწმობაში საცხოვრებელი ადგილის გრაფაში შეიძლება მიეთითოს, მხოლოდ ქალაქის ან რაიონის დასახელება. | | |
| | | 4 | 43.8 | 8. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში აღნიშნული უფლებამოსილი პირის რეკომენდაციის საფუძველზე პირს სატრანსპორტო საშუალებათა მართვაზე დაუწესდა შეზღუდვა, დაკავშირებული რაიმე მოწყობილობის ტარებასთან ან/და სატრანსპორტო საშუალების | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ადაპტაციასთან, ან/და შეეზღუდა რაიმე ქმედების განხორციელება ან/და დაუწესდა სხვა შეზღუდვა, მძღოლისათვის მინიჭებულ მართვის უფლებას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ ამ შეზღუდვებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. ამ პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვები აისახება მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში კოდირებული სახით, შემდეგი წესით:<br>ა) 01.01 – სათვალე;<br>ბ) 01.02 – კონტაქტური ლინზები;<br>გ) 01.06 – სათვალე ან კონტაქტური ლინზები;<br>დ) 02.01 – სასმენი აპარატი ერთი ყურისათვის;<br>ე) 02.02 – სასმენი აპარატი ორივე ყურისათვის;<br>ვ) 03.01 – ზედა კიდურის პროთეზი;<br>ზ) 03.02 – ქვედა კიდურის პროთეზი;<br>თ) 10.02 – ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება;<br>ი) 101 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სამართავად ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება. | | |
| | | 4 | 43.10 | 10. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით შეცვლის შემთხვევაში, მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (ქვედა | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნაწილში) კოდირებული სახით მითითებული უნდა იქნეს კოდი (70.) შეცვლილი მართვის მოწმობის ნომერი და გამცემი ქვეყნის საერთაშორისო კოდი (მაგ. 70. 1627959.NL ). | | |
| | | 4 | 43.11 | 11. ამ ბრძანების 61 და 91 მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირისათვის მხოლოდ ავტომატური გადაცემის კოლოფის მქონე „B“ ან/და „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების თაობაზე შეზღუდვის დაწესება აისახება მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (კატეგორიის გასწვრივ) კოდირებული სახით და მიეთითება კოდი (78.). | | |
| | | 4 | 43.12 | 12. დაინტერესებული პირის სურვილის შემთხვევაში, მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (ქვედა ნაწილში) დამატებით შეიძლება აისახოს მართვის მოწმობის მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსი. მართვის მოწმობაში სისხლის ჯგუფი და რეზუსი დაიტანება უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე, რომლის წარმოდგენასაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირი. | | |
| | | 4 | 43.13 | 13. ამ წესის შესაბამისად ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის გარეშე მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის შემთხვევაში, ახალ მართვის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 43.14 | მოწმობაში არ აისახება დაინტერესებული პირისათვის მინიჭებული ის კატეგორია/ქვეკატეგორია, რომელიც შეჩერებულია მოქმედების ვადის ამოწურვის ან დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო.<br>14. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის შესაბამისად მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის შედეგად გაცემულ ახალ მართვის მოწმობაზე დაიტანება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული (შენახული) მფლობელის ფოტოსურათი და ხელმოწერა, მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (ქვედა ნაწილში) კოდირებული სახით მითითებული უნდა იქნეს კოდი (102), აგრეთვე ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვის თარიღი (მაგ: 102. 12.05.2015). | ას | |
| და<br>ნა<br>რთ<br>ი<br>IV | მინიმალური სტანდარტები იმ პირებისათვის, რომლებიც ატარებენ სატრანსპორტო საშუალების მართვის პრაქტიკულ გამოცდებს<br><br>1. სატრანსპორტო საშუალების მართვის გამომცდელისათვის საჭირო კომპეტენციები | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.1. პირს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს კანდიდატის მიერ ავტომობილის მართვის შეფასება, უნდა გააჩნდეს 1.2 და 1.6 პუნქტეებში ჩამოთვლილ თემებთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და გაგების შესაძლებლობა.<br>1.2. გამომცდელის კომპეტენცია უნდა იყოს რელევანტური იმ კანდიდატის მიერ შესრლებული მართვის შეფასებისათვის, რომელსაც სურს მიიღოს მართვის მოწმობის შესაბამისი კატეგორია, რისთვისაც ტარდება მართვის გამოცდა.<br>1.3. მართვის ცოდნა, გაგება და შეფასება:<br>— სატრანსპორტო საშუალების მართვისას ქცევის თეორია,<br>— საფრთხის აღქმა და საგზაო შემთხვევის თავიდან აცილება,<br>— სილაბუსები, რომლებიც საფუძვლად ედება მართვის გამოცდების სტანდარტებს,<br>— სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამოცდის მოთხოვნები,<br>— შესაბამისი საგზაო და სატრანსპორტო კანონმდებლობა, მათ შორის, ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობა და განმარტებითი სახელმძღვანელოები,<br>— შეფასების თეორია და მეთოდები,<br>— უსაფრთხო მართვა.<br><br>1.4. შეფასების უნარები:<br>— კანდიდატის მიერ შესრულებული მართვის ზუსტი დაკვირვების, კონტროლისა და საერთო შეფასების შესაძლებლობა, კერძოდ:<br>— სახიფათო სიტუაციების ზუსტი და ყოველმხრივი აღქმა,<br>— ამგვარი სიტუაციების გამომწვევი მიზეზის და მოსალოდნელი შედეგების ზუსტი განსაზღვრა,<br>— კომპეტენციის მიღწევა და შეცდომების აღიარება,<br><br>— ერთგვაროვნება და თანმიმდევრულობა შეფასებაში, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | — ინფორმაციის სწრაფი ათვისება და ძირითადი თეზისების ამოწერა,<br>— წინდახედულება, პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირება და მათთან გასამკლავებლად სტრატეგიების შემუშავება,<br>— დროული და კონსტრუქციული შეფასების უზრუნველყოფა,<br>1.5. პერსონალური მართვის უნარები:<br>— პირი, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს პრაქტიკული გამოცდა მართვის მოწმობის კონკრეტულ კატეგორიაზე უნდა ფლობდეს შესაძლებლობას მართოს აღნიშნული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება უმაღლეს დონეზე.<br><br>1.6. მომსახურების ხარისხი:<br><br>— იმის დადგენა და კანდიდატის ინფორმირება, თუ რას უნდა მოელოდეს ის გამოცდის დროს,<br>— გარკვევით კომუნიკაცია, კონტექსტისა და აუდიენციასიის, ასევე კანდიდატების შეკითხვების შესაბამისი შინაარსით, სტილითა და ენით,<br>—გამოცდის შედეგის შესახებ მკაფიო შეფასების გაკეთება,<br>— კანდიდატების პატივისცემით და არადისკრიმინაციული მოპყრობა.<br>1.7. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლებისა და ფიზიკის ცოდნა:<br>— სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლების ცოდნა, როგორიცაა, საჭის სისტემა, საბურავები, სამუხრუჭე სისტემა, ფარების მდგომარეობა განსაკუთრებით მოტოციკლებისა და მძიმე ტვირთების მზიდი სატრანსპორტო საშუალებებისათვის,<br>— ტვირთის უსაფრთხოება,<br>— სატრანსპორტო საშუალებების ფიზიკის ცოდნა, როგორიცაა სიჩქარე, ხახუნის ძალა, დინამიკა, სიმძლავრე. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.8. სატრანსპორტო საშუალების მართვა საწვავის ეკონომიური დანახარჯითა და გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე.<br><br>**2. ძირითადი პირობები**<br>2.1. B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელი:<br><br>(ა) უნდა იყოს B კატეგორიის მართვის მოწმობას მფლობელი მინიმუმ სამი წლის მანძილზე;<br>(ბ) უნდა იყოს მინიმუმ 23 წლის;<br>(გ) წარმატებით უნდა ჰქონდეს დასრულებული საწყისი კვალიფიკაციისათვის მომზადება წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტის შესაბამისად და შემდგომში გავლილი ხარისხის გარანტიასა და პერიოდული სწავლების მომზადება წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტში მოცეუმლი პირობების შესაბამისად;<br>(დ) მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიონალური განათლება სულ მცირე მე-3 დონემდე, ევროპის გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის პროფესიონალური კვალიფიკაციების ამაღლების შესახებ საბჭოს 1985 წლის 16 ივლისის 85/368/EEC გადაწყვეტილებაის თანახმად;<br>(ე) იმავდროულად არ უნდა მუშაობდეს ავტოსკოლაში კერძო ინსტრუქტორად.<br><br>2.2. სხვა კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელი:<br>(ა) უნდა ფლობდეს მართვის მოწმობის შესაბამის კატეგორიას ან ფლობდეს ცოდნას შესაბამისი კვალიფიკაციით;<br>(ბ) წარმატებით უნდა ჰქონდეს დასრულებული საწყისი კვალიფიკაციისათვის მომზადება წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტის შესაბამისად და შემდგომში გავლილი ხარისხის გარანტიასა და პერიოდული სწავლების მომზადება | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტში მოცეუმლი პირობების შესაბამისად;<br>(გ) უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლებით მინიმუმ სამი წელის განმავლობაში; აღნიშნული პერიოდი შეიძლება არ იქნას მოთხოვნილი იმ შემთხვევაში, თუ გამომცდელი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ:<br>— აღნიშნული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებას მართავს სულ მცირე 5 წელის მანძილზე, ან,<br><br>— ფლობს მართვის უნარების პრაქტიკულ და თეორიულ შეფასებებს უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე საჭიროა მართვის მოწმობის მისაღებად, ამრიგად, ზემოთ ხსენებული მოთხოვნის შესრულება არ იქნება სავალდებულო,<br><br>(დ) მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიონალური განათლება სულ მცირე მე-3 დონემდე, 85/368/EEC გადაწყვეტილების თანახმად;<br>(ე)იმავდროულად არ უნდა მუშაობდეს ავტოსკოლაში კერძო ინსტრუქტორად.<br><br>2.3. *ექვივალენტურობა*<br><br>2.3.1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამომცდელს მიანიჭონ უფლებამოსილება ჩაატაროს პრაქტიკული გამოცდები AM, A1, A2 და A კატეგორიებისათვის საწყისი კვალიფიკაციის გავლის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია ერთ-ერთი ამ კატეგორიისათვის მე-3 პუნქტით.<br><br>2.3.2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამომცდელს მიანიჭონ უფლებამოსილება ჩაატაროს პრაქტიკული გამოცდები C1, C, D1 და D კატეგორიებისათვის საწყისი კვალიფიკაციის გავლის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია ერთ-ერთი ამ კატეგორიისათვის მე-3 პუნქტით.<br><br>2.3.3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამომცდელს მიანიჭონ უფლებამოსილება ჩაატაროს პრაქტიკული გამოცდები BE, C1E, CE, D1E და DE კატეგორიებისათვის საწყისი კვალიფიკაციის გავლის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია ერთ-ერთი ამ კატეგორიისათვის მე-3 პუნქტით.<br><br>**3. საწყისი მომზადება კვალიფიკაციისათვის**<br>3.1. *საწყისი მომზადება*<br><br>3.1.1. სანამ პირს მიენიჭება უფლებამოსილება ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამოცდები, მან დამაკმაყოფილებლად უნდა დაასრულოს შესაბამისი სასწავლო პროგრამა, რომელიც შეიძლება წევრმა სახელმწიფომ განსაზღვროს, პირველ პუნქტში მოცემული კვალიფიკაციის მიღების მიზნით.<br><br>3.1.2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ნებისმიერი კონკრეტული სასწავლო პროგრამის შინაარსი ეხება მართვის გამოცდების ჩატარებას მართვის მოწმობის ერთი თუ ერთზე მეტი კატეგორიისათვის.<br><br>3.2. ***გამოცდები***<br>3.2.1. სანამ პირს მიენიჭება უფლებამოსილება მასზედ, რომ მას შეუძლია ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამოცდები, მან უნდა აჩვენოს, რომ გააჩნია პირველ პუნქტში მოცემული საკითხების დამაკმაყოფილებელი ცოდნა, გაგება, უნარები და მზაობა არსებული სტანდარტის შესაბამისად. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.2.2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მართონ საგამოცდო პროცესები, რომელიც პედაგოგიური მეთოდით აფასებს პირის კომპეტენციას, პირველი პუნქტის, კერძოდ 1.4. პუნქტის შესაბამისად. საგამოცდო პროცესი უნდა მოიცავდეს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ელემენტებს. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპიუტერული სისტემა. გამოცდებისა და შეფასებების ხასიათთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებული დეტალები წარმოადგენს ინდივიდუალური წევრი სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებას.<br><br>3.2.3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ნებისმიერი კონკრეტული სასწავლო პროგრამის შინაარსი ეხება მართვის გამოცდების ჩატარებას მართვის მოწმობის ერთი თუ ერთზე მეტი კატეგორიისათვის.<br><br>4. ხარისხის გარანტია და პერიოდული სწავლება<br>4.1. *ხარისხის გარანტია*<br><br>4.1.1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ხარისხხის კონტროლის ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ მართვის გამომცდელების შესაბამისი დონის შენარჩუნება.<br><br>4.1.2. ხარისხის კონტროლის განხორციელების ღონისძიებები უნდა შეიცავდეს გამომცდელებზე მუდმივ ზედამხედველობას სამუშაოების დროს, აგრეთვე მათ შემდგომ სწავლებას და ხელახალ აკრედიტაციას, მათ მუდმივ პროფესიონალურ განვითარებას და მათ მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგად მიღებული შედეგების პერიოდულ განხილვას. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.1.3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული გამომცდელი დაექვემდებაროს ყოველწლიურ კონტროლს, იყენებენ რა 4.1.2. პუნქტში მოცემულ ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოები უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული გამომცდელი 5 წელიწადში ერთხელ დაკვირვების ქვეშაა გამოცდის ჩატარების დროს მინიმალური პერიოდით დაახლოებით ნახევარი დღის განმავლოვაში, რაც იძლევა რამოდენიმე გამოცდის დაკვირვების საშუალებას. იმ შემთხვევაში თუ გარკვეული ტიპის პრობლემები იქნება გამოვლენილი, გამოსასწორებელი მოქმედებები უნდა განხორციელდეს. პირი, რომელიც განახორციელებს დაკვირვებებს შერჩეულ უნდა იქნას წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული მიზნით.<br><br>4.1.4. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძება განსაზღვრონ, რომ თუ გამომცდელი უფლებამოსილია ჩაატაროს მართვის გამოცდა ერთზე მეტ კატეგორიაზე, რომელიც აკმაყოფილებს ზესდამხედველობის მოთვოვნებს ერთი კატეგორიის გამოცდისათვის, ასევე აკმაყოფილებს ერთზე მეტი კატეგორიისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.<br><br>4.1.5 მართვის გამოცდის მსვლელობა უნდა შემოწმდეს და ზედამხედველობა უნდა გაეწიოს წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შეფასების სწორი და შესაბამისი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.<br><br>4.2. *პერიოდული სწავლება*<br><br>4.2.1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სატრანსპორტო საშუალებების მართვის გამომცდელებმა, მიუხედავად კატეგორიების რაოდენობისა, რომლებზეც ისინი | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არიან აკრედიტირებულნი, უფლებამოსილების შენარჩუნების მიზნით, გაიარონ:<br>— მინიმუმ რეგულარული პერიოდული ოთხ-დღიან სასწავლო კურსი ორ წლიანი პერიოდში, რათა:<br>— შეინარჩუნონ და განაახლონ საჭირო ცოდნა და საგამოცდო უნარები,<br>— განავითარონ ახალი კომპეტენციები, რომელიც გახდა არსებითი მნიშვნელობის მათი პროფესიისათვის,<br>— უზრუნველყონ, რომ გამომცდელი აგრძელებს გამოცდების სამართლიანად და ერთგვაროვანი სტანდარტის შესაბამისად ჩატარებას,<br>— ხუთ წლიან პერიოდში სულ მცირე 5 დღიანი მინიმალური პერიოდული სასწავლო კურსი,<br>— საჭირო პრაქტიკული მართვის უნარების განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით.<br>4.2.2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები მასზედ, რომ სპეციფიკური სწავლება ჩაუტარდეთ დროულად და სწრაფად იმ გამომცდელებს, რომელთაც აღმოაჩნდათ არა სასურველი დონის კვალიფიკაცია სამუშაოების ჩატარებისათვის არსებული ხარისხის კონტროლის სისტემის შესაბამისად.<br>4.2.3. პერიოდული სწავლებას შეიძლება ჰქონდეს ბრიფინგის, საკლასო ოთახში სწავლების, ჩვეულებრივი ან ელექტრონული ტიპის სწავლების ფორმა და აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ისეთ ხელახალი აკრედიტაციის სტანდარტებს, როგორსაც წევრი სახელმწიფოები ჩატვლიან საჭიროდ.<br>4.2.4. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძება გაითვალისწინონ, რომ თუ გამომცდელი უფლებამოსილია ჩაატაროს მართვის გამოცდა ერთზე მეტ კატეგორიაზე, რომელიც აკმაყოფილებს კონტროლის კრიტერიუმებს ერთი კატეგორიის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამოცდისათვის, ასევე აკმაყოფილებს ერთზე მეტი კატეგორიისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს 4.2.5. პუნტქით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.<br><br>4.2.5. თუ გამომცდელს ბოლო 24 თვის განმავლობაში არ ჩაუტარებია მართვის გამოცდები გარკვეული კატეგორიისათვის, მან უნდა გაიაროს შესაბამისი ხელახალი შეფასება ამ კატეგორიისათვის მართვის გამოცდების პროცესებზე დასაშვებად. აღნიშნული ხელახალი შეფასება უნდა შესრულდეს 4.2.1. პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად.<br><br>5. მოპოვებული უფლებები<br><br>5.1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მისცენ უფლება პირებს, რომლებიც ამ დებულებების ძალაში შესვლამდე უფლებამოსილნი იყვნენ ჩაეტარებინათ სატრანსპორტო საშალებების მართვის გამოცდა, გააგრძელონ მართვის გამოცდების ჩატარება მიუხედავას იმისა, რომ მათ არ მიეცათ უფლებამოსილება მე-2 პუნქტშით გათვალისწინებული ზოგადი პირობების ან მე-3 პუნქტით დადგენილი საწყისი საკვალიფიკაციო პროცესის შესაბამისად.<br>5.2. მიუხედავად ამისა, ამგვარი გამომცდელები ექვემდებარებიან მე-4 პუნქტით დადგენილ რეგულარულ ზედამხედველობასა და ხარისხის კონტროლის ღონისძიებებს. | | | | | |
| დანართი V | **მძღოლების სწავლებისა და გამოცდის მინიმალური მოთხოვნები კომბინირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის მე-4 მუხლის მე-4 (ბ) პუნქტის მეორე ქვეპუნქტის შესაბამისად** | | | | ას | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა:<br>— დაამტკიცონ და გააკონტროლონ 7(1)(დ) მუხლით გათვალისწინებული სწავლება ან,<br>— ორგანიზება გაუწიონ 7(1)(დ) მუხლით გათვალისწინებულ უნარებისა და ქცევის გამოცდებს.<br><br>2.1. მძღოლის სწავლების ხანგრძლივობა<br><br>— მინიმუმ 7 საათი.<br><br>3. მძღოლის სწავლების პროგრამის შინაარსი<br><br>მძღოლების სწავლების პროგრამა უნდა მოიცავდეს II დანართის მე-2 და მე-7 პუნქტებში აღწერილ ცოდნას, უნარებსა და ქცევას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:<br><br>— სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის დინამიკას, უსაფრთხოების კრიტერიუმებს, ტრაქტორს და მისაბმელს (შეწყვილების მოწყობილობა), სწორ დატვირთვას და უსაფრთხოების მოწყობილობებს;<br><br>პრაქტიკული კომპონენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ სავარჯიშოებს: აჩქარება, სიჩქარის შენელება, უკუსვლა, მუხრუჭის გამოყენება, მანძილის დაცვა შეჩერების დროს, გზის ზოლებში გადასვლა, მუხრუჭი/მანევრირება, მისაბლემის მოხვევა, მისაბმელის ჩახსნა და ხელახალი ჩაბმა თავისივე ავტომობილზე, პარკირება;<br><br>— სწავლების თითოეულმა მონაწილემ უნდა შეასრულოს გამოცდის პრაქტიკული კომპონენტი და აჩვენოს მისი უნარები და ქცევა საზოგადოებრივ გზებზე, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | — სატრანსპორტო საშუალების კომბინაციები, რომლებიც გამოიყენება სასწავლებლად უნდა ხვდებოდეს მართვის მოწმობის იმ კატეგორიის ფარგლებში, რომელზეც შეიტანეს განცხადება მონაწილეებმა.<br><br>4. უნარებისა და ქცევის გამოცდის ხანგრძლივობა და შინაარსი<br><br>გამოცდის ხანგრძლივობა და გავლილი გზის მანძილი უნდა იყოს საკმარისი მე-3 პუნქტით დადგენილი უნარებისა და ქცევის გამოცდების შეფასებისთვის. | | | | | |
| დანართი VI | **მძღოლების სწავლებისა და გამოცდის მინიმალური მოთხოვნები A კატეგორიის მოტოციკლებისათვის (პროგრესული მიდგომა)**<br><br>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა:<br>— დაამტკიცონ და გააკონტროლონ 7 (1)(გ) მუხლით გათვალისწინებული სწავლება ან,<br>— ორგანიზება გაუწიონ 7 (1)(გ) მუხლით გათვალისწინებულ უნარებისა და ქცევის გამოცდებს.<br><br>2. მძღოლის სწავლების ხანგრძლივობა<br><br>— მინიმუმ 7 საათი.<br><br>3. სწავლების პროგრამის შინაარსი<br><br>— მძღოლების სწავლების პროგრამა უნდა მოიცავდეს II დანართის მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ასპექტს.<br>— ყველა მონაწილემ უნდა შეასრულოს გამოცდის პრაქტიკული კომპონენტი და აჩვენოს მისი უნარები და ქცევა საზოგადოებრივ გზებზე, | | | | ას | |

<table>
<tr>
<td></td>
<td>— მოტოციკლები, რომლებიც გამოიყენება სასწავლებლად უნდა ხვდებოდეს მართვის მოწმობის იმ კატეგორიის ფარგლებში, რომელზეც შეიტანეს განცხადება მონაწილეებმა.<br><br>4. უნარებისა და ქცევის გამოცდის ხანგრძლივობა და შინაარსი<br><br>გამოცდის ხანგრძლივობა და გავლილი გზის მანძილი უნდა იყოს საკმარისი მე-3 პუნქტით დადგენილი უნარებისა და ქცევის გამოცდების შეფასებისთვის.</td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>და<br>ნა<br>რთ<br>ი<br>VII</td>
<td>

**ნაწილი ‘ა’**<br>**ანულირებული დირექტივა ეტაპობრივი ცვლილების გამო**<br>(მითითებულია მე-17მუხლში)

<table>
<tr><td>საბჭოს დირექტივა 91/439/EEC (1)</td><td>(OJ L 237, 24.8.1991, გვ. 1</td></tr>
<tr><td>საბჭოს დირექტივა 94/72/EC</td><td>(OJ L 337, 24.12.1994, გვ.</td></tr>
<tr><td>საბჭოს დირექტივა 96/47/EC</td><td>(OJ L 235, 17.9.1996, გვ. 1</td></tr>
<tr><td>საბჭოს დირექტივა 97/26/EC</td><td>(OJ L 150, 7.6.1997, გვ. 41</td></tr>
<tr><td>კომისიის დირექტივა 2000/56/EC</td><td>(OJ L 237, 21.9.2000, გვ. 4</td></tr>
<tr><td>ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2003/59/EC, მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი</td><td>(OJ L 226, 10.9.2003, გვ. 4</td></tr>
<tr><td>ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დადგენილება (EC) No 1882/2003, მხოლოდ II დანართის, 24-ე პუნქტი</td><td>(OJ L 284, 31.10.2003, გვ.</td></tr>
<tr><td colspan="2">(1) დირექტივა 91/439/EEC აგრეთვე ჩასწორებულ იქნა შემდეგი აქტით, რომე<br>აქტი მიერთების შესახებ.</td></tr>
</table>

**ნაწილი ‘ბ’**<br>**ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანისა და გამოყენების ვადები**<br>(მითითებულიამე-17 მუხლში)

<table>
<tr><td>დირექტივა</td><td>გადატანის ბოლო ვადა</td><td>გა</td></tr>
<tr><td>დირექტივა 91/439/EEC</td><td>1 ივლისი 1994 წ.</td><td>1 ივლი</td></tr>
<tr><td>დირექტივა 94/72/EC</td><td>-</td><td>1 იანვა</td></tr>
<tr><td>გადაწყვეტილება 96/427/EC</td><td>-</td><td>16 ივლ</td></tr>
<tr><td>დირექტივა 96/47/EC</td><td>1 ივლისი 1996 წ.</td><td>1 ივლი</td></tr>
<tr><td>დირექტივა 97/26/EC</td><td>1 იანვარი 1998 წ.</td><td>1 იანვა</td></tr>
</table>

</td>
<td></td>
<td></td>
<td></td>
<td>ას</td>
<td></td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | დირექტივა 2000/56/EC | 30 სექტემბერი 2003 წ. | 30 სექტემბერი 2003 წ.,<br>30 სექტემბერი 2008 წ. (II დანართის, 6.2.5 პუნქტი) და 30 სექტემბერი 2013 წ. (II დანართის 5.2 პუნქტი) |
| | დირექტივა 2003/59/EC | 10 სექტემბერი 2006 წ. | 10 სექტემბერი 2008 წ. (სამგზავრო ტრანსპორტი) და 10 სექტემბერი 2009 წ. (სატვირთო ტრანსპორტი) |

დანართი VIII

კორელაციის ცხრილი

| დირექტივა 91/439/EEC | წინამდებარ |
|---|---|
| მუხლი 1(1), პირველი წინადადება | მუხლი 1(1) პირველი წი |
| მუხლი 1(1), მეორე წინადადება | - |
| - | მუხლი 1(2) |
| მუხლი 1(2) | მუხლი 2(1) |
| - | მუხლი 2(2) |
| მუხლი 1(3) | - |
| მუხლი 2(1) | მუხლი 1(1), მეორე წინად |
| მუხლი 2(2) | მუხლი 3(1)<br>მუხლი 3(2)<br>მუხლი 3(3) |
| მუხლი 2(3) | - |
| მუხლი 2(4) | - |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, შესავალი | მუხლი 4(1), პირველი წი |
| - | |
| - | მუხლი 4(2), პირველი აზ |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, პირველი აბზაცი | მუხლი 4(2), მეორე აბზა<br>მუხლი 4(3), პირველი აზ |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მეორე აბზაცი | |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მესამე აბზაცი | მუხლი 4(4)(ბ), პირველი |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მეოთხე აბზაცი | |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მეხუთე აბზაცი | მუხლი 4(4)(ბ), მეორე ქვ |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მეექვსე აბზაცი | |
| | მუხლი 4(4)(გ) |

ას

| | |
|---|---|
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მეშვიდე აბზაცი | მუხლი 4(4)(ვ) |
| მუხლი 3(1), პირველი ქვეპუნქტი, მერვე აბზაცი | |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, შესავალი | მუხლი 4(4)(ზ) |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, პირველი აბზაცი | მუხლი 4(4)(კ) |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მეორე აბზაცი | |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მესამე აბზაცი | მუხლი 4(4)(ლ) |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მეოთხე აბზაცი | |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მეხუთე აბზაცი | - |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მეექვსე აბზაცი, შესავალი | მუხლი 4(3)(ა) |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მეექვსე აბზაცი, პირველი ქვეაბზაცი | მუხლი 4(4)(ა) |
| მუხლი 3(2), პირველი ქვეპუნქტი, მეექვსე აბზაცი, მეორე ქვეაბზაცი | მუხლი 4(4)(დ) |
| მუხლი 3(3), შესავალი | |
| მუხლი 3(3), პირველი აბზაცი | მუხლი 4(4)(ე) |
| მუხლი 3(3), მეორე აბზაცი, პირველი ქვეპუნქტი | |
| მუხლი 3(3), მეორე აბზაცი, მეორე ქვეპუნქტი | მუხლი 4(4)(თ) |
| მუხლი 3(3), მესამე აბზაცი | |
| მუხლი 3(3), მეოთხე აბზაცი | მუხლი 4(4)(ი) |
| მუხლი 3(3), მეხუთე აბზაცი | |
| - | - |
| მუხლი 3(4) | |
| მუხლი 3(5) | - |
| მუხლი 3(6) | |
| - | - |
| მუხლი 4 | მუხლი 4(1), მესამე წინადადება |
| მუხლი 5(1) | მუხლი 4(3), მეორე აბზაცი |
| მუხლი 5(1)(ა) | |
| | - |
| მუხლი 5(1)(ბ) | |
| | მუხლი 4(3), პირველი აბზაცი |
| მუხლი 5(2), შესავალი | მუხლი 4(4), პირველი აბზაცი |
| მუხლი 5(2)(ა) | მუხლი 4(4), მეორე აბზაცი |
| მუხლი 5(2)(ბ) | მუხლი 4(3) |
| - | - |
| - | - |

| | |
|---|---|
| - | მუხლი 4(5), პირველი წინადადება |
| - | მუხლი 4(5), მეორე წინადადება |
| მუხლი 5(3) | მუხლი 5 |
| მუხლი 5(4) | მუხლი 6(1) |
| მუხლი 6(1), შესავალი | მუხლი 6(1)(ა) |
| მუხლი 6(1)(ა), პირველი აბზაცი | |
| მუხლი 6(1)(ა), მეორე აბზაცი | მუხლი 6(1)(ბ) |
| მუხლი 6(1)(ბ), პირველი აბზაცი | |
| | მუხლი 6(2), შესავალი |
| მუხლი 6(1)(ბ), მეორე აბზაცის პირველი | მუხლი 6(2)(ა) |
| ალტერნატივა | მუხლი 6(2)(ბ) |
| მუხლი 6(1)(ბ), მეორე აბზაცის მეორე | მუხლი 6(2)(გ) |
| ალტერნატივა | მუხლი 6(2)(დ) |
| | მუხლი 6(2)(ე) |
| მუხლი 6(1)(ბ), მესამე აბზაცის პირველი და მეორე | მუხლი 6(2)(ვ) |
| ალტერნატივა | - |
| მუხლი 6(1)(ბ), მესამე აბზაცის მესამე და მეოთხე | მუხლი 6(4) |
| ალტერნატივა | მუხლი 4(1), მეორე წინადადება |
| მუხლი 6(1)(გ), პირველი აბზაცის პირველი და | მუხლი 4(3)(ა), მესამე აბზაცი |
| მეორე ალტერნატივა | |
| მუხლი 6(1)(გ), პირველი აბზაცის მესამე და | მუხლი 4(4)(ა), მეორე აბზაცი |
| მეოთხე ალტერნატივა | მუხლი 4(3)(ბ), მეორე აბზაცი |
| მუხლი 6(2) | მუხლი 4(3)(გ), მეორე აბზაცი |
| - | |
| მუხლი 6(3) | მუხლი 4(4)(ბ), მეხუთე ქვეპუნქტი |
| | |
| მუხლი 7(1), შესავალი | მუხლი 4(4)(გ), მეორე აბზაცი |
| მუხლი 7(1)(ა) | |
| - | |
| - | მუხლი 4(4)(ზ), მეორე აბზაცი |
| - | |
| მუხლი 7(1)(ბ) | მუხლი 4(4)(ე), მესამე აბზაცი |
| მუხლი 7(2) | |
| მუხლი 7(3) | მუხლი 4(4)(ლ), მეორე აბზაცი |
| - | |
| - | მუხლი 4(4)(ი), მეორე აბზაცი |
| მუხლი 7(4) | |
| მუხლი 7(5) | მუხლი 4(6), პირველი ქვეპუნქტი |
| - | მუხლი 4(6), მეორე ქვეპუნქტი |

| | |
|---|---|
| - | მუხლი 4(6), მესამე და მეოთხე ქვეპუნქტები |
| - | მუხლი 7(1), შესავალი |
| მუხლი 7 ა(1) | მუხლი 7(1)(ა) |
| მუხლი 7 ა(2) | მუხლი 7(1)(ბ) |
| მუხლი 7ბ | მუხლი 7(1)(გ) |
| - | მუხლი 7(1)(დ) |
| მუხლი 8 | მუხლი 7(1)(ე) |
| მუხლი 9 | - |
| მუხლი 10 | - |
| - | მუხლი 7(2) |
| მუხლი 11 | მუხლი 7(3) |
| მუხლი 12(1) | მუხლი 7(4) |
| მუხლი 12(2) | მუხლი 7(5)(ა) |
| მუხლი 12(3) | მუხლი 7(5)(ბ) |
| - | მუხლი 7(5)(გ) |
| მუხლი 13 | მუხლი 7(5)(დ) |
| - | - |
| - | მუხლი 8 |
| მუხლი 14 | მუხლი 9 |
| დანართი I | მუხლი 10 |
| დანართი Iა | მუხლი 11 |
| დანართი II | მუხლი 12 |
| დანართი III | მუხლი 13(1) |
| - | მუხლი 13(2) |
| - | მუხლი 14 |
| - | - |
| | - |
| | მუხლი 15 |
| | მუხლი 16 |
| | მუხლი 17, პირველი ქვეპუნქტი |
| | მუხლი 17, მეორე ქვეპუნქტი |
| | მუხლი 18 |
| | მუხლი 19 |
| | - |
| | დანართი I |
| | დანართი II |
| | დანართი III |
| | დანართი IV |
| | დანართი V |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დანართი VI | | | | | | |